ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ

ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი
დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC

2017

ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი მომზადებულია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) მიერ, „სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის“ (RFSU) დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერება ორგანიზაციის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ადვოკატირების ხელშეწყობის გზით.“

წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და ის შეიძლება არ გამოხატავდეს RFSU-ს შეხედულებებს.

ავტორი: ლიკა ჯალაღანია
სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლ ჯიანასი
კვლევის ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
თარგმანი: მარიამ ბეგაძე, ლიკა ჯამბურია, მარიამ გელაძე
ენობრივი რედაქტირება: ნინო კალატოზიშვილი
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანი: სალომე ლაცაბიძე
ტირაჟი: 500

ISBN: 978-9941-0-9855-0

წინამდებარე დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენება, გავრცელება ან გადაბეჭდვა კომერციული მიზნით EMC-ის წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: ი. აბაშიძის 12ა, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06
ელ. ფოსტა: humanrightsemc@gmail.com;
https://www.facebook.com/RIGHTSEMC/
www.emc.org.ge

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) – ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი მიზანია მარგინალიზებული და დისკრიმინირებული ჯგუფების, მათ შორის, სოციალურად მოწყვლადი ადამიანების, მშრომელების, უსახლკაროების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და ლგბტი/ქვიარ პირების უფლებების დაცვა კვლევითი საქმიანობით, ადვოკატირებითა და სტრატეგიული სამართალწარმოების გზით. ორგანიზაცია ასევე მონიტორინგს უწევს საქართველოში მიმდინარე ინსტიტუციურ რეფორმებს და ხელს უწყობს უფლებათა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებასა და საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებას. EMC არ არის ტრადიციული ტიპის ორგანიზაცია. იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა აქტივისტების ღია პლატფორმას, რომელიც მიზნად ისახავს ალტერნატიული სააზროვნო სივრცეების შექმნას, აქტივისტთა შესაძლებლობების გაძლიერებასა და სამოქალაქო ინიციატივებში მათი ჩართვის უზრუნველყოფას.

ორგანიზაცია 2015 წლიდან სისტემურად მუშაობს ლგბტი/ქვიარ თემატიკაზე. მათი უფლებების დარღვევის დოკუმენტირებითა და შიდა და საერთაშორისო დონეზე ადვოკატირების, სახელმწიფოს პოლიტიკის კრიტიკისა და საკანონმდებლო ინიციატივებში ჩართულობის საშუალებით, ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის აღმოფხვრას ქვეყანაში.

პოლ ჯიანასი – წინამდებარე ოპერაციული გაიდლაინის სამეცნიერო ხელმძღვანელია. 2007 წლიდან ის წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტროს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა სამთავრობათაშორისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც აერთიანებს მთავრობის ყველა სექტორს და კოორდინირებას უწევს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიერ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირების გაძლიერების ხელშეწყობას. პოლი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელია ეუთოში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა საკითხებზე და აქვს ნამუშევარი, როგორც ექსპერტს, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კუთხით ეუთოსა და აფრიკის რეგიონებში.

პოლს აქვს პოლიციის ოფიცრად მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება და ამავდროულად, არის ეროვნული პოლიციის უფროსის საბჭოს მიერ შექმნილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჯგუფის წევრი. ეროვნული პოლიციის ეგიდით, ის ადმინისტრირებას უწევს დიდ ბრიტანეთში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ საინფორმაციო პორტალს True Vision (www.report-it.org.uk) და არის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების 2014 წლის სახელმძღვანელო დოკუმენტის ავტორი, რომელიც პოლიციისათვისაა შექმნილი და პოლიციის ოფიცრებს ეხმარება დანაშაულთა გამოძიების პროცესში.

პოლი, აგრეთვე, არის 2015 წელს შექმნილი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სხვადასხვა სამეცნიერო კვლევისა და მულტიდისციპლინარული სახელმძღვანელო დოკუმენტების თანაავტორი.

2014 წელს პოლ ჯიანასი დაჯილდოვდა ბრიტანეთის იმპერიის ორდენით პოლიციისადმი მსახურების, თანასწორობისა და ადამიანის უფლებების გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის.

წინამდებარე დოკუმენტის მომზადებაში პოლ ჯიანასმა მონაწილეობა მიიღო, როგორც ინდივიდუალურმა ექსპერტმა.

ტერმინთა განმარტება[1]

გეი – ჰომოსექსუალის სინონიმი. ტერმინი ხშირად გამოიყენება მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებაში და აღნიშნავს მამაკაცს, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს მამაკაცი.

გენდერული იდენტობა – ადამიანის გენდერული თვითაღქმა, როდესაც ის თავს მიაკუთვნებს რომელიმე გენდერს. პიროვნება შეიძლება ახდენდეს თვითიდენტიფიკაციას მამაკაცად ან ქალად. ზოგიერთ შემთხვევაში კი მისი თვითაღქმა მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტებს შორისაა ან საერთოდ სცილდება მას. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს ან არც იყოს ადამიანის დაბადების სქესთან თანხმობაში. იქიდან გამომდინარე, რომ გენდერული იდენტობა შინაგანი მოცემულობაა, ის არ არის ხილული სხვებისთვის. გენდერული იდენტობა განსხვავდება სექსუალური ორიენტაციისგან.

გენდერული (თვით)გამოხატვა – გენდერის გარეგნული მანიფესტაცია, რომელიც ძირითადად „მასკულინურ“ და „ფემინურ“ ჩაცმულობაში, გარეგნობაში, მანერებში, მეტყველებასა და სხვა სახის ქცევებში ვლინდება. გენდერული გამოხატვა ყოველთვის არ არის სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ინდიკატორი.

გენდერული არაკონფორმულობა და გენდერული ვარიაცია – პიროვნების პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოვლინება დამკვიდრებულ გენდერულ „ნორმებსა“ და „შესაბამისობებთან“. გენდერული არაკონფორმულობა შეიძლება, გამოვლინდეს იმისგან დამოუკიდებლად, ახდენს თუ არა ადამიანი თავისი დაბადების სქესისა და გენდერული იდენტობის შეთავსებას.

გენდერული დისფორია – დიაგნოზი, რომელსაც იყენებენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები იმ სტრესის აღსაწერად, რასაც ზოგიერთი ინდივიდი განიცდის დაბადებისას მინიჭებულ სქესსა და გენდერულ თვითაღქმას შორის განსხვავების გამო.

ლესბოსელი – ქალი, რომელსაც ემოციურად და ფიზიკურად იზიდავს ქალი.

ლგბტ – აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების აღსანიშნავად.

---

1 წყაროდ გამოყენებულია ILGA Europe-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, იხ: http://old.ilga-europe.org/home/publications/glossary

მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან (MSM) – აღნიშნული ტერმინი შეესაბამება უფრო სექსუალურ ქცევას, ვიდრე იდენტობას. გამოიყენება ყველა იმ მამაკაცის ქცევის აღსაწერად, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცთან, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა.

სექსუალური ორიენტაცია – ინდივიდის მდგრადი ფიზიკური, რომანტიკული, ემოციური და/ან სულიერი მიზიდულობა სხვა ადამიანის მიმართ. იგი მოიცავს ლესბოსურ, გეი, ბისექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ ორიენტაციას.

სისგენდერი – ტერმინი სისგენდერი მიესადაგება იმ ადამიანს, რომლის გენდერული იდენტობა და გენდერული თვითგამოხატვა შეესაბამება დაბადებისას მისთვის მინიჭებულ ბიოლოგიურ სქესსა და იმ სოციალურ მოლოდინს, რომელიც მის გენდერს მიემართება.

სქესი – მახასიათებლების ერთობლიობა (ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური, გენეტიკური), რომელიც განასხვავებს მდედრისა და მამრის ორგანიზმს.

ტრანსგენდერი – ქოლგა ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, ვისი გენდერული იდენტობა, გამოხატვა და ქცევა განსხვავდება მისი ბიოლოგიური სქესის ტიპური მახასიათებლებისგან. ეს ტერმინი გულისხმობს ასევე ტრანსსექსუალებს, ტრავესტებს, ტრანსვესტიტებს, ტრანსგენდერებს, ქროსდრესერებსა და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებს. ტრანსგენდერ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ჰეტერო, ჰომო ან ბისექსუალური ორიენტაცია.

ტრანსგენდერი მამაკაცი – ადამიანი, ვინც დაბადებისას მიაკუთვნეს მდედრობით სქესს, მაგრამ ახდენს თავის, როგორც მამაკაცის, იდენტიფიკაციას. ტრანსგენდერ მამაკაცებს ასევე უწოდებენ FtM-ს (Female-to-Male).

ტრანსგენდერი ქალი – ადამიანი, რომელიც დაბადებისას მიაკუთვნეს მამრობით სქესს, მაგრამ თვითიდენტიფიკაციას ახდენს, როგორც ქალი. ტრანსგენდერ ქალს ასევე უწოდებენ MtF-ს (Male-to-Female).

ტრანსსექსუალი – ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესობრივი მიკუთვნებულობისგან. ხშირად ტრანსსექსუალ ადამიანებს სურთ სხეულის კორექცია ჰორმონების ან ქირურგიული ჩარევის გზით, რათა მიუსადაგონ ის მათსავე გენდერულ იდენტობას.

ქროსდრესერი – დროგამოშვებით ისეთი ტანსაცმლის ტარება, რომელიც, ტრადიციულად, სხვა სქესის ადამიანებთან ასოცირდება. ქროსდრესერები ხშირად თავიანთ ბიოლოგიურ სქესთან კომფორტულად არიან და შესაძლოა არ სურდეთ მისი შეცვლა. ქროსდრესინგი გენდერული თვითგამოხატვის ფორმაა და არ არის აუცილებელი, კავშირში იყოს ორიენტაციასა თუ სექსუალურ ქცევასთან.

ჰომოფობია/ტრანსფობია – ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმისა.

ჰეტეროსექსიზმი – რწმენა, რომ ჰეტეროსექსუალობა არის უმაღლესი (რელიგიურად, მორალურად, სოციალურად, ემოციურად და სხვ.) სხვა სექსუალობებთან მიმართებით; პრეზუმფცია, რომ ყველა ადამიანი ჰეტეროსექსუალია; რწმენა, რომ ყველა ადამიანი უნდა იყოს ჰეტეროსექსუალი. როგორც ჩაგვრის ინსტიტუციონალიზებული სისტემა, ჰეტეროსექსიზმი უარყოფითად აისახება ლგბტი ადამიანებსა და, ასევე, ზოგიერთ ჰეტეროსექსუალ ინდივიდზეც, რომლებიც არ შეესაბამებიან მასკულინობისა და ფემინურობის ტრადიციულ გაგებას.

ჰეტეროსექსუალი – ემოციური, რომანტიკული და სექსუალური კავშირის/გრძნობის ქონა საწინააღმდეგო სქესისა და გენდერის მქონე ადამიანის მიმართ.

სარჩევი

შესავალი 12
დოკუმენტის მიზანი და ამოცანა 14
მეთოდოლოგია 14
დოკუმენტის ლიმიტაციები 15

თავი 1. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულება და რელევანტური საერთაშორისო სტანდარტები 16
1.1. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა საკანონმდებლო რეგულაცია საქართველოში და მასთან ბრძოლის ინსტიტუციური გამოწვევები 23

თავი 2. ძირითადი კონცეპტები 30
2.1. ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დეფინიცია და მნიშვნელობა 30
2.2. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ფენომენის უკეთ გასაგებად 34
2.2.1. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებული ძირითადი თეორიების მიმოხილვა 37
2.2.2. დამნაშავეთა ტიპოლოგია 42
2.2.3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამართლებრივი ბუნება 45

თავი 3. შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიკატორები 49
3.1. მოტივის იდენტიფიცირების პროცესში არსებული სირთულეები 49
3.2. მოტივის იდენტიფიკატორები 50

თავი 4. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის რეაგირება და მექანიზმები 58
4.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი – რეაგირება, იმპლემენტაცია და პრევენცია 58
4.1.1. საპატრულო პოლიციის როლი 58
4.1.2. დეტექტივ-გამომძიებლის როლი 63
4.2. პროკურორის როლი 76

თავი 5. მსხვერპლსა და მოწმეებთან მუშაობა 81
5.1. სამართალდამცავი უწყებებისადმი დაბალი მიმართვიანობის შესაძლო მიზეზები 81
5.2. მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდება და პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა 85
5.3. მსხვერპლის კონფიდენციალობის დაცვა 88
5.4. მსხვერპლის ზიანის შემცირებაზე მიმართული სტრატეგია და სერვისები 90

თავი 6. ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულის პრევენციის მექანიზმები 96
6.1. დამნაშავეებსა და კანონთან კონფლიქტში მყოფ
ახალგაზრდებთან მუშაობა 96
6.2. საჯარო განცხადებების მნიშვნელობა 99
6.3. საჯარო კამპანიები და საზოგადოების ცნობიერების
ამაღლებაზე მიმართული აქტივობები 101
6.4. შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ტრენინგების უზრუნველყოფა 103

თავი 7. სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობა და მექანიზმები 107
7.1. სტატისტიკის წარმოების შესაძლო მეთოდიკები 107
7.2. დაბრკოლებები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სანდო
ინფორმაციის მოპოვების პროცესში 114
7.3. დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის კვლევები 116

თავი 8. მონიტორინგი და ანგარიშგება 120
8.1. შიდა მონიტორინგის კრიტერიუმების შემუშავება 120
8.2. შიდა უწყებრივი ჯგუფები/დანაყოფები და სპეციალიზებული ოფიცრები 121
8.3. მონიტორინგი და ანგარიშგების მექანიზმები 127
8.3.1. გენერალური ინსპექცია 128
8.4. პროკურატურის როლის გაზრდა 131
8.5. გარე მონიტორინგის მექანიზმები 133

თავი 9. ნდობის მშენებლობა: მუშაობა თემსა და სათემო ორგანიზაციებთან 136
9.1. საველე მუშაობა თემთან ჰომოფობიური და ტრანსფობიური
დანაშაულების პრევენციისთვის 136
9.2. რეგულარული სამუშაო შეხვედრები სათემო ორგანიზაციებთან 137
9.3. მომეტებული საფრთხის დროს Ad Hoc შეხვედრები თემსა
და არასამთავრობო ორგანიზაციებთან 138

დასკვნა და შემაჯამებელი რეკომენდაციები 140

შესავალი

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის გახშირებამ სახელმწიფო დააყენა მასთან ბრძოლის ეფექტიანი სტრატეგიის შემუშავებისა და მისი პრაქტიკაში გატარების კრიტიკული საჭიროების წინაშე. დისკრიმინაციულ დანაშაულთა წინააღმდეგ თანმიმდევრული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობამ, სახელმწიფოს უმოქმედობამ და ცალკეულ შემთხვევებში არაეფექტიანმა პოლიტიკამ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ საზოგადოებაში დაუსჯელობის გარემო შექმნა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა არაპირდაპირ ლეგიტიმაციას შეუწყო ხელი.

დღეს არსებული მდგომარეობა მყისიერ რეაგირებას საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან. მზარდი არატოლერანტული დამოკიდებულება უმცირესობათა, განსაკუთრებით კი, ლგბტ ჯგუფის მიმართ სახელმწიფოს აყენებს გამოწვევის წინაშე, რომ დროულად შექმნას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის სისტემური, ეფექტიანი და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, საპოლიციო და პროკურატურის დონეზე.

ამ დრომდე სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირებისა და პრევენციის მიმართულებით ეფექტიანი არ არის. მეტიც, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გაუაზრებლობამ და ინსტიტუციურმა ხარვეზმა ხელი შეუწყო არსებითად სუსტი და ინციდენტზე მოპასუხე საპოლიციო სისტემის შექმნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს დანაშაულთა სისტემურ პრევენციას, ამგვარ დანაშაულთა იდენტიფიცირებასა და თანმიმდევრულ პოლიტიკას.

შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების მასშტაბის, ფორმისა და დინამიკის შესწავლა არსებით სირთულეს წარმოადგენს, რადგანაც ოფიციალური ინფორმაციის შეგროვების პროცესში არსებული ხარვეზები აბრკოლებს მის სიღრმისეულ გაანალიზებას, თუმცა პრაქტიკაში მომხდარი სხვადასხვა სერიოზული შეუწყნარებლობით მოტივირებული ინციდენტების/დანაშაულების აღწერა და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ წარმოებული კვლევები დანაშაულთა დინამიკის გარკვეული ასპექტების წარმოჩენის შესაძლებლობას ქმნის.

დღემდე ლგბტ ჯგუფის წინააღმდეგ მიმართულ გახმაურებულ და არსებითად მძიმე შემთხვევებზეც კი, როცა ჰომო/ბი/ტრანსფობიის მოტივი აშკარა იყო, სახელმწიფოს საპასუხო რეაგირება არაადეკვატური იყო.

მსგავსი შემთხვევები თვალსაჩინოს ხდის სამართალდამცავი სისტემისათვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებაზე, აღკვეთაზე, დასჯასა და მსხვერპლთა რეპარაციაზე ფოკუსირებული დეტალიზებული ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტის საჭიროებას.

წინამდებარე დოკუმენტი სწორედ ამგვარი სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნის წინაპირობაა, რაც არსებითად დაეხმარება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეიმუშაოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიებისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტები და შიდა ინსტრუქციები.

წინამდებარე დოკუმენტი მრავალდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით ცდილობს, შეიმუშაოს ჰომო/ბი/ტრანსფობიური მოტივით განპირობებული დანაშაულების აღმოფხვრის ერთიანი მიდგომა. დოკუმენტი, ერთი მხრივ, შეიცავს ჰომო/ბი/ტრანსფობიასთან დაკავშირებული ძირითადი კონცეპტების განმარტებებსა და ანალიზს, მათ შორის, ჰომოფობიური/ტრანსფობიური ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების მიმოხილვას, წინასწარგანწყობათა სისხლისსამართლებრივ დანაშაულებად გარდაქმნის წინაპირობებისა და დამნაშავეთა ტიპოლოგიის მიმოხილვას, ასევე მსგავსი დანაშაულების ხელშემწყობი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების განხილვას. მეორე მხრივ, ტექსტში დეტალურად არის გაწერილი დანაშაულის ჩადენის დროს სიძულვილის მოტივის ობიექტური და სუბიექტური იდენტიფიკატორები. ამასთან დოკუმენტი მიმოიხილავს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფისა და მათთან მოპყრობის საკითხებს. ასევე დეტალურად აღწერს დანაშაულთა პრევენციის, მიმართვიანობის გაზრდის, თემთან კომუნიკაციის/ნდობის ჩამოყალიბებისა და ინსტიტუციური მოწყობის შესახებ (სპეციალიზებული დანაყოფი/უწყება) სხვადასხვა სახელმწიფოს საუკეთესო გამოცდილებებს და შეიმუშავებს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს თითოეულ აქტივობასთან მიმართებით.

დოკუმენტის მიზანი და ამოცანა

დოკუმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულთა ეფექტიანი გამოძიების, პრევენციის, დამნაშავეთა დასჯისა და მსხვერპლთა რეპარაციისათვის აუცილებელი ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადებას.

დოკუმენტის ამოცანაა, იდენტიფიცირებულ ინსტიტუციურ ხარვეზებსა და პრაქტიკულ გამოწვევებს დაუპირისპიროს სისტემური და შედეგზე ორიენტირებული მექანიზმები, რომელიც მოწოდებული იქნება, შეამციროს ლგბტ პირთა მიმართ არსებული ძალადობრივი პრაქტიკა და ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მხრიდან მართლმსაჯულების აღდგენას ყოველ კონკრეტულ საქმეზე.

მეთოდოლოგია

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტის მეთოდოლოგია შემუშავებულია დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა შესახებ სპეციალურ პრაქტიკულ სახელმძღვანელო დოკუმენტებზე დაყრდნობით, აგრეთვე, გამოყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური სამსახურის (FBI) მიერ შემუშავებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღრიცხვისა და ანგარიშგების ინსტრუქციის სტრუქტურა და დანაშაულთა აღმოფხვრაზე მიმართული ინოვაციური მეთოდიკები.

დოკუმენტი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების სტანდარტების განხილვისას არსებითად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს ეფუძნება. კონკრეტული წინადადებების მომზადებისას დოკუმენტი იყენებს სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმის მიერ საქართველოს მთავრობისთვის გაცემულ რეკომენდაციებს. ამასთან, დოკუმენტში გამოყენებულია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის კუთხით სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილებები. ამ მხრივ, დოკუმენტზე მუშაობის პროცესში მოხდა არსებული პრინციპებისა და მიდგომების ლოკალურ კონტექსტსა და საჭიროებებთან მისადაგება, კრიტიკულად მნიშვნელოვანი სფეროების გამოყოფა და მექანიზმების დეტალური ანალიზი.

დოკუმენტში წარმოდგენილი თეორიული ნაწილი მომზადდა გენდერის, სოციალური მეცნიერებების, კრიმინოლოგიის სფეროებში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით წარმოებული კვლევებისა და სხვა თეორიული მასალის საფუძველზე.

ამდენად, დოკუმენტის მიზნებისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მასზე მუშაობისას გამოყენებულია ერთდროულად რამდენიმე მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი, კერძოდ, ინტერდისციპლინარული მეთოდი, რაც საკვლევი ობიექტის ბუნებისა და დოკუმენტის ამოცანებით იყო განპირობებული.

დოკუმენტის ლიმიტაციები

წინამდებარე დოკუმენტი შეიძლება სრულად ვერ ფარავდესს და აანალიზებდეს სიძულ-ვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების პროცესში არსებულ საკითხებს.

ამასთან, დოკუმენტში გამოყენებული სოციოლოგიური და კრიმინოლოგიური კვლევები არ მოიცავს დანაშაულის ახსნის ყველა თეორიის განხილვას და მის კრიტიკულ ანა-ლიზს. მისი ფუნქცია უფრო მეტად ინფორმაციის მიწოდება და საკითხზე ცნობადობის გაზრდაა, ვიდრე თეორეტიზება.

თავი 1

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულება და რელევანტური საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, პატივი სცეს და თავის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს აღიარებული უფლებებით, რაიმე განსხვავების გარეშე.[2] მათ შორის, უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ზომების მიღება, რომლებიც შესაძლოა, საჭირო გახდეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით აღიარებული უფლებების განსახორციელებლად.[3] სახელმწიფოებს ევალებათ არა მხოლოდ ფორმალური თანასწორობის მიღწევა, არამედ უმცირესობათა ჯგუფების სტრუქტურული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის აღიარება და ამ კუთხით სისტემური პოლიტიკის წარმართვა.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტით დადგენილი სტანდარტის მიხედვით, სახელმწიფოებზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყონ პაქტში განმტკიცებულ უფლებათა დაცვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სრულად განხორციელებული, როდესაც ინდივიდები დაცულები იქნებიან მათი კონვენციური უფლებების დარღვევისაგან არა მხოლოდ სახელმწიფოს აგენტების, არამედ მესამე – კერძო პირებისგანაც. სახელმწიფოს მიერ მესამე პირების მხრიდან მომდინარე უკანონო ქმედებათა დაშვება ან ამგვარ ქმედებათა მიმართ შესაბამისი ზომების მიუღებლობა და დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, დასჯისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიმართ ჯეროვანი გულისხმიერების არარსებობა, გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების უპირობო დარღვევას.[4]

ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ **დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიებისა და დასჯის, ასევე, დაზარალებულთათვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას**.[5] აღნიშნულ სტანდარტზე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში – Opuz v. Turkey, რომელშიც სასამართლომ კრიტიკულად შეაფასა თურქეთის სახელმწიფოს მიერ დანა-

2 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 2.1

3 იქვე, მუხლი 2.2

4 CCPR/C/21/Rev.1/Add. 1326 May 2004, Human Rights Committee, General Comment 31: The Nature of the General Legal Obligation Imposed on States Parties to the Covenant, პარა. 8.

5 CEDAW, General Recommendation N19, Violence Against Women, 1992, პარა. 9

შაულის პრევენციის ნაწილში ჯეროვანი გულისხმიერების არარსებობის საკითხი.[6] აღნიშნული სტანდარტი ასევე ასახულია გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) მე-19 ზოგად რეკომენდაციაში.[7] ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტს ასევე ითვალისწინებს სტამბოლის კონვენცია, რომელიც აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები, რათა ჯეროვანი გულისხმიერებით განახორციელონ დანაშაულთა პრევენცია, გამოძიება, დასჯა და მსხვერპლთა რეპარაცია იმ ქმედებებზე, რომელიც ჩადენილია კერძო პირების მხრიდან.[8]

ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტი წარმოადგენს იმ ძალისხმევათა ერთიანობას, რომელიც უნდა შეასრულოს სახელმწიფომ ინდივიდთა უფლებების დარღვევისგან დაცვის ვალდებულების შესასრულებლად.[9] გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო შესაძლოა გახდეს თანამონაწილე, როდესაც ის სისტემატურად ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებას, დაიცვას ინდივიდები მათი უფლებების დარღვევისგან, რომელიც კერძო პირების მხრიდან მომდინარეობს“.[10]

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „უკანონო ქმედებამ, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და პირველად ეტაპზე სახელმწიფოს ბრალით არ არის გამოწვეული (მაგალითად, როდესაც კერძო პირი ჩადის ქმედებას ან ქმედებაზე პასუხისმგებელი პირი ჯერ არ არის იდენტიფიცირებული), შესაძლოა, გამოიწვიოს სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა, არა უშუალოდ ქმედების გამო, არამედ უკანონო ქმედების აღკვეთის ან მასზე სათანადო რეაგირებაზე ჯეროვანი გულისხმიერების არარსებობის გამო.“[11]

სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა თავიდან აიცილოს ადამიანის უფლებების დარღვევა და გამოიყენოს ყველა საშუალება მისი იურისდიქციის ქვეშ მომხდარ ძალადობათა სიღრმისეულ გამოძიებაზე, მოახდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება, მიმართოს შესაბამის სადამსჯელო ღონისძიებებს და უზრუნველყოს მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის ადეკვატური კომპენსაცია.[12]

6 CASE OF OPUZ v. TURKEY (Application no. 33401/02), 9 June 2009, პარა. 146; 149

7 CEDAW, General Recommendation N19, Violence Against Women, 1992, პარა. 9

8 ევროსაბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ (სტამბოლის კონვენცია), 2011, მუხლი 5

9 Crimes of hate, conspiracy of silence – Torture and ill-treatment based on sexual identity, Amnesty International Publications 2001, თავი 5.

10 UN Doc. E/CN.4/1996/53, პარა. 32.

11 Velazquez-Rodriguez v. Honduras, Judgment of 29 July 1988, Inter-Am. Ct. H.R. (ser. C) No. 4, პარა. 172

12 Velasquez-Rodriguez, (ser. C) No. 4, Judgment of 29 July 1988, პარა. 174

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტის გარეშე შეუძლებელი ამოცანაა, რადგანაც ის წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და კანონის უზენაესობისათვის რეალურ საფრთხეს, მიზნად ისახავს საზოგადოების დაყოფას და უპირისპირდება ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპს, რომელზეც ადამიანის საყოველთაო უფლებების უნივერსალურობა დგას.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მოქმედი დეფინიციის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს *„ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ, მათ შორის, ადამიანისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, სადაც მსხვერპლი, ობიექტი ან სამიზნე შერჩეულია მისი რეალური ან ნავარაუდევი კავშირით, მიკუთვნებით, მხარდაჭერით, აფილირებით ან წევრობით [კონკრეტული] ჯგუფის მიმართ.“*[13]

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების აღკვეთა მეტწილად დამოკიდებულია შესაბამის ეროვნულ რეგულაციებზე, ადეკვატურ ღონისძიებებსა და პროცედურებზე.[14] დისკრიმინაციული მოტივის დაგმობით, მისი კანონმდებლობაში ასახვითა და პრაქტიკული ზომების მიღებით სახელმწიფო პროაქტიურად აღკვეთს დანაშაულს, რაც ასევე აიოლებს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, მისი შემდგომი დამუშავების მიზნით და ჯგუფის ხილვადობასაც უზრუნველყოფს.[15]

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის 2015 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტი ლგბტ ჯგუფის მიმართ განხორციელებული მკვლელობებისა და ძალადობის სხვა ფორმების წინააღმდეგ. გაეროს მექანიზმები მოუწოდებს სახელმწიფოებს, შეასრულონ აღნიშნული ვალდებულება საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღებით, რათა აღმოფხვრან, გამოიძიონ და გაატარონ შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებები სიძულვილით მოტივირებულ იმ დანაშაულებსა და დანაშაულისაკენ მოწოდების შემთხვევებზე, რომლებიც მიმართულია ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ და უზრუნველყონ მსხვერპლთა დაცვა და დახმარება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.[16]

ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების აღკვეთის მიმართ ჯეროვანი გულისხმიერების პირველი ელემენტი მისი პრევენციაა, რომელიც პირველ რიგში ადეკვატური და რელევანტური საკანონმდებლო ზომების მიღებას ავალდებულებს სახელმწიფოებს, რათა ეფექტიანად ებრძოლონ დანაშაულებს. ევროსაბჭოს CM/Rec(2010)5 რეკომენ-

13 OSCE/ODIHR annual report for 2006, გვ. 9. იხ: http://www.osce.org/odihr/26759?download=true

14 Combating discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, Council of Europe standards, 2011, გვ. 21, იხ: http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Publications/LGBT_EN.pdf

15 იქვე, გვ.22

16 A/HRC/29/23, 4 May 2015, პარა. 11

დაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, შეამოწმონ არსებული საკანონმდებლო და სხვა ზომები, გადახედონ მათ, შეაგროვონ და გააანალიზონ შესაბამისი მონაცემები, სოგი-ს საფუძველზე განხორციელებული პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის მონიტორინგისა და მასზე რეაგირების მიზნით.[17]

საკანონმდებლო ზომების მიღება გულისხმობს ეროვნულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სიძულვილის მოტივის, როგორც დამამძიმებელი გარემოების, არსებობას; თუმცა საკანონმდებლო ზომების ფორმალურ უზრუნველყოფასთან ერთად სახელმწიფოებს ევალებათ მათი ადეკვატური იმპლემენტაცია და პრაქტიკაში განხორციელებისაკენ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.[18] სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის მოტივის გამოკვეთით სახელმწიფო მნიშვნელოვან მესიჯს უგზავნის შესაძლო დამნაშავეებს, რომ ამგვარი დანაშაულები, მსხვერპლთა მიერ განცდილი ზიანის სიმძიმის აღიარებითა და გააზრებით, არ იქნება შეწყნარებული სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების მიერ. ამასთან, ამგვარ კანონმდებლობას პრაქტიკული ფუნქციაც აქვს. ის შესაძლებელს ხდის, ამგვარი დანაშაულები გახდეს მეტად ხილვადი და გამარტივდეს მონაცემთა შეგროვება სახელმწიფოს მიერ პრევენციული ნაბიჯების დასაგეგმავად.[19]

ევროსაბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის შემთხვევებისა და სხვა ინციდენტების დროს ეფექტიანი, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება.[20] „ნებისმიერი ჰომოფობიური ან ტრანსფობიური მოტივი აუცილებლად უნდა იქნას იდენტიფიცირებული და შესაბამისად აღრიცხული სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რომელიც უნდა დაეფუძნოს ეფექტურ, ყოვლისმომცველ და მიუკერძოებელ გამოძიებას და გათვალისწინებული იქნას ბრალის წარდგენისას."[21]

ამგვარ მიდგომას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც. ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ საქმის გამოძიების ან სასჯელის დაკისრებისას დისკრიმინაციული მოტივის ყურადღების მიღმა დატოვება შეიძლება წარმოადგენდეს არაპირდაპირ დისკრიმინაციას. საქმეში *Angelova and Iliev v. Bulgaria* სასამართლომ მიუთითა, რომ „სახელმწიფოს აქვს ზოგადი ვალდებულება, კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის უფლების დარღვევის

17 CM/Rec(2010)5, პრეამბულა

18 CM/Rec(2010)5, I.A.1

19 CM/Rec(2010)5, კომენტარები, გვ. 21–22

20 იქვე, I.A.1

21 AMNESTY INTERNATIONAL PUBLIC STATEMENT, 16 May 2013, Italy: the new government must be vocal in addressing double standards on hate motivated violence, გვ. 3–4

საქმეებში, რომელიც უნდა წარიმართოს დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-14 მუხლი. ამასთანავე, ძალადობრივი ინციდენტის გამოძიებისას ხელისუფლებას აქვს დამატებითი ვალდებულება, მიიღოს ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა გამოააშკარაოს ნებისმიერი [რასისტული] მოტივი და დაადგინოს, თუ რამდენად იყო შესაძლებელი, [ეთნიკურ] სიძულვილს ან ცრურწმენას ეთამაშა როლი აღნიშნულ მოვლენებში. [...]სახელმწიფოს მიერ რასობრივი მოტივით გამოწვეული ძალადობისა და სისასტიკისადმი იმგვარი მოპყრობა, როგორც მოეპყრობოდა [რასისტული] ელფერის არმქონე დანაშაულს, წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებათა განსაკუთრებით დამანგრეველი ქმედებების სპეციფიკურ ბუნებაზე თვალის დახუჭვას. ისეთი სიტუაციები, რომლებიც არსებითად განსხვავებულია, ხოლო სახელმწიფო განიცდის მარცხს მათ განსხვავებაში, შესაძლოა, შეიცავდეს კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ დაუსაბუთებელ მოპყრობას“.[22]

ამასთან, საქმეში Identoba and Others V. Georgia ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლების ვალდებულება, თავიდან აიცილოს კერძო პირების მიერ სიძულვილით მოტივირებული ძალადობა (ისევე, როგორც გამოიძიოს დისკრიმინაციულ მოტივსა და ძალადობის აქტს შორის შესაძლო კავშირი), შეიძლება მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ ასპექტში, მაგრამ ასევე შეიძლება, მიჩნეული იყოს მე-14 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებად – დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს მე-3 მუხლით დაცული ფუნდამენტური უფლება.[23] როგორც ევროპული სასამართლო აღნიშნავს, საქართველოს „ეროვნული სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით უნდა წარმოადგენდეს დამამძიმებელ გარემოებას დანაშაულისათვის. სასამართლო ასკვნის, რომ არსებითად მნიშვნელოვანი იყო გამოძიების წარმოება სწორედ ამ სპეციფიკურ კონტექსტში, რათა სახელმწიფოს მიეღო ყველა გონივრული ზომა იმ მიზნით, რომ გამოეაშკარავებინა სავარაუდო ჰომოფობიური მოტივების როლი აღნიშნულ ინციდენტებში“.[24]

გარდა აღნიშნულისა, ევროსასამართლომ ერთ-ერთ უახლეს გადაწყვეტილებაში M.C. and A.C. v. Romania, რომელიც 2007 წელს ბუქარესტში გეიაღლუმის მსვლელობისას მომხდარ ძალადობას ეხებოდა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების განხილვისას მიუთითა: „იმისათვის, რომ გამოძიება „ეფექტიანად“ მიიჩნეოდეს, პრინციპულად მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს შეეძლოს ფაქტების სრული სიზუსტით დადგენა, დამნაშავე პირთა იდენტიფიკაცია და დასჯა. აღნიშნული წარმოადგენს არა ვალდებულებას მისაღწევი შედეგის მიმართ, არამედ იმ საშუალებების, რომელიც უნდა გამოიყენონ. სა-

22 Angelova and Iliev v. Bulgaria, No. 55523/00, judgment of 26 July 2007, para.115. ასევე, Nachova and other V. Bulgaria, No. 43577/98, judgment of 6 July 2005, para. 160

23 ECHR, CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA (Application no. 73235/12), 12 მაისი 2015, პარა. 63

24 იქვე, პარა. 77

ხელმწიფოს უნდა მიეღო ყველა გონივრული ზომა, რათა მოეპოვებინა და დაეცვა ყველა რელევანტური მტკიცებულება. გამოძიებისას არსებული დეფიციტი, რომელმაც შეზღუდა ზიანის მიზეზებისა და პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა, წარმოადგენს აღნიშნული სტანდარტიდან გადახვევას და დროულობისა და გონივრულობის პრინციპის დარღვევას."[25] სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად სახელმწიფოს უნდა გამოეყენებინა ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ყველა საშუალება, რათა აღნიშნული ქმედება არ განეხილათ იმ დანაშაულების მსგავსად, რომელსაც ამგვარი მოტივი არ აქვს.[26]

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან გამკლავება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის აქტორებს – პოლიციას, პროკურატურასა და სასამართლოს შორის ახლო კოოპერაციულ მუშაობას მოითხოვს, თუმცა არა მხოლოდ ოპერაციულ, არამედ პოლიტიკის დონეზეც. ამასთან, დანაშაულის უნიფიცირებული დეფინიციის არსებობა მხოლოდ ხელს შეუწყობს აღნიშნული თანამშრომლობის წარმატებულობას.[27]

2009 წელს ეუთოს საბჭოს მინისტერიალზე მიღებული დოკუმენტი, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ N 9/09[28], ჩამოთვლის იმ ძირითად ღონისძიებებს, რომელთაც სახელმწიფომ უნდა მიმართოს დანაშაულთა აღმოფხვრის მიზნით. დოკუმენტი ფოკუსირდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ მონაცემების შეკრებასა და გასაჯაროებაზე, სრულყოფილი კანონმდებლობის მიღებასა და შესაბამისი ზომების დასახვაზე, რათა სახელმწიფომ შეძლოს მსხვერპლისა და მოწმეების წახალისება – განაცხადონ შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ. დოკუმენტი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებისა და მოსამართლეებისათვის პროფესიული ტრენინგების ორგანიზების აუცილებლობას, რათა გაიზარდოს მათი ცოდნა და მგრძნობელობა ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე მუშაობისას.

მიმართვიანობის გაზრდის შესახებ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სახელმწიფოებს მოუწოდებს ყველა შესაძლო ზომის მიღებისკენ, რათა სამართალდამცავ სტრუქტურებსა და სასამართლო სისტემას ჰქონდეს ასეთი დანაშაულებისა და ინციდენტების იდენტიფიცირების, მსხვერპლთა და მოწმეთა დახმარებისა და მხარდაჭერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარი.[29] რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლო ზომა, რათა ხელი შეუწყონ სექსუალური ორიენტაციისა და

25 CASE OF M.C. AND A.C. v. ROMANIA, 12 April 2016, პარა. 111

26 იქვე, პარა. 114

27 OSCE Prosecuting hate crimes. A practical guide, გვ. 17-18, იხ: http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true

28 DECISION No. 9/09, COMBATING HATE CRIMES, იხ: http://www.osce.org/cio/40695?download=true

29 იქვე, I.A.3

გენდერული იდენტობის ნიშნით დანაშაულის მსხვერპლსა და მოწმეებს, მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს და განაცხადონ დანაშაულის შესახებ.

აღნიშნული მინიმალური ზომები შეიძლება იყოს:

- „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მარტივი და სრულყოფილი დეფინიციის შემუშავება და გავრცელება საჯაროდ, საზოგადოებისა და პოლიციის მუშაკების ინფორმირებისთვის;

- სატრენინგო პროგრამის შემუშავება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა სტრუქტურის, მათ შორის სასამართლო სისტემის, საჭირო ცოდნითა და უნარით აღჭურვა, რათა მსხვერპლსა და მოწმეებს გაეწიოთ ადეკვატური დახმარება და მხარდაჭერა;

- სპეციალური უწყების შექმნა, რომელსაც დაევალება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებისა და ინციდენტების გამოძიება, ასევე სპეციალიზებული ოფიცრების გადამზადება, რათა მათ შეძლონ ადგილობრივ თემთან კონტაქტის დამყარება, ნდობის აღდგენის ხელშესაწყობად;

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დამოუკიდებელი და ეფექტიანი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების შესახებ საჩივრების მიღებასა და გამოძიებას, განსაკუთრებით იმ დანაშაულებზე, რომელიც ჩადენილია მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე;

- ანონიმური და ელექტრონული საჩივრების მიღების სისტემის შექმნით ან სხვა საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოს მესამე მხარეების მხრიდან დანაშაულებზე ან ინციდენტებზე საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა.“[30]

ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანის აღმოფხვრა და ადეკვატური ანაზღაურება ჯეროვანი გულისხმიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, გაეროს უმაღლესი კომისარი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციისა და ძალადობის შესახებ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნავს სახელმწიფოების ვალდებულებაზე, მოახდინონ ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების მსხვერპლთა რეპარაცია.[31]

30 CM/Rec(2010)5, კომენტარები – ზოგადი მოსაზრებები, გვ. 23, იხ: http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Publications/LGBT_en.pdf

31 A/HRC/29/23, პარა.78.b

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის თანახმად, რეპარაციების მიზანი, უნდა იყოს ყოვლისმომცველი, სტრუქტურული სუბორდინაციის, გენდერული იერარქიების, სისტემური მარგინალიზების და სტრუქტურული უთანასწორობის აღმოფხვრა, რაც [ქალის] მიმართ ძალადობის ფუნდამენტური მიზეზებია, მისი მიზანი ვერ იქნება მხოლოდ მსხვერპლის დაბრუნება დანაშაულამდე არსებულ მდგომარეობაში, არამედ მას უნდა ჰქონდეს ტრანსფორმაციული პოტენციალი.[32] იმისათვის, რომ აღმოიფხვრას [ქალთა] მიმართ ძალადობა, აღნიშნული დანაშაულები უნდა იქნას გაგებული, როგორც ელემენტი, რომელიც გავლენას ახდენს [ქალთა] ცხოვრებაზე და მოიცავს კომპლექსურ გადამკვეთ ინდივიდუალურ, ოჯახურ, სათემო, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს. აღნიშნული სახელმწიფოებისგან მოითხოვს ჯეროვან გულისხმიერებას როგორც სისტემურ საფეხურზე – შექმნას ეფექტური სისტემა და სტრუქტურები, რათა აღმოფხვრას ძალადობის ძირეული მიზეზები და შედეგები, ასევე ინდივიდუალურ საფეხურზე, უზრუნველყოს თითოეული მსხვერპლისათვის ეფექტური ზომები დანაშაულის პრევენციის, დაცვის, დამნაშავეთა დასჯისა და რეპარაციისთვის.[33] აღნიშნული სტანდარტი ანალოგიურად ვრცელდება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლით განხორციელებული ძალადობასა და ამ ძალადობის მსხვერპლ პირებთან მიმართებით.

1.1. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა საკანონმდებლო რეგულაცია საქართველოში და მასთან ბრძოლის ინსტიტუციური გამოწვევები

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების ხილვადობა გაიზარდა და მათი ანალიზი, ძალადობის სტრუქტურულ ხასიათს წარმოაჩენს. აღნიშნულ დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობის, დროულობის, ჯეროვნებისა და მიუკერძოებლობის სტანდარტებს. სახელმწიფოს დღემდე არ აქვს გააზრებული სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ის უარყოფითი სოციალური ეფექტი, რომელიც შესაძლოა, არსებით საფრთხეს უქმნიდეს როგორც საზოგადოებაში პლურალიზმისა და თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას, ასევე დემოკრატიული და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რომლის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის თვალსაზრისით, ინსტიტუციურ დონეზე სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები ზედაპირულ ხასიათს ატარებს და დანაშაულთა გამოძიებასა და მისი გამომწვევი სტრუქტურული მიზეზების აღმოფხვრასთან მიმართებით არაეფექტიანია. მიუხედავად საკანონმდებლო გარემოს არსებითი გაუმჯობესებისა, რომელიც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით

32 A/HRC/23/49, პარა. 75
33 A/HRC/23/49, პარა. 20

ჩადენილ ქმედებას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი დანაშაულების კატეგორიაში განიხილავს[34], ვერ ხდება მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია და დისკრიმინირებული ჯგუფების ძალადობისგან დაცვის ეფექტიან მექანიზმად გამოყენება.

საქართველოს კანონმდებლობაში შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ჩანაწერი 2012 წლიდან გაჩნდა, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53.3[1] მუხლი. თუმცა არც საკანონმდებლო და არც პოლიტიკის დონეზე მისი განსაზღვრების მცდელობა არ ყოფილა. ნორმის მიღებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა და მეტწილად ემსახურებოდა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის რეკომენდაციის შესრულებას, რომელმაც არაერთხელ მოუწოდა სახელმწიფოს, სამართლებრივად მოეხდინა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების რეგულირება.[35] ნორმის დეკლარაციულ ხასიათზე მიუთითებს ის ასპექტიც, რომ სახელმწიფოს არ უწარმოებია ამგვარ დანაშაულთა შესახებ საინფორმაციო კამპანია, რომელიც ხელს შეუწყობდა სახელმწიფოს მიერ მსგავსი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მკაფიო პოლიტიკის გაცხადებას და დისკრიმინაციული დანაშაულების მსხვერპლისთვის სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ ნდობის გაზრდას.

2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმის ამოქმედებიდან დღემდე ლგბტ ჯგუფის მიმართ სიძულვილით მოტივირებული არაერთი დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სისტემა გამოძიების, დევნისა და მსჯავრდების პროცესში არ ახდენს სიძულვილის მოტივის სათანადო იდენტიფიცირებას, გაფორმებასა და სასჯელის სათანადო გამოყენებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ სტატისტიკაში არ აღურიცხავს დანაშაული, რომელიც გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, სიძულვილის მოტივით იყო ჩადენილი.[36] შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პოზიციის მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი განეკუთვნება კოდექსის ზოგად ნაწილს და აწესებს სასჯელის დანიშვნის საწყისებს. შესაბამისად, აღნიშნული გარემოებები მხედველობაში მიიღება სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს[37] და მისი მითითება საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში მიზანშეუწონელია.[38]

2016 წლამდე მსგავს მიდგომას ინარჩუნებდა საქართველოს პროკურატურაც და აღნიშნულს იმ გარემოებით ხსნიდა, რომ სსკ-ის 53.3[1] მუხლი სასჯელის მიზნებისთვის გამოსაყენებელ ნორმას წარმოადგენს და ექსკლუზიურად სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში შედის. შესაბამისად, პროკურატურა აღნიშნული მუხლის გამოყენებას

34 სისხლის სამართლის კოდექსი, 53–ე მესამე პრიმა მუხლი.

35 ECRI Report on Georgia, CRI (2010)17, fourth monitoring cycle, Adopted on 28 April, პარა. 11

36 რეგისტრირებული დანაშაული საქართველოში 2012-2015 წლები, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი.

37 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი N1189435, 03.06.2015

38 იქვე

საპროცესო დოკუმენტებში არ ახდენდა და არც შესაბამის სტატისტიკას აწარმოებდა. თუმცა, პროკურატურის ინფორმაციით, 2016 წლის პირველ ნახევარში ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო დამნაშავე პირთა ბრალის შესახებ დადგენილებაში სსკ-ის 53.3[1] მუხლი ექსპლიციტურად მიეთითა; ოთხივე საქმე სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე სიძულვილის მოტივს მოიცავდა.[39] პროკურატურამ ასევე დაიწყო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკის წარმოება ხელით, ელექტრონული სისტემის გარეშე. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მხრივ პროკურატურის მხრიდან პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, აღნიშნული სტატისტიკის წარმოება არასისტემურია და არ არის ადეკვატური მიმდინარე წელს ჰომო/ბი/ტრანსფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულების რაოდენობისა. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებზე შეგროვებული ინფორმაცია როგორც მიმდინარე, ისე წინა წლებში აჩვენებს, რომ ძალადობის მასშტაბი საკმაოდ მაღალია და ის არსებითად განსხვავდება სახელმწიფოს ოფიციალური სტატისტიკისგან. მაგალითად, 2012 წლის კვლევის[40] თანახმად, გამოკითხული 48 ლგბტ თემის წევრი რესპონდენტიდან 32 %-ს ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური, ხოლო 89%-ს ფსიქოლოგიური ძალადობა. 2011-2012 წლებში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლთა 60.87%-ს ეს მხოლოდ ერთხელ შეემთხვა, 17.39%-ს – ორჯერ, ხოლო 21.74%-ს – სამჯერ ან მეტჯერ. 134 რესპონდენტიდან, რომელსაც ფსიქიკური ძალადობა (მუქარა) განუცდია, 75.37%-ს მსგავსი ფაქტები გადახდომია სამჯერ ან მეტჯერ, 11.94%-ს – ორჯერ, ხოლო 12.69%-ს – ერთხელ.[41]

ორგანიზაცია „იდენტობის“ კვლევის მიხედვით, 150 გამოკითხული ლგბტ ადამიანიდან, 45.83%-მა თავდასხმის ადგილად ქუჩა მიუთითა, 18.75%-მა – ოჯახი, ხოლო 14.58%-მა – ბარი/კლუბი. რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა სატრანსპორტო საშუალებაში, 2 – მაღაზიაში და 4 – სხვადასხვა ადგილას. იქიდან გამომდინარე, რომ თავდასხმის ადგილი ყველაზე ხშირად ქუჩაა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ლგბტ პირების მიმართ ძალადობის სუბიექტებად, ძირითადად, უცხო ადამიანები გვევლინებიან, ფიზიკური ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმად კი ცემა (58.33%) და სექსუალური იძულება (11.67%) გამოიყოფა.[42]

2014 წელს ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის შესახებ კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტებიდან 9 (სულ 14) პირს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ფიზი-

39 საქართველოს პროკურატურის საპასუხო წერილი N13/63344, 03.10.2016

40 „ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში“ 2012, გვ. 28, იხ: http://women.ge/wp-content/uploads/2012/12/WISG_situation-of-lgbt-persons-in-Georgia_GEO-www.pdf

41 იქვე, გვ. 27-28.

42 ი. ვაჭარაძე „ლგბ დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში, WISG 2012. გვ. 28. ამასთან, სახალხო დამცველის აპარატი 2013 წლის 17 მაისს და მის შემდგომ განვითარებული უფლებადარღვევების 32 შემთხვევას სწავლობდა, სადაც განმცხადებლები მიუთითებდნენ მათ მიმართ სიძულვილით მოტივირებულ უფლებადარღვევებზე. საქართველოს სახალხო დამცველის საპასუხო წერილი N 08-2/7110, 02.09.2015

კური ძალადობა, გენდერული იდენტობის გამო.[43] ხოლო 2015 წელს ანგარიშმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 20%-ს ჰქონია ფიზიკური, ხოლო 68%-ს ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით ძალადობის გამოცდილების მცირე კლების მიუხედავად, გაზრდილია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ამგვარი მოპყრობა 3-ჯერ ან მეტჯერ განუცდიათ.[44]

საქართველოს 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის დროული და ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში მოტივის გათვალისწინების ვალდებულების შესრულების მიზნისთვის შინაგან საქმეთა მინისტრმა 2014 წლის 23 დეკემბერს გამოსცა №47 მითითება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირებისთვის დირექტივის მიცემას. მითითების მიხედვით, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში – „დანაშაულის ფაბულა“ უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის კოდექსის 53.3[1] მუხლით გათვალისწინებული შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის „შესაძლო“ არსებობის შესახებ. სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ მითითება პრაქტიკაში დღემდე არ გამოუყენებიათ, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც შიდა ინსტიტუციური გამოწვევებით, ასევე პოლიტიკური ნების არარსებობით, შეიქმნას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანი ინსტიტუციური გარანტიები.[45]

ამასთან, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შეიმუშავა რეკომენდაცია ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3[1] ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“. აღნიშნული რეკომენდაცია განიხილეს ევროპის საბჭოს ექსპერტებმა და დოკუმენტი ამოქმედა 2016 წლიდან.თუმცა მისი შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ ეძლევათ, რაც ართულებს მისი ეფექტიანობის შეფასებას.

გარდა სტატისტიკის, როგორც პრევენციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტისა, რომელსაც უნდა დაეფუძნოს დანაშაულის გამომწვევი ძირეული მიზეზების ანალიზი, შესაძლო

43 ნ. გვიანიშვილი „ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში“, WISG, 2014

44 ე. აღდგომელაშვილი „ლგბ ჯგუფის საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“, ტექნიკური ანგარიში, WISG, თბილისი, 2015

45 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი N1189435, 03.06.2015

რისკჯგუფების იდენტიფიცირება და დანაშაულის შემცირებაზე მიმართული სტრატეგიების დაგეგმვა, არსებით გამოწვევას წარმოადგენს სამართალდამცავი უწყებებისადმი შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლთა დაბალი ნდობისა და მიმართვიანობის პრობლემა. EMC-ის მიერ ლგბტ თემის წევრებთან ჩატარებული გამოკითხვით ირკვევა, რომ ლგბტ თემის დაბალ მიმართვიანობას სამართალდამცავ უწყებათა საქმიანობის ხარვეზების, ნდობის ნაკლებობისა და სოციო-ეკონომიკურ ფაქტორთა ერთიანობა განაპირობებს. მათ შორის, რესპონდენტები ასახელებენ მეორადი ვიქტიმიზაციის შიშს, რაც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან დამცინავ, არასენსიტიურ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაში გამოიხატება; კონფიდენციალობის დარღვევის (განსაკუთრებით, არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში) და სამუშაო ადგილების, სოციალიზაციის წყაროების დაკარგვის რისკები (განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ნაცნობობა და ინფორმაციის გავრცელების ქსელები მჭიდროა); პოლიციის არაეფექტიანი რეაგირების გამოცდილება; ბიუროკრატიული და დროში გაჭიანურებული პროცედურები.[46]

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და პროკურორების ცოდნა და სენსიტიურობა, ადეკვატურად გამოავლინონ დანაშაულის ჩადენის მოტივი და შეძლონ შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოკვეთა საქმეზე არსებით გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნული გამოწვევები აშკარა გახდა ისეთი მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიების პროცესში, როგორებიც იყო: 2013 წლის 17 მაისს ლგბტ აქტივისტების ძალადობრივი დარბევის[47]; ტრანსგენდერი ქალის – საბი ბერიანის მკვლელობის[48]; ასევე, 2016 წელს ტრანსგენდერი ქალის – ზიზი შეყილაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმეების გამოძიება და სასამართლო განხილვა.[49]

ადამიანის უფლებათა 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ სწავლება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამებისა და გადამზადების კურსების ფარგლებში მიმდინარეობს[50], თუმცა აღნიშნული ტრენინგები ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის თემების ზოგად ჩარჩოში განიხილება[51] და არ იძლევა სპეციალიზებულ ცოდნას, შესაბამისად აღნიშნული სწავლება არ შეიძლება მივიჩნიოთ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თაობაზე შსს-ს თანამშრომელთა გადამზადების სრულყოფილ ინსტრუმენტად.

46 ხარისხობრივი კვლევა ჩატარდა საქართველოს 3 ქალაქში – თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, 2016 წლის პირველ ნახევარში.

47 იხ. EMC-ის მიერ მომზადებული სასამართლო მეგობრის მოსაზრება 17 მაისის საქმეზე: https://emc.org.ge/2016/01/22/amicus-curiae/

48 იხ, EMC-ის მიერ მომზადებული სასამართლო მეგობრის მოსაზრება საბი ბერიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე: https://emc.org.ge/2016/12/29/emc-197/

49 იხ: https://emc.org.ge/2016/10/23/emc-166/

50 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015წ.) შესრულების ანგარიში. გვ. 226

51 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი N1966182, 07.09.2015

საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფილ იმპლემენტაციასა და ეფექტიანი პოლიტიკის წარმართვას ხელს უშლის საზოგადოებაში ჰომოფობიისა და ტრანსფობიის არსებითად მაღალი მაჩვენებელი და სახელმწიფოს ლოიალობა გაბატონებული დისკურსების მიმართ. 2015 წელს წარმოებული საზოგადოებრივი განწყობების კვლევა აჩვენებს, რომ საზოგადოება მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს ლგბტი ჯგუფის უფლებრივ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ჰომო/ბი/ტრასნფობიურ განწყობებს მნიშვნელოვნად განაპირობებს: საზოგადოების აღქმა ტრადიციულ გენდერულ როლებზე, მემარჯვენე ავტორიტარიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის დონე.[52] ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებთან ბრძოლა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და თემის საჭიროებებისა და გამოწვევების სათანადო კვლევა-გააზრებას. სამართალდამცავი სისტემის ქაოტური აქტივობები, მათ შორის, ფრაგმენტული ტრენინგები და სასწავლო პროგრამები ვერ უზრუნველყოფს ამგვარი დანაშაულების ეფექტიან პრევენციას, რაც გულისხმობს დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგიისა და გეგმის არსებობას, რომელიც ასევე გაითვალისწინებს დანაშაულის სოციალურ განზომილებას, თემის საჭიროებებსა და დანაშაულთა წარმოქმნის, როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სოციალურ მიზეზებს.

ლგბტ პირთა მიმართ ძალადობისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ ევროპულმა კომისიამ საქართველოს შესახებ 2016 წლის ანგარიშში ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შექმნას სპეციალიზებული უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში, რომელიც სპეციფიკურად ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულებზე იმუშავებს. აღნიშნული უწყების შექმნის პროცესში კი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მნიშვნელოვანი ექსპერტების ჩართვა სახალხო დამცველის აპარატის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.[53]

სამართალდამცავ სტრუქტურაში სპეციალური უწყების შექმნაზე რეკომენდაცია საქართველოს ასევე მიეცა გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში.[54] ამასთანავე, სპეციალური დანაყოფების შექმნის მიზანშეწონილობას ემხრობა ეუთოს (OSCE) რეკომენდაციებიც, რომელიც მიუთითებს, რომ სპეციალური ცოდნითა და მგრძნობელობით აღჭურვილი დანაყოფები შესაძლოა, მეტად ქმედითები იყვნენ დისკრიმინაციულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში.[55] თუმცა სახელმწი-

52 ე. აღდგომელაშვილი „წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე – საზოგადოების ცოდნის ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების კვლევა ლგბტ ჯგუფისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ საქართველოში“, 2016, გვ. 120

53 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა. 53, იხ: http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf

54 A/HRC/31/15 Report of the Working Group on the Universal Periodic Review Georgia, para. 118.10

55 OSCE/ODIHR, PROSECUTING HATE CRIMES a practical guide, 2014, გვ. 77, იხ: http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true

ფომ UPR-ის პროცესში მიღებულ რეკომენდაციაზე გაკეთებულ დათქმაში დაასაბუთა, რომ ქვეყნის ტერიტორიის მთლიანი დაფარვის, საქმეთა გადატვირთვისა და ასეთი ტიპის დანაშაულებზე კომპლექსური პასუხის საჭიროების გათვალისწინებით, ერთიანი ცენტრალიზებული სპეციალიზებული პოლიციის უწყების შექმნა არ იქნება ქმედითი მექანიზმი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანად გამოძიებისთვის. აღნიშნული რეკომენდაციის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს სპეციალიზებული პოლიციელების ტრენინგი პოლიციის ყველა რეგიონულ დეპარტამენტში.[56]

56 A/HRC/31/15/Add.1, პუნქტი 118.10. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქართველოში სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზებული ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით მუშაობა შსს-ს მინისტრის N47 მითითების საფუძველზე ჯერ კიდევ 2014 წელს უნდა დაეწყო. შსს-გან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ სამინისტროს დანაყოფებმა უკვე წარუდგინეს თავიანთი პოზიცია და მოსაზრებები და მიმდინარეობს მუშაობა ჯგუფის საქმიანობის ზოგად კონცეფციაზე (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი N1966182, 07/09/2015); რაც შეეხება პროკურატურას, ადამიანის უფლებათა სამმართველოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ სპეციალური დანაყოფის შექმნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოსაძიებლად არ იგეგმება.

თავი 2
ძირითადი კონცეპტები

2.1. ჰომოფობიისა და ტრანსფობიის დეფინიცია და მნიშვნელობა

ევროპარლამენტის 2006 წლის 18 იანვარს მიღებულ რეზოლუციაში ტერმინი ჰომოფობია განმარტებულია, როგორც: „ირაციონალური შიში და სიძულვილი ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმის“.[57]

“ჰომოფობიის, რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმის ერთ რანგში განხილვა, ერთი მხრივ, მიგვანიშნებს იმ სოციალური და ფსიქოლოგიური მექანიზმების მსგავსებაზე, რომლითაც აღიწერება თითოეული ეს მოვლენა და მეორე მხრივ, ხაზს უსვამს ჰომოფობიასთან, როგორც საშიშ სოციალურ პრობლემასთან, ბრძოლის მნიშვნელობასა და აუცილებლობას”.[58]

ჰომოსექსუალ ადამიანთა მიმართ არსებული დამოკიდებულების აღსაწერად ტერმინი „ჰომოფობია“ პირველად ინგლისელმა ფსიქოთერაპევტმა ჯორჯ ვაინბერგმა გამოიყენა, თუმცა თავდაპირველად ამ ტერმინს კლინიკური გამოვლინების აღსაწერად იყენებდა და ისევე ახასიათებდა, როგორც სხვა ფობიების გამოვლინებას. ამგვარი განმარტება აღწერდა პერსონალურ დამოკიდებულებას, თუმცა ვერ გამოხატავდა ჰომოსექსუალების მიმართ კოლექტიური დამოკიდებულების შინაარსს. ცხადია, დღეს ის ინდივიდუალურ დონეზე არ მიიჩნევა ფობიის, როგორც „შიშის“ გამოვლინებად, არამედ სოციალურ დატვირთვას ატარებს და აღწერს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას ლგბტ თემის მიმართ.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ ვაინბერგმა ჰომოფობია ასევე მიიჩნია წინასწარგანწყობის ფორმად, რომელიც ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფს მიემართება. აღნიშნულმა შეფასებამ ხელი შეუწყო ჰომოსექსუალების მიმართ არსებული წინასწარგანწყობის სოციალურ პრობლემად დასახვას. ზოგადად, ტერმინ „ჰომოფობიის“ შექმნამ გარდამტეხი როლი ითამაშა მე-20 საუკუნეში გეი და ლესბოსელი ადამიანების უარყოფის, ძალადობისა და მათი უხილავობის გამოცდილებების გაანალიზებაში. ამ ტერმინმა შეცვალა ჰეტეროსექსუალური საზოგადოების ძირითადი ვარაუდი იმგვარად, რომ მოახდინა „პრობლემის“ ლოკალიზება არა ჰომოსექსუალ ადამიანებში, არამედ ჰეტეროსექსუ-

57 European Parliament resolution on homophobia in Europe. P6 –TA(2006)0018. 18 January 2006

58 Ekaterine Agdgomelashvili, journal “Me”, N2 (5), ob: www.minority.ge

ალებში, რომლებიც შეუწყნარებლები არიან გეი, ბისექსუალი და ლესბოსელი ადამიანების მიმართ. აღნიშნულმა კი კიდევ ერთხელ წარმოშვა კითხვები საზოგადოების მიერ განსაზღვრულ გენდერულ როლებზე, განსაკუთრებით კი – კაცების მიმართ. [59]

ამასთან, აღნიშნული ტერმინის საერთაშორისო გამოყენებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ლგბტ ადამიანების მიმართ არსებული მტრობის პრობლემა ყურადღებას იმსახურებს და შესაბამისად, მათი უფლებათა დაცვის აუცილებლობაზე აკეთებს აქცენტს.

ბოლო პერიოდამდე, როგორც წესი, მეცნიერები ჰომოფობიის გავლენას სწავლობდნენ ლგბტ ჯგუფსა და მის თითოეულ წევრზე და ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჰომოფობიის, როგორც სოციალური პრობლემის შესწავლას, წარმოშობის მიზეზებისა და დაძლევის გზების ძიებას.[60]

ლგბტ თემის ჩაგვრის სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორების უკეთ გასაგებად ფსიქოლოგიის პროფესორმა, გრეგორი ჰერეკმა, სამი მნიშვნელოვანი კონსტრუქტი გამოყო, რომლის მიხედვითაც, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე არსებული მტრობა არსებობს თანაგაზიარებული ცოდნის ფორმით, გარდაქმნილია იმ კულტურულ იდეოლოგიაში, რომელიც განსაზღვრავს სექსუალობას, ამ უკანასკნელის საფუძველზე ავლებს საზღვრებს სოციალურ ჯგუფებს შორის და ანიჭებს მათ შესაბამის ღირებულებას. აღნიშნული კულტურული იდეოლოგია გამოხატულია საზოგადოების სტრუქტურაში, ინსტიტუციებსა და ძალაუფლებათა ურთიერთობაში. ამავე დროს, ინდივიდები ამ იდეოლოგიას ითვისებენ იმგვარად, რომ თავიანთ დამოკიდებულებებსა და ქმედებებში გამოხატავენ და აძლიერებენ.[61]

საზოგადოების ინდივიდუალური წევრები შესაძლოა, განსხვავებულად გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას, თუმცა მათ აერთიანებთ თანაგაზიარებული ცოდნა ჰომოსექსუალური ურთიერთობის ნეგატიური ღირებულების შესახებ, რომელიც წარმოშობს სტიგმას. სტიგმატიზებული ადამიანები კი მხოლოდ განსხვავებულები კი არ არიან უმრავლესობისგან, არამედ ექვემდებარებიან საზოგადოების გაკიცხვას და დისკრედიტაციას, დევიაციად მიჩნეული იდენტობის გამო. შესაბამისად, ისინი ფლობენ ნაკლებ წვდომას რესურსებზე და ნაკლებ ძალაუფლებას, ვიდრე საზოგადოების სხვა წევრები. [62]

შესაბამისად, სტიგმა, რომელიც ნებისმიერი არაჰეტეროსექსუალური ურთიერთობის, იდენტობისა თუ ჯგუფის შესახებ არსებობს, სექსუალობის სტიგმაა, რომლის საბოლოო

59 Gregory M. Herek "Beyond "Homophobia": Thinking about sexual prejudice and stigma in the twenty-first Century", Journal of Sexuality Research and Social Policy, San Francisco State University, Vol. 1, No.2, April 2004, გვ. 8

60 ეკატერინე აღდგომელაშვილი, ჟურნალი „მე", N2 (5), წყარო: www.minority.ge

61 Gregory M. Herek "Beyond "Homophobia": Thinking about sexual prejudice and stigma in the twenty-first century", National Sexuality Resource Center, San Francisco State University, Journal of NSRC, Vol.1, No.2, გვ. 14

62 იქვე

შედეგი ძალაუფლებათა იერარქიული განსხვავებაა ჰეტეროსექსუალებსა და არაჰეტეროსექსუალებს შორის. სტატუსისა და ძალაუფლების იერარქიაში კი უპირატესობა ჰეტეროსექსუალობას ენიჭება, ხოლო ჰომოსექსუალობა გაუფასურებულია; ლგბტ თემის წევრები მიჩნეულები არიან „ავადმყოფებად“, „ამორალურებად“, საზოგადოების სხვა წევრებთან შედარებით.[63] აღნიშნულს აძლიერებს და ხელს უწყობს იმგვარი კულტურული იდეოლოგია, როგორიც ჰეტეროსექსიზმია (იმგვარი, როგორიც რასიზმი, სექსიზმი, ანტისემიტიზმია), რომელიც უარყოფს, ცილს სწამებს და დევნის არაჰეტეროსექსუალური ქცევის ნებისმიერ ფორმას, პიროვნებას, ურთიერთობას ან ჯგუფს და აღნიშნულს სხვადასხვა კულტურულ წეს-ჩვეულებასა და ინსტიტუციაში გამოხატავს, როგორიც შეიძლება იყოს ენა, რელიგია და სამართლებრივი სისტემაც კი.[64]

აღნიშნული კულტურული იდეოლოგია ხელს უწყობს საზოგადოების წევრების მიერ მის ათვისებას, შესაბამისად, წარმოშობს ანტიპათიასა და სექსუალურ წინასწარგანწყობებს სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს მათ უარყოფით დამოკიდებულებებსა და ქმედებებში, მათ შორის, ძალადობრივში.[65]

ამასთან, გარდა ლგბ ჯგუფისა, **ტრანსგენდერი ადამიანები** ყველაზე მარგინალიზებულ და ჩაგრულ ჯგუფს წარმოადგენენ. ისინი ხშირად ხდებიან სოციალური სივრცეებიდან ექსკლუზიის, დაცინვის, სამედიცინო ინსტიტუციების მიერ „დაავადებულებად“ აღქმისა და საზოგადოების სხვა სეგმენტისგან ძალადობის მსხვერპლნი.[66]

ტრანსფობია ჰომოფობიის მსგავსად გამოხატავს უარყოფით განწყობას ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, წარმოადგენს ირაციონალურ შიშს, სიძულვილსა და დისკრიმინაციას იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთა გენდერული იდენტობა, ჩაცმულობა ან ქცევა არ შეესაბამება გაბატონებულ სოციალურ ნორმებს.

ჰომოფობია სრულად ვერ ასახავს იმ ზიანს, რომელიც ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ არსებობს საზოგადოებაში. შესაბამისად, ის განსხვავდება იმ დანაშაულისგან, რომელიც სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზეა ჩადენილი, რადგანაც, მისი წარმოშობის საფუძველი სრულიად სხვა პრედიქტორი შეიძლება იყოს.

ამერიკელი ტრანსგენდერი აქტივისტისა და მწერლის – ჯულია სერანოს მიხედვით, ისევე, როგორც „ჰომოფობია არის ნასაზრდოები საკუთარი თავში ჰომოსექსუალური განცდების მიუღებლობით, ტრანსფობია შეიძლება იყოს პირადი დაუცველობის გამოვლინება კულტურულად დადგენილ გენდერულ იდეალებთან. ის ფაქტი, რომ ტრანსფობია

63 იქვე, გვ.15
64 იქვე, გვ.16
65 იქვე, გვ.16-17
66 Julia Serano “Whipping Girl – A transsexual woman on sexism and scapegoating femininity”,

არსებითად გავრცელებულია ჩვენს საზოგადოებაში, ასახავს იმ რეალობას, რომელშიც საზოგადოება დიდ წნეხს ახორციელებს ადამიანებზე, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მოლოდინებს, აკრძალვებსა და პრივილეგიებს იმ სქესზე დაფუძნებით, რომელიც დაბადებისას მიენიჭა".[67]

ტრანსგენდერი ადამიანების ფართო ჯგუფიდან ტრანსსექსუალი ადამიანები დამატებით ექვემდებარებიან წინასწარგანწყობის სხვა ფორმებსაც, რომელიც მათ რიყავს სოციალური სივრცეებიდან და ისინი არასრულფასოვან კაცებად ან ქალებად განიხილებიან. აღნიშნულის არგუმენტად საზოგადოება იშველიებს იმ აზრს, რომ ტრანსსექსუალი ადამიანის გენდერი არ არის ავთენტური, რადგანაც ის განსხვავდება დაბადებისას მისთვის მინიჭებული სქესისგან (სისსექსიზმი). სოციუმი ასევე ქმნის ხელოვნურ იერარქიებს საზოგადოებაში, სადაც ტრანსსექსუალი ადამიანი ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას.[68]

სერანოს მიხედვით, სისსექსიზმი, ტრანსფობია და ჰომოფობია საფუძველს იღებს სქესის რადიკალური ოპოზიციურობიდან, რომელიც ეფუძნება რწმენას, რომ ქალი და კაცი მყარი, ურთიერთგამომრიცხავი კატეგორიებია; თითოეული მათგანი ფლობს უნიკალურ და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ატრიბუტებს, შესაძლებლობებსა და სურვილებს. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც აღნიშნულ რწმენას იზიარებს, სჯის და რიყავს ყველას, ვინც არ შეესაბამება გენდერისა და სექსუალობის ნორმებს, რადგანაც ისინი წარმოჩენილნი არიან ერთგვარ საფრთხედ კაცისა და ქალის განსხვავებულობის იდეის მიმართ. ამით აიხსნება ისიც, თუ რატომ განიხილებიან ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი და ის ტრანსგენდერი ადამიანები (რომლებიც შესაძლოა, არსებითად განსხვავებულად აღიქვამენ თავიანთ გენდერსა და სექსუალობას) ერთ მთლიან კატეგორიაში საზოგადოების მიერ.[69]

იმ ადამიანებთან ინტერვიუების საფუძველზე, რომელთაც მიიჩნიეს, რომ მათ მიმართ ძალადობა მათივე სექსუალობას ეფუძნებოდა, აღნიშნულის იდენტიფიცირება მოახდინეს იმის მიხედვით, თუ რა თქვეს მათ გენდერზე. სექსუალობისა და გენდერის ინტერსექციის გამოკვლევისას ლგბტ თემის წევრები ხშირად მიუთითებენ, რომ მათი გენდერული იდენტობის საფუძველზე მომხდარი ძალადობა არსებითად უკავშირდება ჰომოფობიას. აღნიშნულის გაცნობიერებისას ხილვადი ხდება ის სოციალური პროცესები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს გენდერულ არაკონფორმულობას ჰომოსექსუალობასთან.[70]

67 Julia Serano "Whipping Girl – A transsexual woman on sexism and scapegoating femininity"

68 იქვე

69 იქვე

70 Doug Meyer, INTERPRETING AND EXPERIENCING ANTI-QUEER VIOLENCE: RACE, CLASS, AND GENDER DIFFERENCES AMONG LGBT HATE CRIME VICTIMS, Race, Gender & Class: Volume 15, Number 3-4, 2008 (262-282), გვ. 268

ის პრობლემები, რომელსაც ტრანსგენდერი ადამიანები აწყდებიან თავიანთი გენდერული იდენტობის პრეზენტირებისას, უფრო მეტ ბარიერს უქმნის სასურველი გენდერის აღიარებას, რაც ასევე ძლიერდება საზოგადოების მხრიდან ტრანსგენდერ ადამიანებზე ცოდნის არარსებობით. აღნიშნულით იქმნება შიშისა და უარყოფის ერთგვარი წრე, რომელიც შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციაში, უფრო რადიკალურ შემთხვევაში კი ძალადობაში გამოიხატება. ამას ემატება ისიც, რომ, განსხვავებით ლგბ ადამიანებისგან, ტრანსგენდერების მიერ თავიანთი გენდერული მიკუთვნებულობის დამალვა რთულია, რადგანაც მათი იდენტობა საზოგადოებისათვის უფრო ხილვადი და შესამჩნევია.[71]

შესაბამისად, ტერმინ „ტრანსფობიის" შემოტანით, კიდევ ერთხელ ესმება ხაზი, რომ აღნიშნული დანაშაულები ცალკე და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სახელმწიფოებრივი ინსტიტუციების, განსაკუთრებით კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან.

2.2. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ფენომენის უკეთ გასაგებად

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ერთიან, უნიფიცირებულ დეფინიციაზე შეთანხმება, მისი სუბიექტური შინაარსის გამო, სირთულეს უკავშირდება. სხვადასხვა პერიოდში მკვლევრებმა სცადეს მათი შინაარსის კონცეპტუალიზება, რომლითაც ყურადღების ცენტრში საზოგადოებაში არსებული ძალაუფლებათა დისბალანსი ექცევა; მსხვერპლი, ძირითადად, წარმოადგენს სოციალურად თუ პოლიტიკურად მარგინალიზებული ჯგუფის წევრს, მაშინ, როდესაც სავარაუდო დამნაშავე პრივილეგირებული უმრავლესობის წევრია[72]; ამასთან, ამგვარი ტიპის დანაშაული წარმოადგენს არა იზოლირებულ ინციდენტს, არამედ იმ პოლიტიკური კულტურის შედეგს, რომელიც თავს უყრის ბიოლოგიურ თუ სოციალურ მახასიათებლებზე დაფუძნებულ უფლებებს, პრივილეგიებსა და პრესტიჟს.[73]

შესაბამისად, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული შესაძლოა, აღიქმებოდეს, როგორც ძალაუფლების მექანიზმი, რომლის მიზანია ფიზიკური ძალადობითა და მუქარის საშუალებით საზოგადოებაში გარკვეულწილად უკვე არსებული იერარქიების შენარჩუნება. ის ძირითადად მიმართულია იმის წინააღმდეგ, ვინც ჩვენს საზოგადოებაში სტიგმატიზებული და მარგინალიზებულია. აღნიშნული პერსპექტივიდან ამგვარი დანაშაულები დანახულია, როგორც გენდერირებული და რასობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული წესრიგის დაცვის ინსტრუმენტი.[74]

71 FRA, Being Trans in European Union, Comparative analysis of EU LGBT survey data, გვ. 9, იხ: https://fra.europa.eu/sites/default/files/fra-2014-being-trans-eu-comparative-0_en.pdf

72 Carolyn Petrosino "Connecting the Past to the Future, Hate crime in America", Perry B. "A Reader: Hate and Bias Crime", Routledge, New York-London, 2003, გვ. 9-26

73 Sheffield C. "Hate Violence", 1995, გვ. 438 (როგორც ციტირებულია, Chakrabori N., Garland J. "Hate Crime: Imact, Causes and Responces", Second Edition, Sage publication, 2015, გვ. 3–6)

74 Barbara Perry "In the Name of Hate", 2001, გვ. 3

აღნიშნულ იდეათა განზოგადებისას, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ წინასწარგანწყობითა და სტერეოტიპებით ნასაზრდოები დანაშაულები არ სრულდება კონკრეტული ქმედებითა თუ ინციდენტით და არც კულტურულ და სოციალურ ვაკუუმში წარმოიქმნება.[75] მიიჩნევა, რომ ამგვარ დანაშაულებში კონკრეტულ მსხვერპლს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს და შემთხვევითია, ხოლო ქმედება მიმართულია არა ამ კონკრეტული პირის, არამედ იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომელსაც მსხვერპლი რეალურად თუ ნავარაუდევად მიეკუთვნება.[76]

ამ კონტექსტში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები უნდა დავინახოთ, როგორც შეტყობინების შემცველი ქმედებები, რადგანაც ის მიემართება არა მხოლოდ მსხვერპლს, არამედ სუბორდინირებულ ჯგუფს. აღნიშნული, ცხადია, დანაშაულების ფოკუსსა და ზეგავლენას აფართოებს კონკრეტული მსხვერპლის მიღმა და მოწყვლადობისა და სასოწარკვეთის განწყობას გადასცემს კონკრეტული ჯგუფის წევრებს.[77] ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ დანაშაულები, რომლებიც მოტივირებულია შეუწყნარებლობითა თუ წინასწარგანწყობით, პიროვნების ფუნდამენტური და ძირეული იდენტობით ან განსხვავებულობით, უფრო მეტად მტკივნეულია, ვიდრე დანაშაულები ამგვარი მოტივის გარეშე.[78]

როგორც პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე აკადემიური ტექსტები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ამგვარ დანაშაულთა განსაზღვრისას, სიტყვა „სიძულვილი“ არ უნდა აღიქმებოდეს პირდაპირი მნიშვნელობით; უფრო მეტიც, ამან შეიძლება, შეცდომაში შეიყვანოს სამართალდამცავი სტრუქტურა, რადგანაც შესაძლოა, განმარტონ იმგვარად, რომ დაცვის ქვეშ მყოფ ადამიანს აუცილებლად უნდა სძულდეს მსხვერპლი ან ის ჯგუფი, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება, რათა დანაშაული სიძულვილით მოტივირებულად მიიჩნეოდეს. თუმცა ეს არ არის სწორი განმარტება. ის ფაქტორი, რომელიც ჩვეულებრივ დანაშაულებრივ ქმედებას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად აქცევს, არის დამნაშავის მიერ მსხვერპლის შერჩევა წინასწარგანწყობისა და შეუწყნარებლობის გამო იმ ჯგუფის მიმართ, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება. ცხადია, ეს არ გამორიცხავს „სიძულვილს“, როგორც ძლიერი ნეგატიური ემოციის ფლობას, მაგრამ აღნიშნულის მტკიცება არსებითად რთულია და, შესაბამისად, ვერ ექნება მკაცრად სამართლებრივი დატვირთვა.[79]

შესაბამისად, ამგვარი დანაშაულის შინაარსში „სიძულვილი“ კონცეპტუალიზებული უნდა იყოს, როგორც „წინასწარგანწყობა“.[80] მსგავს დეფინიციას ცხადია, მოჰყვა შემდ-

75 იქვე

76 იქვე

77 Kellina M. Craig „Examining Hate-Motivated Aggression“, Perry B. „A reader: Hate and Bias Crime“, Routledge, New York-London, 2003, გვ. 117–130

78 Chakrabori N., Garland J. „Hate Crime: Imact, Causes and Responces“, Second Edition, Sage publication, 2015, გვ. 7

79 OSCE/ODHIR, Prosecuting Hate Crimes. A Practical guide, Warsaw, 2014, გვ.20

80 Jacobs and Potter 1998; Lawrence 1999 (როგორც ციტირებულია, Chakraborti N., Garland J. „Hate Crime: Imact, Causes and Responces“, Second Edition, Sage Publication, 2015)

გომი დებატები, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მისი განსაზღვრა და როგორ მიბმოდა ის დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობას (mens rea). მთავარი კითხვა, შეუწყნარებლობით განპირობებული დანაშაულის განსაზღვრისას, არის ის, თუ როგორ ხდება „წინასწარგანწყობის“ დეფინირება სისხლისსამართლებრივ კონტექსტში და ასევე, რომელი „წინასწარგანწყობები“ ხდება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყურადღების საგანი.[81]

აკადემიურ ტექსტებში „წინასწარგანწყობა“ განმარტებულია, როგორც „მცდარ და ჯიუტ განზოგადებაზე დაფუძნებული ანტიპათია. მას შეიძლება ადამიანი გრძნობდეს ან გამოხატავდეს და შეიძლება მიემართებოდეს ადამიანთა გარკვეული ჯგუფს ან ცალკეული წევრებს, აღნიშნულ ჯგუფთან მიკუთვნებულობის გამო.“[82]

წინასწარგანწყობის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, აკადემიკოსმა გორდონ ოლპორტმა მისი გარკვეული საფეხურები განსაზღვრა. მისი თეორიის თანახმად, სულ მცირე წინასწარგანწყობამაც კი შეიძლება, მოამზადოს ნაყოფიერი ნიადაგი აგრესიისა და ძალადობისთვის.[83] ოლპორტი ზემოაღნიშნულ საფეხურებს შემდეგნაირად ყოფს:

1. ვერბალური აგრესია (სახელის დაძახება, სტერეოტიპიზაცია) – დამამცირებელი სახელების შერქმევა, დაცინვა, გაშარჟება; როცა უმრავლესობის წევრები არაკორექტულად ხუმრობენ უმცირესობათა წარმომადგენლებზე (ხუმრობები უკავშირდება ნეგატიურ სტერეოტიპებსა და უარყოფით შეფასებებს); ხშირად მას სიძულვილის ენასაც უწოდებენ. უმრავლესობა ამას პრობლემად არ მიიჩნევს, თუმცა ეს მხოლოდ პირველი საფეხურია წინასწარგანწყობათა შკალაზე და გზას უხსნის აგრესიის უფრო მძიმე ფორმების გამოვლინებას.

2. იგნორირება (სოციალური მარგინალიზაცია) – უმრავლესობის წარმომადგენლები გაურბიან უმცირესობათა ჯგუფის წევრებს. ხდება მათი მარგინალიზაცია. უმცირესობათა ჯგუფი და მათთან დაკავშირებული საკითხები „უხილავი“ ხდება საზოგადოებისათვის.

3. დისკრიმინაცია (უარის თქმა უფლებებზე, შესაძლებლობების რეალიზაციაზე) – უმრავლესობა აქტიურ მოქმედებაზე გადადის და ცდილობს, ვნება მიაყენოს უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლებს. მაგ. ხელი შეუშალოს განათლების მიღებაში, დასაქმებაში; უკრძალავს იმ სერვისებით სარგებლობას, რითაც უმრავლესობის წევრები სარგებლობენ და ა.შ.

4. ფიზიკური თავდასხმა (ფიზიკური ძალადობა, მკვლელობა) – უმრავლესობის წევრები ჯგუფურად ან ინდივიდუალურად თავს ესხმიან უმცირესობათა ჯგუფებს, სცემენ, ანადგურებენ ან ითვისებენ მათ ქონებას.

81 Mark Austin Walters „A General Theories of Hate crime? Strain, doing difference and self control“, Springer, 2010
82 Gordon Allport „The Nature of Prejudice“, 1954
83 Allport, G.W. (1954). The Nature of Prejudice. Reading, MA: Addison-Wesley.

5. განადგურება (მასობრივი მკვლელობები, გენოციდი) – უმრავლესობა ცდილობს, ფიზიკურად გაანადგუროს უმცირესობათა ჯგუფი.

ცხადია, კონკრეტული პირისა თუ პირთა ჯგუფის „წინასწარგანწყობა“ მარგინალიზებული ან უმცირესობათა ჯგუფების მიმართ, იმთავითვე არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ემოციური განწყობა ძალადობრივ ქმედებაში გამოიხატება, თუმცა მიუთითებს რისკისა და საშიშროების არსებობაზე.

საერთაშორისო ლიტერატურაში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ნაცვლად, ასევე გამოიყენება ცნება – „დისკრიმინაციული დანაშაული“, რომელიც ასევე მართებული ტერმინია და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ამგვარი დანაშაულები დისკრიმინაციის ექსტრემალურ ფორმას მიეკუთვნება. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვა ტერმინს იყენებს ამგვარი დანაშაულების დასარეგულირებლად, მაგალითად, საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობა „შეუწყნარებლობის მოტივზე“ მიუთითებს და არსებითად, დანაშაულის მიმართ დამნაშავის სუბიექტურ/ემოციურ მიმართებას უსვამს ხაზს.

2.2.1. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებული ძირითადი თეორიების მიმოხილვა

სოციოლოგიური და კრიმინოლოგიური თეორიები შეიცავს კრიმინალური და ანტისაზოგადოებრივი ქცევების ფართო სპექტრის გაგებას. დანაშაული შესაძლოა ჩადენილ იქნას სხვადასხვა მიზეზის გამო, თუმცა, სიძულვილით მოტივირებული ქმედებები წარმოადგენს დანაშაულთა განსაკუთრებულ ფორმას, მათი სიმბოლური და ფუნქციური დატვირთვის გამო.

საზოგადოებაში ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ხარისხზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ჯგუფური (საზოგადოებრივი) იდეოლოგია, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული პროცესები.

ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულთა მოტივების უკან, როგორც წესი, ნაკლებად დგას რაიმე ფინანსური დაინტერესება; პირდაპირი მოტივი აქ ხშირად სხვა ადამიანის სექსუალურ ორიენტაციასთან შეურიგებლობის ძალადობრივი გამოხატულება ან ინტერნალიზებული ჰომოფობიაა.[84]

84 Nicholas A. Guittar „Micropanics: A Theoretical Explanation for Anti-Gay Hate Crime Perpetration“, International Journal of Criminology and Sociological Theory, Vol. 6, No.4, December 83.

სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ ტრადიციულ გენდერულ როლებსა და ჰომოსექსუალობაზე, როგორც მორალურ არჩევანზე ხაზგასმამ წვლილი შეიტანა ჰომოსექსუალობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ახსნაში.[85] ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჰომოფობია ინდივიდუალურ დონეზე მჟღავნდება მაშინ, როდესაც ინდივიდის მოთხოვნები იკვეთება კულტურულ იდეოლოგიურ შეხედულებებთან ჰომოსექსუალობაზე. ინდივიდისათვის ანტიჰომოსექსუალური განწყობის გამჟღავნებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ თავის აღქმა მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთი სოციალური ჯგუფის წევრობასთან, რომელიც უარყოფს ჰომოსექსუალებს/ჰომოსექსუალობას.[86] შესაბამისად დანაშაულის ჩადენისას, ისინი დევიანტური რწმენით კი არ მოქმედებენ, არამედ უმრავლესობის მიერ აღიარებულით.[87]

დანაშაულის მრავალი თეორია მიუთითებს იმაზე, რომ ანტისაზოგადოებრივი ქცევა ეფუძნება ძლიერ მიჯაჭვულობას მცირე სოციალური ჯგუფისა თუ მეგობრული კავშირების მიმართ და სუსტ კავშირს ფართო საზოგადოების მიმართ; თუმცა აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების შემთხვევაში, შესაძლოა, პირიქით იყოს – დამნაშავეები ავლენენ არსებითად ძლიერ კავშირს ფართო საზოგადოების მიმართ. ფაქტობრივად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩამდენი იცავს დომინანტურ იდეოლოგიებს და სწორედ ამ ერთგულების მოშველიებით ცდილობს გაანეიტრალოს, სხვაგვარად საზარლად მიჩნევადი აქტები.[88] აღნიშნული კი ხელს უწყობს მისი ბრალეულობისა და სასჯელის მინიმუმამდე დაყვანას/განეიტრალებას. ასეთ დროს დამნაშავის თვალში მსხვერპლი არ არსებობს, მის მიმართ მიყენებული ზიანი კი აღიქმება, როგორც დამსახურებული სასჯელი, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულს.

ქვემოთ მოკლედ იქნება აღწერილი ის თეორიები, რომლებიც გარკვეულწილად ცდილობს, ახსნას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და შესაძლოა, არსებითად გამოადგეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვაში, ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების პრევენციის ეტაპზე.

85 იქვე

86 Gregory M. Herek „The context of anti-gay violence, Notes on Cultural and Psychological Heterosexism“, Journal of International Violence, Vol. 5, No.3, September 1990, Sage Publications, Inc. გვ. 325

87 Nicholas A. Guittar „Micropanics: A Theoritical Explanation for Anti-Gay Hate crimes Perpetration“, International Journal of Criminology and Sociological Theory, Vol.6, No.4, December 2013, 164-170

88 Sykes and Matza, „Techniques of Neutralization: A Theory of Deliquency“, American Sociological Review, 1957, 22(6):664-670 (როგორც ციტირებულია, Nicholas A. Guittar „Micropanics: A Theoritical Explanation for Anti-Gay Hate crimes Perpetration“, International Journal of Criminology and Sociological Theory, Vol.6, No.4, December 2013, 164-170)

სოციალური იდენტობის თეორია

სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით, თითოეული სოციალური ერთობა თუ ჯგუფი ქმნის თავისი წევრობის კრიტერიუმებს, რომლითაც ის ამყარებს საკუთარ ჯგუფზე მიკუთვნებულობას – სხვისი იდენტობის „ქმნადობის“ ხარჯზე.[89] აღნიშნული თეორიის მიხედვით, საკუთარი ჯგუფის სხვა ჯგუფისგან პოზიტიური დიფერენცირებისთვის ჩვენ ხაზს ვუსვამთ საკუთარ სუპერიორულობას რომელიმე ღირებულებით განზომილებაში (მაგ: რელიგია, რასა, სექსუალური ორიენტაცია და სხვა). ამასთან, ჩვენ არ ვეკუთვნით მხოლოდ ერთ სოციალურ ჯგუფს, არამედ გვაქვს სხვადასხვა სოციალური იდენტობა. ჩვენი რწმენა და ქმედებები სხვადასხვა კონტექსტში შესაბამისობაშია ჩვენი ჯგუფის მახასიათებლებსა და სოციალურ იდენტობასთან. შესაბამისად, სოციალური იდენტობის თეორიის მიხედვით, ჩვენ ვცდილობთ განვასხვავოთ თავი სხვა ჯგუფებისგან და ეს ხშირად ძალადობრივად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენით გამოიხატება.[90]

„ჰეტეროსექსუალები იყენებენ ცილისწამებასა და დისკრიმინაციას, მათ შორის ძალადობას, რათა შექმნან გეი და ლესბოსელი ადამიანების ნეგატიური ხატი და ამით გაამყარონ თავიანთი პოზიტიური განსხვავებულობა მათგან. ეს მათში თვითშეფასების არსებით გაზრდას იწვევს“.[91]

სოციალური იდენტობის თეორია მიუხედავად იმისა, რომ ფართო გამოყენებით სარგებლობდა, ვერ ხსნის, თუ რატომ ირჩევს კონკრეტული სოციალური ჯგუფი თავისი განსხვავებულობის საზომად მეორე ჯგუფს.

„განსხვავებულობის ქმნადობის“ თეორია (Doing Difference)

აღნიშნული თეორია ბარბარა პერიმ (Barbara Perry) შეიმუშავა თავის გავლენიან წიგნში „სიძულვილის სახელით“ (2001). პერი მიუთითებს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული უნდა გავიგოთ, როგორც დისკრიმინაციის ექსტრემალური ფორმა, რომელიც ამოზრდილია „განსხვავებული“ ადამიანის მიმართ სეგრეგაციის, დისკრიმინაციისა და მარგინალიზაციის კულტურიდან.[92] ის აღნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ძალაუფლებათა იერარქიები მოიცავს დომინანტობას „განსხვავებულზე“. სწორედ განსხვავებულობა არის გამოყენებული ინტერსექციული სოციალური იერარქიების,

89 Nicholas A. Guittar „Micropanics: A Theoritical Explanation for Anti-Gay Hate crimes Perpetration“, International Journal of Criminology and Sociological Theory, Vol.6, No.4, December 2013, 164-170

90 იქვე

91 Hamner, K.M. „Gay Bashin: A social identity analisys of violence against lesbian and gay men“(როგორც ციტირებულია, Nicholas A. Guittar „Micropanics: A Theoritical Explanation for Anti-Gay Hate crimes Perpetration, International Journal of Criminology and Sociological Theory, Vol.6, No.4, December 2013, 164-170)

92 Perry B. „Accounting for Hate Crime: Doing Difference“, Perry. B „Hate and Bias Crime“, New York, Routledge, 2003, 97-108

კერძოდ, გენდერის, სექსუალობის, კლასისა და რასის კონსტრუირებისას. ამ პროცესში კონკრეტული იდენტობა იქცევა ჰეგემონიად და შესაბამისად, ამ იდენტობის გარეთ დარჩენილი საზოგადოების სხვა წევრები იქნებიან უცხონი და განსხვავებულები. [93]

ეს გენერალიზებული „მითიური ნორმა“ ვითარდება იმგვარად, რომ საზოგადოებას უთითებს, თუ როგორ უნდა იმოქმედოს.[94] სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ამ ნორმებსა და საზოგადოების მიერ დადგენილი კულტურის წინააღმდეგ გამოგონილ საფრთხეთა შორის არსებული კონფლიქტის შედეგია. შესაბამისად, საზოგადოების გარკვეული ჯგუფი ამ იერარქიაში სუბორდინირებულ ადგილს იკავებს, რომელიც განმტკიცებულია კერძო და საჯარო ინსტიტუციების მიერ. მაგ: თუ ლესბოსელი ქალი საჯაროდ განაცხადებს თავისი იდენტობის შესახებ, ეს აღიქმება როგორც ჰეტერონორმატიული საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველ ქმედებად.[95]

ამ თეორიის მიხედვით, შიშის გრძნობა „განსხვავებულის“ მიმართ, რომელიც საფრთხედ არის წარმოჩენილი მისი სოციალური ჯგუფისა და კულტურული ნორმებისათვის, შეიძლება გარდაიქმნას დაუცველობის და სხვა ნეგატიურ გრძნობებში. ამ უარყოფითი ემოციების საპასუხოდ ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება უფრო რადიკალურ ზომებს მიმართოს იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებმაც უშუალოდ გამოიწვიეს მათში ამგვარი დაუცველობისა და უსუსურობის შეგრძნება.[96]

დაძაბულობის თეორია (Strain Theory)

აღნიშნული თეორიის მიხედვით, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს თემზე არსებული დაძაბულობის სიმპტომს. იმ საზოგადოებებში, რომელთაც აქვთ ფუნქციური და ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურა, ნაკლებად არსებობს დაძაბულობა, ვიდრე იმ სოციუმებში, სადაც სოციალური სისტემა ხარვეზიანია. შესაბამისად, იმ თემში, რომელიც დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსით, შეზღუდული შესაძლებლობებითა და ცხადი სოციალური სტრუქტურის არქონით გამოირჩევა, დაძაბულობა და წნეხი შეიძლება წარმოიშვას საბაზისო საჭიროებების, სოციალური დახმარების, პერსონალური პასუხისმგებლობების არარსებობით და ასევე არასაჭიროობის განცდის, კულტურული რასიზმისა და წინასწარგანწყობის შედეგად.[97]

93 იქვე

94 Lord A.„Age, Race, Class and Sex: Women Redefining difference. Cultural Politics, 11, 374-380, 1997 (როგორც ციტირებულია, Nicholas Gala, M.S. „Hate Crimes: A Conceptual Overview and Analysis“, Gallaudet Chronicles of Psychology 2015, Vol.3, No.2, გვ. 6)

95 Walters M.A. „A general Theories of Hate crime? Strain, Doing Difference and Self Control“, Springer, Science+Buisness Media B.V. 2010

96 იქვე

97 Nicholas Gala, M.S. „Hate Crimes: A Conceptual Overview and Analysis“, Gallaudet Chronicles of Psychology 2015, Vol.3, No.2, გვ. 7

აღნიშნული თეორიის მთავარი არსი არის ის, რომ დევიანტური ქცევა წარმოიქმნება კულტურულად დასახულ მიზნებსა (რომელიც მიიღწევა) და სოციალურად სტრუქტურირებულ საშუალებებს (რომლითაც მიიღწევა) შორის დიდი სხვაობის შედეგად. უფრო კონკრეტულად, საზოგადოების მიერ დასახულ წარმატების მიღწევის პროცესში ფრუსტრაციის განცდა ხელს უწობს ნეგატიური ქცევების გამოვლინებას.[98] თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის წარმატება იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლო კეთილდღეობის მიღწევა, რამდენად მოიპოვა მატერიალური სიკეთე და სტატუსი, თუმცა დღეს, სადაც „სოციუმი რასის, კლასისა და გენდერის ნიშნით იერარქიზებულია, წვდომა ამ კეთილდღეობის მიღწევისათვის არსებულ რესურსებზე არათანაბარი და შეზღუდულია“.[99] ყველა ადამიანს არ შეუძლია დასახული მიზნის მიღწევა, შესაბამისად, დაძაბულობა და წნეხი ძლიერდება, განსაკუთრებით მათზე, რომლებიც შედარებით დაბალ კლასს წარმოადგენენ, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი განათლებაზე და დასაქმების შესაძლებლობაც შეზღუდული აქვთ.[100]

ის ადამიანები, რომლებიც ამ თეორიის მიხედვით წნეხს განიცდიან, ერთნაირად არ რეაგირებენ წარუმატებლობაზე, თუმცა არის გარკვეული კატეგორია, რომელიც თავის სტატუსს სხვების ვიქტიმიზაციის ხარჯზე აძლიერებს. სხვადასხვა ავტორები მიუთითებენ, რომ დაბალი კლასის წარმომადგენელი ახალგაზრდები მიმართავენ ძალადობას, როგორც ალტერნატიულ საშუალებას, მიაღწიონ აღიარებას, სტატუსსა და პრესტიჟს, რაც მათ მანამდე არ გააჩნდათ.[101] შესაბამისად, უმცირესობათა მიმართ ამგვარი ქმედებებით, ისინი ამტკიცებენ თავიანთ ძალას. მაგალითად, ლევინისა და მაკ დევიტის მიერ შემუშავებულ ტიპოლოგიაში ხაზი ესმება ახალგაზრდების სუბკულტურას, რომელთაც ახასიათებთ გაუცხოება, მიწისქვეშეთში მობილიზება, ეკონომიკური არასტაბილურობა და პრივილეგიების დაკარგვა. აღნიშნულის საპასუხოდ ინდივიდუალურად თუ ჯგუფში ახალგაზრდა კაცები ცდილობენ ადაპტირებას იმწუთიერ გარემოსთან სხვებზე თავდასხმის საშუალებით და მათი სუსტი პოზიციის „მიზეზის“ შექმნითა და ვიქტიმიზაციის გზით.[102]

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულ თეორიათა სწორი აქცენტებისა, დამოუკიდებლად ვერც ერთი მათგანი სრულყოფილად ვერ ხსნის შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა მიზეზებს. მათი ანალიზი შეიძლება, უფრო ეფექტიანი და გამოსადეგი გახდეს ერთიანობაში განხილვის შემთხვევაში, მაგრამ შესაძლოა, არც მიესადაგებოდეს საქართველოში არსებულ ლოკალურ კონტექსტს ქვეყანაში ლგბტ საკითხების არსებითი პოლიტიზებისა და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების ფონზე. ამასთანავე, აღნიშნული თეორიები შესაძლოა კარგი ბაზისი აღმოჩნდეს ამგვარი ჩაღრ-

98 Perry B. „In the Name of Hate“, Routledge, New York-London, 2001, გვ. 35

99 იქვე

100 იქვე

101 მაგ. Miller, Cohen, Cloward, Ohlin (როგორც ციტირებულია, Perry B. „In the Name of Hate“. 2001, Routledge, New York-London, გვ. 36)

102 Perry B. „In the Name of Hate“, Routledge, New York-London, 2001, გვ. 36

მავებული კვლევების განხორციელებისა და მომავალში ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებთან ბრძოლის პრევენციული მექანიზმების მიღებისათვის.

2.2.2. დამნაშავეთა ტიპოლოგია

საქართველოში არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა, გაანალიზებულიყო დამნაშავეთა პროფილი და პრევენციული ზომები; მათ შორის, საგანმანათლებლო ღონისძიებები სწორედ აღნიშნულ ანალიზზე დაფუძნებულიყო.

მკვლევართა რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში ცდილობდნენ, გაეანალიზებინათ დამნაშავეთა ის ტიპები, რომლებიც შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ ქმედებებს ჩადიან, ძალიან მცირეა. აკადემიური დოკუმენტები უმეტესწილად ხსნის დამნაშავეთა ქცევებს და მათ პირდაპირ მოტივაციებს,[103] თუმცა, ცხადია, ამ კვლევებსაც აქვს ხარვეზები. დღეს ყველაზე მეტად გამოყენებადი ტიპოლოგია ეფუძნება ლევინისა და მაკდევიტის ნაშრომს, რომელიც მოგვიანებით მაკდევიტიმ გააფართოვა. ავტორებმა ბოსტონის პოლიციის დეპარტამენტში არსებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის 169 საქმე გამოიყენეს. აღნიშნულ საქმეებზე დაყრდნობით, მათ შეძლეს დამნაშავეთა 4 ძირითადი კატეგორიის გამოყოფა, კერძოდ[104]:

– „მძაფრი შეგრძნებების მაძიებლები“
– „დაცვითი“
– „რეაქციული“
– „მისიაზე მყოფი“

ლევინისა და მაკდევიტის კვლევამ გამოავლინა, რომ შესწავლილ საქმეთა 66%-ის შემთხვევაში, დამნაშავეები მოტივირებულნი იყვნენ „მძაფრი/ექსტრემალური შეგრძნებების დაკმაყოფილებით“ (Thril Seekers). აღნიშნულ კატეგორიაში, ძირითადად ახალგაზრდა კაცები ერთიანდებიან, მოქმედებენ მცირე ჯგუფებად და ზოგჯერ, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან. ზოგიერთ შემთხვევაში კი, მათი ქმედებები სპორტსა და დროის გაყვანის სურვილთან არის დაკავშირებული. აღნიშნული პირები თავიანთი ექსტრემალური გრძნობების დასაკმაყოფილებლად სპეციალურად შეიძლება გადიოდნენ ქალაქის ისეთ უბნებში, სადაც გეიბარებია ან სხვა კონფესიის წარმომადგენელთა ეკლესია-სალოცავებია და მიზანმიმართულად არჩევდნენ თავდასხმის ობიექტს. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ შერჩეული მსხვერპლი შემთხვევითი არ არის, ისინი სპეციალურად იღებენ მიზანში იმ ადამიანებს, რომლებიც რაიმე ნიშნით განსხვავებულები არიან.[105]

103 Mark Walters „A General Theory og Hate Crime? Strain, doing difference and self control.“ Springer Science+Business Media B.V. 2010

104 Jack McDevitt, Jack Levin, and Susan Bennett „Hate Crime Offenders, An Expanded Typology“, Perry B. „A reader: Hate and Bias Crime“, Routlegde, 2003, გვ.109-116

105 იქვე

მაკდევიტისა და ლევინის კვლევაში ხაზგასმულია, რომ ექსტრემალური ემოციების დაკმაყოფილების მიღმა დამნაშავეების მიერ სხვების ხარჯზე თავიანთი აღმატებულობის, ძალაუფლების დემონსტრირების სურვილი იკვეთება. პოლიციასთან საუბრისას აღნიშნული პირები ასევე მიუთითებდნენ, რომ მათი მთავარი მიზანი საკუთარი „მნიშვნელოვნების" დადასტურება იყო სადისტური და სხვა ძალმომრეობითი ქცევის საშუალებით, რათა მეგობრების თვალში უფრო „მაგარ ბიჭებად" გამოჩენილიყვნენ.[106]

ამასთან, სხვადასხვა კვლევით აღმოჩნდა, რომ ამგვარი ტიპის დამნაშავეებისათვის ანტიგეი ქცევა ბევრად უფრო გამოხატულია.[107] აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ბევრი ახალგაზრდა კაცისათვის ჰომოსექსუალობა აღიქმება, როგორც მისი პირადი მასკულინობის შეურაცხყოფა. გეი კაცების იდენტობა (განსაკუთრებით ფემინური კაცების, მიუხედავად მათი იდენტობისა) საზოგადოების მიერ აღქმულია, როგორც „განსხვავებული" და, შესაბამისად, შეფასებულია, როგორც სოციალურად მიუღებელი.[108] ზოგიერთი ახალგაზრდა აღნიშნულ მოცემულობაზე რეაგირებს სიტყვიერი ან ფიზიკური თავდასხმით. შესაბამისად, ჰომოფობიური ძალადობა მათი მასკულინობის განმტკიცების საშუალებაა. ეს არის დამნაშავის „შიდა ჯგუფისათვის" სოლიდარობის გამოცხადება, ამ ჯგუფისგან გარეთ მდგომი ადამიანის ჩაგვრის საშუალებით. ამასთან, ზოგიერთი ახალგაზრდა კაცისათვის აღნიშნული დესტრუქციული ქცევა „დაცინვის" ობიექტის არჩევის მიზნითაც ხორციელდება.[109]

აღნიშნულ ვითარებაში თვალსაჩინო მიმართება არსებობს, ერთი მხრივ, დამნაშავის წინასწარგანწყობას, განსხვავებულის მიმართ შიშის ფორმაციასა და, მეორეს მხრივ, მის მიერ ექსტრემალური შეგრძნების დაკმაყოფილებას შორის. „წინასწარგანწყობის კლიმატი, რომელშიც დამნაშავე მოქმედებს, დანაშაულის ჩადენის მიზეზის მხოლოდ ნაწილია, ამგვარ დანაშაულთა ჩადენისას განცდილი ემოციის სურვილი ხშირად გვევლინება დანაშაულის ჩადენის იმპულსად. შესაბამისად, სიძულვილს, რომელიც ამ ტიპის დამნაშავეთა ქმედებების უკან დგას „ზედაპირული ხასიათი" აქვს. ამასთან, არსებობს მნიშვნელოვანი გადაკვეთა იმ სოციოსტრუქტურული გავლენებისა, რომელიც ზემოქმედებს „განსხვავებულის" აღქმასა და დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის სურვილის დაკმაყოფილებას შორის კავშირზე. საბოლოოდ, იმისათვის, რომ აღნიშნული სურვილი დაიკმაყოფილონ, დამნაშავეები/სამართალდამრღვევები იყენებენ თავიანთ „წინასწარგანწყობებს", სტერეოტიპებსა და „განსხვავებულად"

106 იქვე

107 Franklin K. „Antigay behaviours among young adults: Prevalence, patterns and Monitvations in a noncriminal populations", 1999, Journal of Interpersonal Violence, 15 (4), , 339-362

108 Barbara Perry „In the Name of Hate", Routledge, New York-London, 2001

109 Byers, B., Crider, B. W., & Biggers, G. K. (1999). Bias crime motivation: A study of hate crime offender neutralization techniques used against the Amish. Journal of Contemporary Criminal Justice, 15 (1),78–96 (როგორც ციტირებულია Mark Walters „A General Theory og Hate Crime? Strain, doing difference and self control." Springer Science+Business Media B.V. 2010)

დასახული ჯგუფიდან მომდინარე გამოგონილ საფრთხეს, რათა საკუთარ ქმედებებს გამართლება მოუძებნონ“.[110]

მაკდევიტისა და ლევინის ტიპოლოგიაში **„დაცვითი“** კატეგორიის დამნაშავეთა რაოდენობა 25%-ს შეადგენდა. განსხვავებით „ექსტრემალური ემოციების დაკმაყოფილების“ მიზნით ჩადენილი დანაშაულებისა და დამნაშავეებისაგან, რომელთა ქმედებებში „წინასწარგანწყობა“ მოტივის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენდა, „დაცვითი“ ტიპის დამნაშავეების შემთხვევაში, „წინასწარგანწყობას“ არსებითი ადგილი უკავია. ეს არის იმგვარ დამნაშავეთა ტიპი, რომლებიც დანაშაულს სამეზობლოს/უბნის ან თუნდაც ნაციის დაცვის სურვილით ჩადიან, რათა ისინი დაიცვან „სხვა“ ადამიანებისაგან, რომელთაგანაც გამოგონილი საფრთხე მომდინარეობს. აღნიშნული ტიპის დანაშაულის ჩამდენი პირები გამომძიებლებთან საუბრისას აცხადებდნენ, რომ „უცხოდ“ დასახული ადამიანების ჯგუფი (აზიელები, ლათინოსები, შავკანიანი მოქალაქეები) მათ უბნებში გადასახლდნენ, შესაბამისად, დანაშაულის მთავარი მოტივატორი იყო, ეიძულებინათ ეს ჯგუფები, რომ დაეტოვებინათ აღნიშნული ადგილები და, ასევე, სხვებისთვისაც გაეგზავნათ მესიჯი, რომ მათი ადგილი საზოგადოების ამ ჯგუფში (რომელსაც დამნაშავე/სამართალდამრღვევი მიეკუთვნება) არ არის. [111]

„რეაქციული“ დამნაშავეების ტიპის შემთხვევაში (8%), ეს უფრო შურისძიებაა, ვიდრე მიზანმიმართული ქმედება კონკრეტულ უმცირესობათა ან სხვა ჯგუფის მიმართ. ეს არის რეაქციული დანაშაული იმ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე, რომელიც ცნობილი გახდა საზოგადოებისათვის, მიუხედავად იმისა, სინამდვილეში ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულებრივ ქმედებას.[112]

დაბოლოს, **„მისიაზე მყოფი“** ტიპის დამნაშავეები/სამართალდამრღვევები, რომლებიც მიზანმიმართულად, ფანატიზმის საფუძველზე ჩადიან დანაშაულს. ისინი მიზნად ისახავენ, სოციუმი „გაათავისუფლონ“ ბოროტებისგან, რომელიც სერიოზული საფრთხით ემუქრება. ხშირად ამგვარი ტიპის დამნაშავე ორგანიზებულ ჯგუფებს უერთდება და ამგვარი ფორმით ჩადის დანაშაულს, თუმცა ინდივიდუალურად მოქმედების ფორმებიც არსებობს.[113] ამგვარ დანაშაულთა რაოდენობა ლევინისა და მაკდევიტის ანალიზის მიხედვით, 1%-ზე ნაკლებია.

აღნიშნული ტიპოლოგია კარგად აჩვენებს სხვადასხვა ქვეყანაში პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლო პრედიქტორებს, რომელიც ეყრდნობა, როგორც კულტურულ-

110 Mark Walters „A General Theory og Hate Crime? Strain, doing difference and self control.“ Springer Science+Business Media B.V. 2010

111 Jack McDevitt, Jack Levin, and Susan Bennett „Hate Crime Offenders, An Expanded Typology“, Perry B. „A reader: Hate and Bias Crime“, Routlegde, 2003, გვ.109-116

112 იქვე

113 იქვე

იდეოლოგიურ ბაზისებს, ისე მათ სოციოეკონომიკურ სტატუსს საზოგადოებაში. აღნიშნული ტიპოლოგიის გამოყენება საქართველოს შემთხვევაში ავტომატურად ვერ მოხდება, თუმცა ქმნის საინტერესო ბაზისს, თუ რას შეიძლება დაეფუძნოს საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩამდენ პირთა ტიპოლოგიის შექმნა და მისი გამოყენებით, შესაბამისი პრევენციული ნაბიჯების დაგეგმვა სახელმწიფოს მიერ.

2.2.3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამართლებრივი ბუნება

2012 წლამდე სისხლის სამართლის კოდექსში დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები მხოლოდ რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ და ენობრივ ნიშნებს მოიცავდა, საიდანაც ავტომატურად გამოირიცხებოდა დანაშაულები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისა და დაცულ საფუძველთა სრულყოფის მიზნით, 2012 წლის 27 მარტიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53.3[1] მუხლი, რომელმაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის სიძულვილის მოტივი კოდექსში მითითებული ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა. ნორმის მიღება განაპირობა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) საქართველოს მიმართ 2010 წლის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციამ, რომელშიც ევროპულმა კომისიამ კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, განესაზღვრა რასობრივი მოტივი სისხლის სამართლის ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად.[114]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს ასევე ახალი 142-ე მუხლი, რომელიც ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას სისხლისსამართლებრივ დანაშაულად აცხადებს. ნორმაში ასევეა მითითებული პირის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, როგორც თანასწორუფლებიანობის დარღვევის საფუძველი.

დანაშაულის რეგულირებისათვის კანონმდებლის მიერ გამოყენებულ სიტყვებს ქმედების შინაარსის გამოსაკვეთად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც სწორედ ის განსაზღვრავს ქმედების სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად კლასიფიკაციის ელემენტებს.[115] სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რეგულირებასთან მიმართებით, თუმცა პრაქტიკაში გამოიყოფა, ძირითადად, ორი მოდელი – „მტრობისა“ და „დისკრიმინაციული სელექციის“.

„მტრობის“ მოდელში სავარაუდო დამნაშავის ქმედება ნაწილობრივ მაინც უნდა ეფუძნებოდეს მის ნეგატიურ წინასწარგანწყობას, შეუწყნარებლობასა თუ სიძულვილს მსხვერ-

114 ECRI Report on Georgia, CRI (2010)17, fourth monitoring cycle, Adopted on 28 April, პარა. 11, იხ: http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-CbC-IV-2010-017-ENG.pdf

115 OSCE/ODIHR „Hate Crime Laws, A Practical Guide“, გვ. 46

პლის იდენტობის მიმართ. აღნიშნულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი რთულდება, რადგანაც სამართალდამცავ ორგანოს უწევს, აღმოაჩინოს სავარაუდო დამნაშავის სუბიექტური განწყობის დამადასტურებელი ობიექტური ფაქტი. ნორმის რეგულირების აღნიშნული მიდგომა მართალია, ყველაზე უკეთ გამოხატავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შინაარსს, მაგრამ შესაძლოა, დაბრკოლებებს ქმნიდეს მისი იმპლემენტაციისა და მტკიცებისთვის.[116]

„დისკრიმინაციული სელექციის“ მოდელის შემთხვევაში სავარაუდო დამნაშავე მიზანმიმართულად ირჩევს მსხვერპლს კონკრეტულ ჯგუფთან მიკუთვნებულობის გამო, თუმცა ამ შემთხვევაში მისი განწყობის შესახებ მოტივის მტკიცება არ არის საჭირო. ანუ ამ შემთხვევაში კანონმდებლები ყურადღების ფოკუსში აქცევენ კავშირს ქმედებასა და მსხვერპლის არჩევის მიზეზს შორის და არა დამნაშავის სუბიექტურ განწყობას.[117]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53.3[1] მუხლის დისპოზიციური შინაარსი **შეუწყნარებლობის მოტივზე** აკეთებს აქცენტს. ამ ნიშნით აღნიშნული ნორმა „მტრობის“ მოდელის ანალოგია. თუმცა, მიუხედავად მოდელისა, მსხვერპლსა და თემზე ასახული ზიანი ერთმანეთისგან არ განსხვავდება; მიყენებული სტრესი და ტრავმა, ერთნაირად საშიში და დისპროპორციულად მტკივნეულია.[118]

მიუხედავად კონკრეტული მოდელისა, მნიშვნელოვანია, რომ არსებული ნორმა სამართალდამცავმა უწყებებმა ფართოდ განმარტონ და მისი დავიწროება არ მოხდეს „სიძულვილის“, როგორც ძლიერი ემოციური გრძნობის გამოვლინებამდე.

მთავარი სირთულე, აღნიშნული ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, მათ შინაარსში დამნაშავის სუბიექტური აღქმის მაღალი კონცენტრაციაა. სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში დანაშაულის შემადგენლობის – სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების არსის გაგებას ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მხოლოდ მისი სწორი გააზრებით არის შესაძლებელი დანაშაულებრივი ქმედებისთვის ადეკვატური მატერიალური ნორმის მისადაგება, რადგანაც ქმედების ობიექტური შემადგენლობა დანაშაულის გარეგანი დახასიათებაა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ნიშნები კი დანაშაულის შინაგან, ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების დახასიათებას იძლევა. დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში სუბიექტური ნიშნებიდან ზოგიერთი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილება, ნაწილი კი – ბრალის ეტაპზე. შესაძლებელია, ერთი და იგივე სუბიექტური ნიშანი ან ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ან ბრალის ეტაპზე იქნას განხილული.[119]

116 იქვე, გვ. 46

117 იქვე, გვ. 48

118 იქვე

119 „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“, ირაკლი დვალიძე, გიორგი თუმანიშვილი, ნინო გვენეტაძე, 2015წ, GIZ, გვ.101

ზოგადად, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოტივი სხვადასხვა ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. კერძოდ, შესაძლოა, დანაშაულის შემადგენლობის ძირითად ნიშანს წარმოადგენდეს, მაშინ, როდესაც ის უმართლობის დამფუძნებელი ელემენტია და მოტივს აქ ობიექტური ბუნება აქვს. ასეთ შემთხვევაში, დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ გვექნება აღნიშნული მოტივის გარეშე. ასევე, როდესაც მოტივი ქმნის დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობას და დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებაა, ასეთ შემთხვევაში ის ყოველთვის ბრალის ნიშნად გვევლინება ანუ უმართლობა სიმძიმის თვალსაზრისით იგივე რჩება, ხოლო ბრალის ხარისხი მძიმდება.[120]

დაბოლოს, როდესაც მოტივი სასჯელის, როგორც შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებაა; სწორედ ამგვარი მუხლია სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილი, რომლითაც კანონმდებელი პირველ რიგში ავალდებულებს, სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინოს დანაშაულის მოტივი და მიზანი, რადგანაც ქმედების დანაშაულად სწორად კვალიფიკაცია და სასჯელის მიზნების განხორციელება ჩადენილი ქმედების მიზეზების ანუ ფსიქოლოგიური ახსნის გარეშე შეუძლებელია.[121]

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ყველა ავტორისათვის საერთოა ის აზრი, რომ მოტივი მოთხოვნილებითა და ინტერესით განპირობებული მამოძრავებელი ძალაა[...], რომელიც ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზად გვევლინება.[122] მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში სუბიექტის ქცევის მოტივზე მითითება ყოველთვის არ გვხვდება, უმოტივო ქცევა, როგორც დანაშაულის წინაპირობა, ფსიქოლოგიურად შეუძლებელია და ამიტომ დანაშაულებრივი ქმედების მოტივების დადგენა აუცილებელი ხდება[123]. შესაბამისად, რადგანაც დანაშაული ნებელობითი ქმედებაა, მისი ჩადენისას მოტივის დადგენა ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპირობაა[124], წინააღმდეგ შემთხვევაში, „მისი სწორად გამოძიება და სასამართლოს მიერ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა ვერ განხორციელდება.“[125]

გარდა კვალიფიკაციისა, ქმედების მოტივისა და მიზნის გამოკვლევას პრევენციული დატვირთვა აქვს, ის არა მარტო საშუალებას იძლევა, დავახასიათოთ დამნაშავის ფსიქიკური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენისას და გამოვავლინოთ მართლსაწინააღმ-

120 ი. დვალიძე „მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა“, Georgian Electornic Scientific Journal: Jurispridence, 2006, N1 (7), გვ. 6

121 იქვე

122 ი.დვალიძე „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-2-3, გვ.242

123 გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო, 2001, გვ.290

124 ი.დვალიძე „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-2-3, გვ.264

125 გურამ ნაჭყებია „სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი“ სახელმძღვანელო, 2001, გვ.290

დეგო ქცევის მიზეზები, არამედ მართებულად განვსაზღვროთ ბრალის ფორმა და დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი.[126]

ცხადია, დანაშაულებრივ ქმედებაში სუბიექტური ფაქტორების გამოკვეთა არსებით სირთულეს უკავშირდება, რადგანაც ის პირის პერსონალური, ფსიქიკური დამოკიდებულებაა ქმედებისადმი, რომლის გამოკვეთა და აღქმა ადვილი არ არის სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლებისათვის.

პირის პერსონალური დამოკიდებულება – წინასწარგანწყობა, შეუწყნარებლობა თუ სიძულვილი, ნიშნავს, რომ დანაშაული სწორედ აღნიშნული მოტივის საფუძველზე ჩაიდინეს. ნორმის გამოყენებისას არსებითად მნიშვნელოვანია დადგინეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედება **მთლიანად ან ნაწილობრივ** მოტივირებული იყო თუ არა პიროვნების სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე შეუწყნარებლობით. ამასთან, დამნაშავის სუბიექტური მოტივაციის დადგენის სირთულიდან გამომდინარე, შეუწყნარებლობის მოტივის მითითება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება თუ გამოძიება აღმოაჩენს საკმარის ობიექტურ ფაქტებს, რომელიც გონივრულ და ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ დამნაშავის ქმედება, მთლიანად ან ნაწილობრივ, მოტივირებული იყო შეუწყნარებლობით.

ამგვარი მოტივის შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ **დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის პროცესში და მის შემდეგ შესაძლო დამნაშავის** ნება გაცხადდა გარე სამყაროში რაიმე ფორმით და ობიექტურად შეცნობადი გახდება სხვებისათვის – როგორც დაზარალებულის, ისე გარშემომყოფებისათვის. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდო დამნაშავის მხრიდან შეუწყნარებლობის დემონსტრაცია არ არის მოტივის იდენტიფიცირების ერთადერთი საშუალება. საქმეზე გამომძიებელმა უნდა მოაგროვოს მტკიცებულებები პირის გამოკითხვის საშუალებით, მოიპოვის ინფორმაცია მისი წარსული ქცევების შესახებ, როგორიც შეიძლება იყოს რადიკალური, ულტრანაციონალისტური ჯგუფის წევრობა, სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის გავრცელება და სხვა.

126 ი. დვალიძე „მოტივისა და მიზნის სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა“, Georgian Electornic Scientific Journal: Jurispridence, 2006, N1 (7), გვ. 6

თავი 3
შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიკატორები

3.1. მოტივის იდენტიფიცირების პროცესში არსებული სირთულეები

ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების იდენტიფიცირება შესაძლოა რთული პროცესი იყოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნულ დანაშაულთა შესახებ არსებითად ცოტა რამ არის ცნობილი და პოლიციის მუშაკებს აკლიათ ადეკვატური ცოდნა და სენსიტიურობა, ყოველ კონკრეტულ საქმეში მოტივზე მიმანიშნებელი გარემოებებისა და ფაქტების აღმოჩენისა და მათი საქმეზე მიმაგრებისთვის.

ფუნდამენტურ უფლებათა ევროპული სააგენტოს (FRA) დოკუმენტის მიხედვით, პოლიციის მიერ დანაშაულის მოტივის იდენტიფიცირების პროცესში პრობლემათა წარმოქმნაზე შემდეგი ფაქტორები შეიძლება თამაშობდეს მნიშვნელოვან როლს[127]:

პირველი – პოლიციის ზოგიერთ თანამშრომელს სრულყოფილად არ ესმის „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის“ შინაარსი და მისი გავლენა მსხვერპლზე, შესაბამისად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ ფიზიკურად გამოხატულ ქმედებაზე და მისი სუბიექტური ფაქტორი ნაკლებმნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

მეორე – დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივის დადგენა არსებით სირთულეს უკავშირდება, ვიდრე მისი ობიექტური ნიშნების, ხშირად კი პოლიციის თანამშრომლებს არ ჰყოფნით დრო, უნარი და სხვადასხვა სახის რესურსი (მათ შორის, ადამიანური), რათა დამატებითი ძალისხმევა მიმართონ მოტივის იდენტიფიცირებისათვის.

მესამე – პოლიცია ხშირად მიიჩნევს, რომ დისკრიმინაციული მოტივის დადგენა მათ მოვალეობაში არ შედის და პროკურატურის ან სასამართლოს მიერ დასადგენი საკითხია პროცესის საბოლოო ეტაპზე. შესაბამისად, პოლიცია ფიქრობს, რომ მისი სამუშაოს ფოკუსში მხოლოდ დანაშაულის ირგვლივ არსებული ფაქტების შეგროვება უნდა ექცეოდეს.

აღნიშნული წარმოშობს მნიშვნელოვან კითხვას, თუ რამდენად ნათლად განასხვავებს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა დანაშაულს, რომელიც ჩადენილია სიძულვილის მოტივით და მის გარეშე ჩადენილ დანაშაულს. თუ მოტივის დადგენა არ ცვლის დანაშაულის სამართლებრივ მახასიათებლებს, პოლიციას, როგორც წესი, ნაკლები მოტივაცია აქვს, გამოიძიოს და დანაშაულის აღწერისას ადეკვატურად ასახოს შესაძლო სიძულვილის მოტივი.

127 FRA, Ensuring justice for hate crime victims: professional perspectives, გვ. 46

მეოთხე – პოლიციის თანამშრომლები ისევე არიან კონკრეტული საზოგადოების წევრები, როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქე. შესაბამისად, ისინი არ არიან დაცულები ამ სოციუმის მიერ დადგენილი წინასწარგანწყობებისა და რწმენისგან; ზოგჯერ ისინიც იზიარებენ დამნაშავის დისკრიმინაციულ რწმენას და ვერ ხედავენ მათი მოგვარების საჭიროებას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის თანამშრომლების ცნობიერება და დამოკიდებულება იცვლება საზოგადოების მიერ განსხვავებულობის მიღებასთან ერთად. შესაბამისად, მათთან მუშაობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიზანმიმართული კამპანია.

3.2. მოტივის იდენტიფიკატორები

ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების მახასიათებლების ზოგადი მიმოხილვა

შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებში ბრალდებულისა და დაზარალებულის/მოწმის განსხვავებული იდენტობა შესაძლო ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ მოტივზე მიმანიშნებელი პირველადი ფაქტორია. სხვადასხვა კვლევით გამოვლინდა, რომ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი ორიენტაციის გამო ექვემდებარებოდნენ ძალადობის სხვადასხვა ფორმას, მოტივის იდენტიფიცირებას ბრალდებულის მიერ გამოთქმული სიძულვილის შემცველი და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით ახდენენ[128]. თუმცა იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის მხრიდან ჰომოფობიური განცხადებები არსებითად შეცნობადი არ არის, მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში მსხვერპლისთვის მოტივი შეცნობადი სიტუაციაზე დაკვირვებით გახდა.[129]

აღნიშნულმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ლგბტ თემის იმ წევრებმა, რომლებიც დაბალ სოციალურ კლასს წარმოადგენენ და სოციალური მოწყვლადობის ხარისხი მაღალია, შესაძლოა ნაკლებად მიაქციონ ყურადღება დანაშაულის მოტივსა და მისი გამომწვევი მიზეზების საფუძვლებს.[130] შესაბამისად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ამსახველი რელევანტური ნორმის ქონა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მსხვერპლმა მის საფუძველზე მიიღოს სამომავლო ზომები, მათ შორის, მიმართოს პოლიციას. იმ ადამიანს, რომელმაც არ იცის ნორმის არსებობის შესახებ ან იცის, მაგრამ არ იცის, როგორ მუშაობს, შესაძლოა არ მიუწვდებოდეს ხელი, მიიღოს ადეკვატური სერვისი და რელევანტური რეაგირება განხორციელდეს მის საქმეზე.

128 Doug Meyer, „INTERPRETING AND EXPERIENCING ANTI-QUEER VIOLENCE: RACE, CLASS, AND GENDER DIFFERENCES AMONG LGBT HATE CRIME VICTIMS“, Race, Gender & Class: Volume 15, Number 3-4, 2008 (262-282)

129 იქვე

130 იქვე

გარდა მსხვერპლის აღქმებისა, ასევე მნიშვნელოვანია თუ რა სივრცეებში და ვის მიერ ხორციელდება ჰომო/ტრანსფობიური დანაშაული ხშირ შემთხვევებში.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით (კალიფორნია, საკრამენტო), რომელიც სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ვიქტიმიზებული მსხვერპლის გამოცდილებებს ეხებოდა, აჩვენა, რომ გამოკითხულთა (N=450) 60%-ს, რომლებიც მათი ორიენტაციის გამო დაექვემდებარნენ დანაშაულის სხვადასხვა ფორმას, აღნიშნული საჯარო ადგილას შეემთხვათ. იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც დამნაშავეთა რაოდენობის მითითება შეძლეს, აღნიშნეს, რომ მათ ერთი ადამიანი დაესხათ თავს (68%), თუმცა შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში, დამნაშავეთა რაოდენობა ორი ან ორზე მეტი გამოიკვეთა (46%), ვიდრე აღნიშნული მოტივის გარეშე ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში (17%). ამასთან, უცნობი პირებისგან მომდინარე დანაშაულთა პროცენტულმა მაჩვენებელმა 70% შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ უმრავლეს შემთხვევაში (61%) მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენები იყვნენ მოზარდები ან ახალგაზრდები და უმეტეს შემთხვევაში მამრობითი სქესის წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის დანაშაული იყო.[131]

მართალია, აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ დანაშაულთა დიდი რაოდენობა ქუჩაში, საჯარო სივრცეში, ერთმა ან რამდენიმე უცნობმა კაცმა ჩაიდინა, მაგრამ უზუსტობა იქნება აღნიშნულ ქმედებთა „ქუჩის დანაშაულების“ შინაარსით კონცეპტუალიზება, რადგანაც ლგბტ თემის წევრები ექვემდებარებიან სხვადასხვა სახის დანაშაულს არა მხოლოდ ქუჩაში, არამედ სკოლებში, საცხოვრებელ უბნებში, სამუშაო ადგილასა და ოჯახშიც კი, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ისინი ყველა სივრცეში ექცევიან ძალადობის რისკის ქვეშ და, როგორც წესი – ყოველთვის, როდესაც მათი მონიშვნა ხდება როგორც გეის, ლესბოსელისა და ბისექსუალის.[132]

მიიჩნევა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს უცხო ადამიანების მიერ ჩადენილ ქმედებებს, რომელთანაც მსხვერპლს ძალიან მცირე ან არანაირი პერსონალური კონტაქტი არ აქვს. მართალია, დანაშაულის ამგვარი კონსტრუქცია გვეხმარება, გავიგოთ, თუ როგორ ძლიერდება აღნიშნული ქმედებებით სოციალური იერარქიები, თუმცა არასწორია იმის მტკიცება, რომ მსხვერპლი და დამნაშავე ყოველთვის უცხონი არიან ერთმანეთისთვის. მაგალითად, სხვადასხვა მკვლევარმა დაადასტურა, რომ დამნაშავე და მსხვერპლთა დიდი რაოდენობა ერთმანეთისთვის უცხო არ არის. ეს ეჭვქვეშ აყენებს პოპულარულ ხედვას – სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, როგორც „უცხოსგან მომავალი საფრთხის“ (ე.წ. Stranger Danger) ფორმას.[133] აღნიშნული პრობლემატური შეიძლება გახდეს ოჯახში ძალადობის, როგორც შეუწყნარებლობით ჩადენილი ქმედების სწორად კვალიფიკაციის დროს.

131 Herel G.M., Jeanine C.Cogan, an J.Roy Cillis „Victim Experiances in Hate Crime Based on Sexual Orientation“, from Perry B. „Hate and Bias Crime“, Routledge, 2003, გვ. 243-259

132 იქვე

133 Chakraborti N., Garland J. „Hate Crime: Impact, Causes and Responces“, Sage, გვ. 13

ოჯახში ჩადენილი დანაშაული

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული არ ხდება მხოლოდ საჯარო სივრცეში ან იმ დახურულ სივრცეებში, სადაც მსხვერპლი პერიოდულად მიდის. მშობლებისა თუ ოჯახის სხვა წევრების მხრიდან მომდინარე ძალადობა, რომელიც ეფუძნება პირის სექსუალურ ორიენტაციას ან/და გენდერულ იდენტობას, ასევე წარმოადგენს შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულს და შესაბამისად უნდა დაკვალიფიცირდეს.

დანაშაულის ბუნება — სისასტიკე

ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, ძალადობრივ დანაშაულში, როდესაც სხვა უფრო აშკარა მოტივის იდენტიფიცირება პირველად ეტაპზე ვერ ხერხდება და როდესაც მსხვერპლსა და სავარაუდო დამნაშავეს განსხვავებული იდენტობა აქვთ, მისი სიმძიმე და სისასტიკე წარმოადგენს ძლიერ ინდიკატორს იმის მისანიშნებლად, რომ დანაშაული შეუწყნარებლობის მოტივით ჩაიდინეს. იმ ადამიანთა დეჰუმანიზებისა და ღირსების შელახვის მიზნით, რომელთა წინააღმდეგაც სავარაუდო დამნაშავეს ნეგატიური წინაწარგანწყობები აქვს, შესაძლოა, დანაშაულსს სწორედ ექსტრემალური და სასტიკი ფორმა ჰქონდეს.[134]

მსხვერპლისა და მოწმის აღქმა

- დანაშაულის ფაქტის გამოძიების პროცესში არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს მსხვერპლისა და მოწმის მიერ კონკრეტული ქმედების აღქმის საკითხს. თუ მსხვერპლი აღიქვამს, რომ დანაშაულის საფუძველი მისი სექსუალური ორიენტაცია ან/და გენდერული იდენტობა გახდა, პოლიციამ აღნიშნული აღქმის ობიექტური დადასტურების მიზნით შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩაატაროს.

- მსხვერპლის მოსაზრება და აღქმა, როგორც წესი, პირდაპირი ინდიკატორია, რომ დანაშაული კონკრეტული მოტივის საფუძველზე განხორციელდა, რადგანაც აღნიშნული აღქმა ეფუძნება მსხვერპლის პირად გამოცდილებას, თავდასხმის გარემოებებს, დამნაშავის იდენტიფიკაციას და სხვა მრავალ ფაქტორს. ამასთან, ხშირად მოწმის აღქმაც მნიშვნელოვანია, რომელიც შესაძლოა ძლიერი ინდიკატორი აღმოჩნდეს დამნაშავის განწყობებსა და დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან დაკავშირებით.[135]

134 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate crimes: A Practical Guide, გვ. 48

135 OSCE/ODIHR „Preventing and Responding to Hate Crimes – A Resource guide for NGOs in OSCE region“, 2009, გვ. 21

ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის კანადასა და დიდ ბრიტანეთში, სტატისტიკის წარმოება სწორედ მსხვერპლის აღქმას ეფუძნება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა საკმარისი მტკიცებულება საქმეში, პოლიცია ვალდებულია, რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივი შესაბამისად ასახოს დანაშაულთა აღრიცხვის სისტემაში. ზოგიერთი ანალიტიკოსის მტკიცებით, ეს მიდგომა ხელს უწყობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ქმედებების ეფექტურ მონიტორინგს და უზრუნველყოფს დამატებით რეაგირებას.

სავარაუდო დამნაშავის მახასიათებლები, ქცევა და წარსული

ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის დროს, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი თავის ნეგატიურ წინასწარგანწყობას მსხვერპლის გენდრული მიკუთვნებულობისა თუ სექსულური ორიენტაციის მიმართ **დანაშაულის ჩადენამდე, დანაშაულის დროს ან მას შემდეგ** აუცილებლად რაიმე ფორმით გამოხატავს.

თავად სავარაუდო დამნაშავის იმგვარი ქმედებები, როგორიც არის შეურაცხმყოფელ კონტექსტში მსხვერპლის მოხსენიება, უარყოფითი შინაარსის სახელების დაძახება, სხეულის ენა – ჟესტიკულაცია, შესაძლოა, ძლიერ მტკიცებულებას წარმოადგენდეს, როდესაც დანაშაული ჰომოფობიური თუ ტრანსფობიური მოტივით არის ჩადენილი.

- სავარაუდო დამნაშავის ფიზიკური, ვერბალური თუ არავერბალური ქცევა, ჟესტები, შეძახილები, განცხადებები დანაშაულამდე, მის დროს ან შემდეგ, რომელიც შეიცავს ნეგატიურ წინასწარგანწყობას მსხვერპლის იდენტობის ან იმ ჯგუფის მიმართ, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება ან დამნაშავე აღიქვამს, როგორც ამ ჯგუფის წევრს;

- სავარაუდო დამნაშავის მხრიდან მსხვერპლის მიმართ სიძულვილის შემცველი ზეპირი გამონათქვამი, წერილობითი მიმართვა ან ჟესტიკულაცია. მაგალითად, დამნაშავე მსხვერპლს მიმართავდა ჰომოფობიური, ბიფობიური, ტრანსფობიური ეპითეტით;

- სიძულვილის გამომხატველი ნახატის, ნიშნის, სიმბოლოს, გრაფიტის დატოვება დანაშაულის ადგილზე. მაგალითად, დამნაშავემ სვასტიკა დახატა ლგბტ პირთა თავშეყრის ადგილას;

- დანაშაულის ადგილზე სავარაუდო დამნაშავის მიერ სპეციფიკური საგნის დატოვება, რაც მიუთითებს სიძულვილის მოტივზე;

- სავარაუდო დამნაშავის საჯარო გამოსვლები, მისი წარსული და დანაშაულებრივი ქმედების შემდგომი და მიმდინარე აქტივობა სოციალურ ქსელებში მიუთითებს მის ნეგატიურ წინასწარგანწყობებს ლგბტ ჯგუფის მიმართ;

- სავარაუდო დამნაშავის ჩაცმულობა, ტატუირება ან სხვა ექსტრემისტული ვიზუალიზაცია, მაგალითად, ნაცისტური სიმბოლიკა ან/და ნახევრად მილიტარისტული ჩაცმულობა;

- სავარაუდო დამნაშავის ქცევა, რომლითაც ის შეიძლება გაიგივდეს, როგორც ორგანიზებული ნაცისტური, რასისტული ან სხვა რადიკალური დაჯგუფების წევრი, მაგალითად, თუ ის ესწრებოდა/მონაწილეობდა რადიკალური ორგანიზებული ჯგუფის მანიფესტაციებში და ა.შ.;

- დანაშაულში რადიკალური ჯგუფის მონაწილეობაზე მინიშნება. მაგალითად, დანაშაულის ჩადენის შემდეგ რადიკალურმა დაჯგუფებამ აიღო პასუხისმგებლობა მასზე ან ეს დაჯგუფება დანაშაულის ადგილზე აქტიურია;

- სავარაუდო დამნაშავის კრიმინალური ისტორია, რომელიც შინაარსობრივად მსგავსია აღნიშნული თავდასხმის; მაგ: დანაშაულის ჩამდენი პირი ადრე მონაწილეობდა მსგავს დანაშაულში ან არის რასისტული, ქსენოფობიური ან ჰომოფობიური ჯგუფის წევრი.

მსხვერპლის მახასიათებლები

- სავარაუდო დამნაშავეს და მსხვერპლს აქვთ სხვადასხვა სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა;

- თუ მსხვერპლი რაიმე ფორმით გამოირჩევა ან განსხვავდება სავარაუდო დამნაშავისგან ან ზოგადად, საზოგადოების სხვა წევრებისგან, აღნიშნული შეიძლება, მიუთითებდეს ჰომოფობიურ ან/და ტრანსფობიურ მოტივზე. მაგალითად, მსხვერპლს აცვია განხვავებულად ან მისთვის საზოგადოების მიერ დადგენილ გენდერული როლთან შეუსაბამოდ (მაგ. მსხვერპლი ატარებს პირსინგს, ტატუირებული აქვს სხეული და სხვ.);

- მსხვერპლი არის ცნობილი (ან საჯარო) პიროვნება ან ადამიანის უფლებათა დამცველი, ან/და ლგბტ სათემო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელსაც საზოგადოება იცნობს როგორც ლგბტ უფლებების დამცველს, ან ის ხშირად ჩნდება საზოგადოებაში და წარმოადგენს ლგბტ თემს;

- მსხვერპლი, მიუხედავად მისი მიკუთვნებულობისა კონკრეტულ ჯგუფთან, ხშირად იმყოფება ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ან ასეთად მიჩნეული ადამიანების გარემოცვაში;

- მსხვერპლი თავად არ არის მიზანში ამოღებული სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის ჯგუფის წევრობის გამო, მაგრამ საჯაროდ უჭერდა მხარს მოწყვლად ჯგუფს;

- მსხვერპლი ეწეოდა ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებული იყო თავისი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის გაძლიერებასთან. მაგალითად, მონაწილეობდა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საერთაშორისო დღეს გამართულ აქცია/მანიფესტაციაში, ან სხვა საჯარო ღონისძიებაში, რომელიც კავშირშია ლგბტ ჯგუფის უფლებების დაცვასთან.

გარემოებითი იდენტიფიკატორები

- ისტორიული დაპირისპირება სავარაუდო დამნაშავისა და დაზარალებულის ჯგუფებს შორის;

- დანაშაული ჩაიდინეს სიმბოლურ დღეს; მაგალითად, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დღეს (IDAHOT);

- დანაშაული მოხდა 20 ნოემბერს – ტრანსგენდერ ადამიანთა ხსოვნის დღეს;

- დანაშაული ჩაიდინეს 31 მარტს – ტრანსგენდერ ადამიანთა ხილვადობის დღეს;

- ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას მოხდა რამდენიმე დანაშაული, რომელიც ჩადენილი იყო ერთი და იმავე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირის მიმართ;

- მსხვერპლი იმყოფებოდა ისეთ ადგილას, სადაც ადრე მოხდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების ან/და გენდერული იდენტობის გამო და სადაც მსხვერპლის ჯგუფის მიმართ მტრობის ხარისხი ძალიან მაღალია;

- დანაშაული მოხდა ლგბტ ორგანიზაციის ან/და სათემო ცენტრის სიახლოვეს ან იმავე უბანში;

- დანაშაული მოხდა ლგბტ მეგობრულ კლუბში, კაფეში, თავშეყრის სხვა ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე;
- დანაშაული მოხდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე გამართულ ღონისძიებაზე/დისკუსიაზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- დანაშაული ჩაიდინეს იმ ადგილას, სადაც ლგბტ თემის წარმომადგენელი ცხოვრობს და, ამასთან, აქ მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა იცის მისი არსებობის შესახებ; იმ დასახლების მცხოვრებთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, სადაც ინციდენტი მოხდა, დანაშაული აღიქვა სიძულვილის მოტივით ჩადენილად;
- დანაშაული მოხდა სექსმუშაკთა (გეი, მსმ და ტრანსგენდერ სექსმუშაკთა) სამუშაო სივრცეში ან მის მიმდებარე ადგილას.

ზემოხსენებულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით FBI-ს ინსტრუქციებში ვხვდებით გაფრთხილებას, რომ მოტივთან დაკავშირებით შეცდომის დაშვების თავიდან ასაცილებლად, გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებებს:

1. არსებობს შეცდომაში შემყვანი ფაქტი – მაგალითად, სავარაუდო დამნაშავემ მსხვერპლის მიმართ გამოიყენა ჰომო/ტრანსფობიური ეპითეტი, მაგრამ დანაშაული სიძულვილით მოტივირებული არ ყოფილა, ვინაიდან მსხვერპლიც და დამნაშავეც ერთი და იმავე იდენტობით გაერთიანებული ჯგუფის წარმომადგენელია;

2. სავარაუდო დამნაშავემ მოაწყო სიძულვილის დანაშაულის ინსცენირება;

3. სავარაუდო დამნაშავემ მსხვერპლი შეცდომით მიაკუთვნა მიზანში ამოღებულ ჯგუფს – თუნდაც სავარაუდო დამნაშავე ცდებოდეს მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენტობის ნიშანზე, ეს მაინც იქნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ვინაიდან დანაშაული არ მოხდებოდა, პირს მტრული დამოკიდებულება რომ არ ჰქონოდა კონკრეტული ჯგუფის მიმართ. მაგალითად, საშუალო ასაკის ჰეტეროსექსუალი მამაკაცი მოძრაობდა იმ ბართან, სადაც ხშირად გეიმამაკაცები იკრიბებიან. ამ დროს აღნიშნულ ჰეტეროსექსუალ მამაკაცს თავს დაესხა 6 ახალგაზრდა, რომელთაც მსხვერპლი ბარიდან გამოსულ გეიმამაკაცში აერიათ. მოცემულ შემთხვევაში, ახალგაზრდებს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ სექსუალური ორიენტაციის სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის;

4. მოტივის ცვლილება ახალი მტკიცებულების აღმოჩენის გამო – შესაძლოა, თავდაპირველად დანაშაული არ იყოს სიძულვილის მოტივით ჩადენილი, მაგრამ ეს გარემოება გამოძიების შემდეგ ეტაპზე გამოიკვეთოს. ასევე, შესაძლოა, თავდაპირველად არსებობდეს მტკიცებულება, რომ დანაშაული რასობრივი სიძულვილის საფუძველზე მოხდა, მაგრამ მოგვიანებით დადგინდეს რელიგიური სიძულვილის მოტივი. ახლად აღმოჩენილი მტკიცებულების შემთხვევაში, მონაცემები უნდა განახლდეს;

5. სავარაუდო დამნაშავეს ჰქონია იმავე ჯგუფის ადამიანებთან ურთიერთობა, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება – ხშირად არსებობს მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ დამნაშავის ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლებიც იმავე ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელსაც მსხვერპლი, გამორიცხავს შეუწყნარებლობის მოტივს საქმეში; აღნიშნული ყოველთვის ასე არ არის. მოტივი და წინასწარგანწყობა კომპლექსური ფენომენია. ხშირად ადამიანები იცნობენ სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელ პირებს და მოსწონთ კიდეც ისინი, თუმცა აღნიშნულ პიროვნებებს გამონაკლისად აღიქვამენ და არა, როგორც მთლიანი ჯგუფის მიმართ პირადი სტერეოტიპების უარყოფის მიზეზს. ამიტომ, კონკრეტულ ქმედებაში მოტივის აღმოსაჩენად მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციის მოგროვება სამართალდამცველებს სრული სურათის დანახვის შესაძლებლობას ვერ მისცემს.[136]

136 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes: A Practical Guide, გვ. 69

თავი 4
სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის რეაგირება და მექანიზმები

4.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი — რეაგირება, იმპლემენტაცია და პრევენცია

4.1.1. საპატრულო პოლიციის როლი

ეფექტიანობა და დროულობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს საპატრულო პოლიციის შესახებ დამტკიცებული დებულების[137] შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს გამოძიებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას; იყენებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ იძულების ღონისძიებებს; ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ამავე დებულებით განისაზღვრება საპატრულო დეპარტამენტის საქმიანობის პრინციპები, რომელიც პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვას, სოციალურ სამართლიანობას, ჰუმანიზმსა და საჯაროობას ეფუძნება.[138]

საპატრულო პოლიციამ შესაძლოა დანაშაულის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროდან მიიღოს, მათ შორის, მსხვერპლის ან მოწმის უშუალო მიმართვით, საჩივრით, მედიასა და ონლაინ სივრცეში გავრცელებული ინფორმაციის სახით და სხვა.

ამასთან, მსხვერპლმა ან მოწმემ შესაძლოა, დანაშაულის შესახებ აცნობოს სსიპ „112-ს“, რომელიც უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ შეტყობინებებზე შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამისი სუბიექტებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.[139] მნიშვნელოვანია, რომ სსიპ „112“ საგანგებო

137 დებულება დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2006 წლის მაისის N 634 ბრძანებით, მუხლი 1, იხ: http://police.ge/files/sajaro_informacia/SAPATRULOS%20DEBULEBA.pdf

138 იქვე, მუხლი 4.

139 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1073, 2011 წლის 28 დეკემბერი, ქ. თბილისი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 9, პუნქტი 2(ბ)

და გადაუდებელი ვითარების შემთხვევაში, რეაგირებაზე უფლებამოსილი სუბიექტების დანიშნულების ადგილზე მისვლამდე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უწევს მოქალაქეებს პირველად კონსულტაციას.[140]

ამასთან, საპატრულო პოლიციის სამორიგეო-საინფორმაციო სამმართველო უზრუნველყოფს დეპარტამენტში შესული დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და საზოგადოებრივად საშიში სხვა ქმედების შესახებ ინფორმაციის მიღებას, რეგისტრაციას, დამუშავებას, მათზე რეაგირებას და დროულ გაცნობას შესაბამისი სამსახურებისა და უწყებებისათვის.[141]

მსხვერპლი ან/და მოწმე, რომელიც უკავშირდება სსიპ „112-ს" შესაძლოა, არ მიუთითებდეს დანაშაულის მოტივზე, თავის ან მსხვერპლის იდენტობაზე და არც ის აღნიშნოს, თუ რა მიზეზით მოხდა ან/და ხდება დანაშაული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლის, მოწმისა თუ მესამე პირის მიმართვის, განცხადებისა და სატელეფონო ზარის შემთხვევაში, რომელიც კონკრეტულ დანაშაულზე ან მისი ჩადენის საშიშროებაზე იძლევა ინფორმაციას, პასუხი გაიცეს დროულად, ადეკვატურად შეფასდეს რისკი და მათ აღმოსაფხვრელად ეფექტიანი მექანიზმები გამოიყენონ.

კონტაქტის დამყარება მსხვერპლთან/მოწმესთან და პირველადი ზომები

ადგილზე გასული საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის, თითოეული თანამშრომლის მოქმედებები უნდა იყოს ვითარების ადეკვატური.

სავარაუდო დანაშაულის ადგილზე მისვლისას საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა პირველ რიგში ნათლად და გასაგებად უნდა აუხსნას სავარაუდო მსხვერპლს ან მოწმეს, თუ რისი გაკეთება შეუძლია.

პატრულის თანამშრომლ(ებ)ის რეაგირება შემდეგნაირი უნდა იყოს:

- დროულად შეაფასოს ანტისაზოგადოებრივი ქცევის რისკი, მისი მიმართება მსხვერპლსა და გარშემომყოფებთან;
- გაერკვეს ვითარებაში, გამოკითხოს დაზარალებული ან მესამე პირი, რომლისგანაც მიიღო ინფორმაცია დანაშაულის შესახებ;

140 იქვე, მუხლი 9.2(დ)

141 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 634, 2006 წლის 16 მაისი ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 12 (ა).

- ყურადღებითა და გულისყურით მოაგროვოს შეძლებისდაგვარად სრული და ამომწურავი ინფორმაცია;

- მოახდინოს მსხვერპლზე ან მოწმეზე შესაძლო ნებისმიერი ზიანის აღმოჩენა (მათ შორის, ნებისმიერი დაზიანების) და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახოს სასწრაფო დახმარება ან უზრუნველყოს სხვა შესაბამისი სერვისი.

მსხვერპლის/მოწმის გამოკითხვა

სავარაუდო მსხვერპლისა თუ მოწმის გამოკითხვისას არსებითად მნიშვნელოვანია, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა დაიცვას ეთიკის სტანდარტები და თავიდან აირიდოს დისკრიმინაციული ქცევა, რამაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს მსხვერპლს/მოწმეს, გაიხსნას და ითანამშრომლოს პოლიციასთან. ამასთან მსხვერპლსა და მოწმესთან თანაგრძნობით მოპყრობა და ყველა დეტალის მიმართ ყურადღების გამოჩენა ასევე აჩვენებს მსხვერპლს, რომ მის საქმეს სერიოზულად ეკიდებიან.[142]

ხშირად პოლიციის დამოკიდებულება ემთხვევა დამნაშავის უარყოფით განწყობას ლგბტ ადამიანების მიმართ. შესაძლოა, პოლიციის უწყებაში არსებობდეს არაფორმალური პრაქტიკა, რომ ლგბტ პირების მიმართ ჩადენილი დანაშაული სერიოზულად არ მიიჩნიონ. მსგავს გარემოში საპატრულო დანაყოფის მუშაკებმა შეიძლება, ყურადღება არ მიაქციონ, ან არასრულად გამოკითხონ მსხვერპლი/მოწმე და სავარაუდო დამნაშავე შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივის არსებობაზე, ან ადეკვატურად არ ასახონ მიღებული ინფორმაცია შესაბამისი რეაგირების დოკუმენტებში.[143]

ამიტომ, საპატრულო ოფიცრების მიმართ სისტემის შიგნით უნდა არსებობდეს არსებითად ღია მოწოდება, რომელიც განსაზღვრავს ამგვარი დანაშაულის პრიორიტეტულობას და მასზე ადეკვატური რეაგირების მოტივაციას გაუზრდის პოლიციის თანამშრომლებს.[144]

ამასთან, პოლიციის ოფიცრებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ, რომ მათ მიერ მიღებული ზომები ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე შესაძლოა შემოწმდეს და გაკონტროლდეს ზედამხედველობასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

მნიშვნელოვანია, რომ მსხვერპლის/მოწმის გამოკითხვის პროცესში მის პერსონალურ აღქმას დანაშაულის გარემოებისა და მოტივის შესახებ არსებითი მნიშვნელობა

142 OSCE/ODIHR, Preventing and Responding to Hate crimes, გვ. 27
143 იქვე, გვ.28
144 Bowling - chakraborti

აქვს, რადგანაც როგორც ზემოთ აღინიშნა, დანაშაულში ჰომოფობიური ან/და ტრანსფობიური მოტივის გამოკვეთის პირველადი ნიშანი უშუალოდ მსხვერპლის სუბიექტურ აღქმას ეფუძნება[145], თუ მსხვერპლმა აღიქვა, რომ დანაშაული მისი იდენტობის ან/და ორიენტაციის საფუძველზე მოხდა, პოლიციელმა **აღნიშნული ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს.**

ამასთან, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურ სივრცეში მსხვერპლთან/მოწმესთან გასაუბრება, თუ ამის სურვილს თავად გამოთქვამს.

მნიშვნელოვანია, რომ პოლიციელმა ზუსტად იმ სიტყვებით ასახოს მსხვერპლის ან/და მოწმის მიერ გაზიარებული ინფორმაცია, როგორც მოუყვნენ. დანაშაულის ადგილზე, თუ იქნება შესაძლებლობა, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა შემდეგი ინფორმაცია უნდა გამოკითხოს მსხვერპლს ან/და მოწმეს:

– მოკლედ აღწეროს ვითარება;

– ინციდენტის/დანაშაულის დეტალები, მათ შორის, ხომ არ იყო გამოყენებული იარაღი ან მუქარა;

– დაზიანებების ხასიათი;

– სხვა ვინ იმყოფებოდა დანაშაულის ადგილას და შეეძლო თუ არა დაენახა და აღექვა მომხდარი ფაქტი;

– ეჭვმიტანილ(ებ)ის საიდენტიფიკაციო ნიშნები ან მისი/მათი აღწერა.

აღნიშნული დეტალები საკმარისი უნდა იყოს საიმისოდ, რომ სხვა პოლიციელს/გამომძიებელს შესაძლებლობა მისცეს, გამოკითხოს იდენტიფიცირებული ეჭვმიტანილი და კანონის შესაბამისად დააკავოს იგი. უფრო დეტალური გამოკითხვა მოგვიანებით, შემდგომ ეტაპზე უნდა განხორციელდეს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მსხვერპლის/სავარაუდო დაზარალებულის გამოკითხვისას საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა თუ გამომძიებელმა **არ უნდა დაუსვას მას კითხვა პირის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ,** თუ აღნიშნულ ინფორმაციას გადამწყვეტი მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ აქვს.

145 OSCE/ODIHR Prosecuting hate crimes: A practical guide, გვ. 46, იხ: http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true

ტრანსგენდერ ადამიანებთან ურთიერთობისას შესაძლოა, სამართალდამცავ მუშაკებში დაბნეულობა გამოიწვიოს კონკრეტული პირის გარეგნობამ, ჩაცმულობამ ან ქცევამ, რომელიც არ თავსდება საზოგადოების მიერ ქალისა და კაცისათვის დადგენილ გენდერულ როლებში. **ასეთ დროს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, პოლიციის ოფიცერმა ყოველთვის ჰკითხოს შესაძლო მსხვერპლს, თუ როგორ უნდა, რომ მიმართოს;** არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაისვას კითხვა, თუ რატომ აცვია მას ასე, „ქალი ხარ თუ კაცი“ და მსგავსი არაეთიკური და ხშირად დამაკნინებელი კითხვები.

არსებითად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტრანსგენდერ ადამიანს შესაძლოა, არ ჰქონდეს საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში შეცვლილი სახელი ან/და სქესის შესახებ ჩანაწერი, შესაბამისად, მასთან კომუნიკაციისას აუცილებელია, გამოიყენებოდეს ის სახელი, რომლითაც თავად წარუდგა პოლიციის თანამშრომელს. აღნიშნული პრინციპის დაუცველობა არა მარტო არაეთიკურია, არამედ შესაძლოა გამოიწვიოს პირის იდენტობის უნებლიე გამჟღავნება. თუმცა ცხადია, ოფიციალურ დოკუმენტებში ის სახელი, გვარი და სქესი აისახება, რომელიც მითითებულია მის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში.

თუ მსხვერპლი/სავარაუდო დაზარალებული თავად მიუთითებს თავის სექსუალურ ორიენტაციასა თუ გენდერულ იდენტობაზე, აღნიშნული უნდა აისახოს მსხვერპლის/სავარაუდო დაზარალებულის გამოკითხვის ოქმში (მოწმის გამოკითხვის ოქმი), მისი შინაარსის **კონფიდენციალობა კი მკაცრად იქნას დაცული.**

პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ჩართულები არიან გამოძიების პროცესში, ასრულებენ საგამოძიებო მოქმედებებს ან/და ხელი მიუწვდებათ შესაბამის ინფორმაციაზე, ასევე ევალებათ, დაიცვან მსხვერპლის/სავარაუდო დაზარალებულისა და მოწმის პერსონალური ინფორმაცია მათ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ მიკუთვნებულობაზე და **არ გაუმხილონ** ის მსხვერპლის ან/და მოწმის მშობლებსა და მეგობრებს, მათ მიერ ღიად და ნათლად ჩამოყალიბებული **ნებართვის გარეშე.** მიუღებლობისა და სტიგმის თავიდან არიდების მიზნით მსხვერპლსა და მოწმეს შესაძლოა არ ჰქონდეს გამხელილი ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის თავისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ; ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნებამ, თუნდაც უნებლიედ, შესაძლოა, მძიმე შედეგები გამოიწვიოს, როგორც პირის მიმართ უშუალოდ, ასევე მის დამოკიდებულებასა და ნდობაზე პოლიციისადმი.

როდესაც პოლიცია მსხვერპლის ოჯახსა და მეგობრებს ატყობინებს დანაშაულის შესახებ, უმჯობესია, მიეთითოს მხოლოდ ის, რომ კონკრეტული ინდივიდი გახდა დანაშაულის (ზოგადად) მსხვერპლი და არ მიაწოდოს ინფორმაცია დანაშაულის შესაძლო მოტივის, ადგილისა თუ მიზეზის შესახებ. შესაბამისად, საქმესთან დაკავშირებული იმგვარი გარემოებები, რომელმაც შესაძლოა, არაპირდაპირ გაამჟღავნოს მსხვერპლისა თუ მოწმის იდენტობა, მაქსიმალურად უნდა აირიდონ თავიდან.

მტკიცებულებების შენახვა და დამაგრება

როდესაც პოლიციელი მსხვერპლის/მოწმის მითითების საფუძველზე ან თავად დაასკ ან/და გენდერულმა იდენტობამ შექმნა საფუძველი, მნიშვნელოვანია დანაშაულის ადგილის სრულყოფილი დათვალიერება, მათ შორის, იმის აღმოსაჩენად, ხომ არ დატოვა დამნაშავემ რაიმე ნიშანი, რომელიც შესაძლო მოტივის შესახებ ეჭვს გააძლიერებს.

თუ დამნაშავე ადგილზეა ან მოგვიანებით მოხდა მისი იდენტიფიცირება, ხოლო პოლიციელისთვის ობიექტურად შეცნობადი გახდა დამნაშავის დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ **დანაშაულამდე, დანაშაულის ჩადენის პროცესში ან მას შემდეგ** (მაგალითად, მიმართა დისკრიმინაციული ეპითეტით ან არავერბალურად გამოხატა თავისი უარყოფითი განწყობა), პოლიციელისათვის ეს უნდა იყოს ნიშანი ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ მოტივზე ეჭვის გასაჩენად. საპატრულო პოლიციის თანამშრომელს ევალება ყველა შესაძლო მტკიცებულების დოკუმენტირება, მათ შორის, ფოტოგადაღება და აღწერა, მიუხედავად იმისა, პირველად ეტაპზე არის თუ არა ის კავშირში დანაშაულის შესაძლო მოტივთან.

რეაგირების ოქმის შედგენა

საპატრულო პოლიციელმა დანაშაულის ადგილზე გასვლისა და ვითარებაში გარკვევის შემდგომ უნდა შეადგინოს რეაგირების ოქმი, რომელშიც აუცილებლად უნდა მიუთითოს როგორც დანაშაულის გარემოებების სიტუაციური აღწერა, ასევე ჰომოფობიურ ან/და ტრანსფობიურ მოტივზე მიმანიშნებელი ნებისმიერი გარემოება, რომელიც გამომძიებელს დაეხმარება საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღებაში და ხელს შეუწყობს მომავალში ადეკვატური საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვას.

4.1.2. დეტექტივ–გამომძიებლის როლი

გამოძიების დაწყება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.[146]

146 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 37, ნაწილი 1

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან, დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.[147]

გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.[148] დეტექტივ-გამომძიებელმა ინფორმაცია შეიძლება მიიღოს წერილობით, ზეპირად ან სხვაგვარად დაფიქსირებული ფორმით[149], ამ უკანასკნელში სწორედ საპატრულო პოლიციელის მიერ შევსებული რეაგირების ოქმი იგულისხმება.

პირველადი დოკუმენტი – რეაგირების ოქმი, რომელიც გამომძიებელმა მიიღო დანაშაულის ჩადენის შემდგომ, სავარაუდოდ, საპატრულო პოლიციის იმ თანამშრომლის მომზადებულია, რომელიც პირველად გავიდა დანაშაულის ადგილას. აღნიშნულ პროცესში შესაძლოა, გარკვეული მტკიცებულებები არ იყოს მოძიებული ან სრულიად დაკარგული იყოს, თუ მისი შეგროვებისთვის საკმარისი და რელევანტური მეთოდები არ გამოიყენა ან არ მიუთითა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა.

მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო პროცესში სწორედ ის დეტექტივ-გამომძიებელი ჩაერთოს, რომელიც უშუალოდ არის სპეციალიზებული, გამოიძიოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, რათა მას ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და მგრძნობელობა, ყურადღებით მოეკიდოს დანაშაულში არსებულ ყველა საჭირო დეტალს, მოტივის გამოსაკვეთად.

დანაშაულის გამოძიების პროცესში ერთ-ერთი მთავარი სტანდარტი, რომელიც მოქმედებს, არის გამომძიებლის ვალდებულება, **გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად**.[150]

კომუნიკაცია მსხვერპლთან და პირველადი გამოკითხვის ოქმი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, პოლიცია ვალდებულია, პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლება, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მახასიათებლებისა.

147 იქვე მუხლი 100, ნაწილი 1
148 იქვე მუხლი 101, ნაწილი 1
149 იქვე, მუხლი 101, ნაწილი 2
150 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 37, ნაწილი 2

აღნიშნულ მუხლს პოლიციელის საქმიანობაში დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი შემოაქვს, ამასთან, „სხვა მახასიათებლებში“ უნდა ვიგულისხმოთ პირის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობაც. აღნიშნული პრინციპის სათანადოდ დაცვა კი აუცილებელია პოლიციელის ყოველი მოქმედებისას.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, დეტექტივ-გამომძიებელმა სავარაუდო დაზარალებულისა თუ მოწმესთან პირველადი კომუნიკაციისას უნდა დაიცვას ზემოთ წარმოდგენილ თავებში აღწერილი ეთიკურობისა და კონფიდენციალურობის სტანდარტები. პოლიცია ვალდებულია, მსხვერპლთან ინტერაქცია იმგვარად დაამყაროს, რომ მას არ ჰქონდეს მეორადი ვიქტიმიზაციის განცდა, რამაც შესაძლოა ნდობა დააკარგვინოს პოლიციის მიმართ და მასში დამატებითი სტრესი გამოიწვიოს.[151]

დეტექტივ-გამომძიებლის მიერ მოწმის პირველადი გამოკითხვისას მოტივის შესახებ შესაძლოა რამდენიმე საკითხი გამოიკვეთოს, მათ შორის:

- **შესაძლოა, მსხვერპლმა ან/და მოწმემ თავად მიუთითოს, რომ ქმედება, მისი აღქმით, ჰომოფობიური/ტრანსფობიური მოტივით განხორციელდა** – ამ შემთხვევაში, გამომძიებელმა ყურადღებით უნდა შეარჩიოს შეკითხვები და ეცადოს, მსხვერპლისგან აღნიშნული აღქმის ობიექტური ნიშნები გამოკვეთოს. მაგალითად, ჰკითხოს, კონკრეტულად რა გახდა მისთვის აღნიშნულ მოტივზე მიმანიშნებელი გარემოება (სიტყვები, სიმბოლოები, დამნაშავის ჩაცმულობა და ა.შ,) და ფიქრის საფუძველი; ეცადოს, დეტალურად აღაწერინოს/გაახსენებინოს დანაშაულის ჩადენამდე, მის პროცესში ან მას შემდეგ არსებული გარემოებები.

- **შესაძლოა, მსხვერპლმა ვერ ამოიცნო, თუ რა შეიძლებოდა გამხდარიყო დანაშაულის მიზეზი** – ასეთ შემთხვევაში, გამომძიებელმა, წინა შემთხვევის მსგავსად, დეტალურად უნდა გამოკითხოს მსხვერპლი/მოწმე, და ეცადოს დეტალურად აღაწერინოს/გაახსენებინოს დანაშაულის ჩადენამდე, მის პროცესში ან მას შემდეგ არსებული გარემოებები.

- **შესაძლოა, დანაშაულის მსხვერპლი ვერ აცნობიერებს დანაშაულის მიზეზს, მაგრამ აღნიშნულზე დანაშაულის მოწმე მიუთითებს** – მიუხედავად იმისა, სხვადასხვა შესაძლო მიზეზთა გამო, მსხვერპლი აღიქვამს თუ არა დანაშაულის მოტივს, თუ ეს ობიექტურად შეცნობადი გახდა მესამე პირისთვის, შეიძლება მიუთითებდეს, რომ დანაშაული ჰომო/ტრანსფობიური ნიშნით ჩა-

151 Hate Crime Operational Guidance, College of Policing, 2014, გვ. 82, იხ: http://www.report-it.org.uk/files/hate_crime_operational_guidance.pdf

იდინეს. შესაბამისად, გამომძიებელი ამ ფაქტზე მიმანიშნებელი წყაროს გარკვევას უნდა შეეცადოს დეტალური გამოკითხვის მეთოდით.[152]

- **შესაძლოა, მსხვერპლი დანაშაულის მიზეზად თავის გენდერულ იდენტობას მიუთითებს, მაგრამ სინამდვილეში შესაძლოა, ქმედება სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე მოხდა** – შეიძლება, პრაქტიკაში არსებობდეს შემთხვევები, როდესაც მსხვერპლის სუბიექტური აღქმა დანაშაულის მოტივზე არ ემთხვევა მის რეალურ საფუძველს. მაგალითად, ტრანსგენდერ კაცს თავს დაესხნენ ქუჩაში; მსხვერპლს შესაძლოა, ჰქონდეს განცდა, რომ მისი იდენტობის გამო ამოიღეს ნიშანში, თუმცა დამნაშავის მოტივაცია მის ნავარაუდევ ლესბოსელობას ეფუძნებოდა. ან პირიქით, ტრანსგენდერ ქალს დაესხნენ თავს, თუმცა დამნაშავეს ჰგონია, რომ ის ჰომოსექსუალია. აღნიშნულის გარკვევა გამომძიებლის მაღალ უნარზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია მსხვერპლის მიმართ არსებითად დეტალური კითხვების დასმა საიმისოდ, რომ დანაშაულის რეალური მოტივი გამოიკვეთოს, თუმცა ზემოაღნიშნულ ორივე სცენარში, მიუხედავად სპეციფიკური მოტივისა, ქმედება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად უნდა დაკვალიფიცირდეს.

- **თუ მსხვერპლი გარდაიცვალა ან მასთან გასაუბრება შეუძლებელია, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის გამო** – ასეთ შემთხვევაში, გამომძიებლისათვის შესაძლო სიძულვილის მოტივზე პირველი მიმანიშნებელი ფაქტორი შეიძლება იყოს ეჭვმიტანილისა და მსხვერპლის განსხვავებული იდენტობა. ამ ეჭვის გასამყარებლად ან გასაქარწყლებლად გამომძიებელმა სხვა საგამოძიებო მოქმედებებს უნდა მიმართოს.

გამომძიებელმა და გამოძიებაზე საზედამხედველო ფუნქციის განმახორციელებელმა პროკურორმა **აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ**, რომ მოტივის იდენტიფიცირებისათვის არ აქვს მნიშვნელობა, მსხვერპლი მიეკუთვნება თუ არა ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ ან ტრანსგენდერ თემს, რომ დანაშაული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილად მიიჩნიონ[153]. დანაშაული კონკრეტული პირის მიმართ, რომელიც გეიკაცებთან მეგობრობს ან ქალის, რომელიც ლესბოსელად მიიჩნია სავარაუდო დამნაშავემ, უნდა განიხილებოდეს, როგორც სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩადენილი ქმედება.

152 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ მოწმე ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს ან თუ დადგინდება, რომ ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო, მას არ შეუძლია, სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

153 OSCE/ODIHR, Preventing and responding to hate crimes, გვ. 22, იხ: http://www.osce.org/odihr/39821?download=true

თითოეულ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, პირველადი გამოკითხვის ოქმის შედგენისას სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად უნდა მიეთითოს მოტივის შესახებ ინფორმაცია და მსხვერპლისა და მოწმის ინდივიდუალური აღქმა დანაშაულის მიზეზებისა თუ გარემოებების შესახებ.

გამოძიების აღრიცხვის ბარათი და დანაშაულის პირველადი კვალიფიკაცია

გამოძიების დაწყებისას საქმის დეტექტივ-გამომძიებელი ვალდებულია, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც საპატრულო პოლიციის თანამშრომლისგან ან თავად მოიპოვა, დანაშაულს მისცეს პირველადი კვალიფიკაცია.

დანაშაულთა ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქცია, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა, განსაზღვრავს დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის პრინციპებს[154]. ის პირველ რიგში ფორმა N1-ით – წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის შევსებით ხორციელდება, რომელშიც დანაშაულის პირველადი კვალიფიკაცია უნდა იყოს მისადაგებული. ცხადია, დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის შემთხვევაში, ინსტრუქციის მიხედვით, უნდა შეივსოს ახალი აღრიცხვის ბარათი (ფორმა №1ა).[155]

ამგვარ პირობებში, რაკი მოტივის შესახებ ინფორმაციის დაკარგვის საფრთხე დიდია, შესაძლოა შემდეგი მეთოდის გამოყენება:

პირველი, დანაშაულის აღრიცხვის ბარათის ფორმა N1-ში გამომძიებელმა გამოკვეთილად მიუთითოს *„შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“,* რაც ხელს შეუწყობს გამოძიების შემდეგ ეტაპზე მოტივის არსებობაზე ყურადღების გამახვილებას და მის გამოსავლენად ძალისხმევის გაწევის აუცილებლობას აჩვენებს. გვიან ეტაპზე, სიძულვილის მოტივის შესახებ მტკიცებულების აღმოჩენის ან პირიქით ვერ აღმოჩენის შემთხვევაში, ინსტრუქციის შესაბამისად, ახალი აღრიცხვის ბარათი უნდა შედგეს.[156]

დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, აღრიცხვის ბარათები (ფორმა N1) დაუყოვნებლივ ივსება და 72 საათის განმავლობაში იგზავნება ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოში, სადაც მათ საფუძველზე წარმოებს დანაშაულთა, მათ ჩამდენ პირთა, დაზარალებულთა, სისხლის სამართლის საქმეთა და სხვა მონაცემთა აღრიცხვა.[157]

154 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №423 „დანაშაულთა ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 2005 წლის 28 აპრილი

155 იქვე, მუხლი 2.1 (ა)(ბ)

156 იქვე

157 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №423 „დანაშაულთა ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 2005 წლის 28 აპრილი, მუხლი 2.3.

საგამოძიებო მოქმედებები და მტკიცებულებათა მოპოვება

გამოძიების დაწყების შემდეგ სხვადასხვა მტკიცებულების მოგროვების მიზნით ტარდება საგამოძიებო მოქმედებები. ზოგადად, გამოძიება არის მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვებასა და ასახვას.[158]

გამომძიებლისა და პროკურორის მიერ საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვისას სწორედ ის მოქმედებები უნდა შეირჩეს, რომელიც გარდა დანაშაულებრივი ქმედებისა, მოტივის გამოკვეთაშიც ითამაშებს არსებით როლს.

მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში საგამოძიებო ორგანოებმა უნდა დაიცვან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 თავით დადგენილი სტანდარტი.

მტკიცებულების შესაძლო წყაროები

მტკიცებულებების მოსაგროვებლად კრიტიკული მნიშვნელობა **პირის გამოკითხვას** ენიჭება. ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია, ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოიკითხოს მხარეთა მიერ. დაუშვებელია, გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.[159] გამოსაკითხი პირი, გამოკითხვაზე თანხმობის შემთხვევაში, ვალდებულია, საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს.[160]

გარდა შესაძლო მსხვერპლისა და მოწმის გამოკითხვისა, გამოძიება უფლებამოსილია, გამოკითხოს დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირიც (თუ ის იდენტიფიცირებულია და გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში, ან დაკავებულია), რომელიც, პროცესის სხვა მონაწილეთა მსგავსად, აღნიშნულ ეტაპზე მოწმის სტატუსით სარგებლობს. გამოკითხვის წინ უნდა დადგინდეს გამოსაკითხი პირის ვინაობა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია უნდა აღინიშნოს გამოკითხვის ოქმში.[161]

როგორც წინა თავებშია აღნიშნული, რაკი შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული სიმბოლურია და შეტყობინების შემცველი, სავარაუდო დამნაშავეები ხშირად მოწოდებულნი არიან, თავიანთი ქმედების მოტივი სხვებისათვის ცხადი გახადონ. სწორედ

158 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილი

159 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 113, ნაწილი 1

160 იქვე, მუხლი 113, ნაწილი 6

161 იქვე, მუხლი 113, ნაწილი 3

ამიტომ, შეიძლება, დამოკიდებულება ლგბტ თემის წევრებისადმი შეურაცხმყოფელი ან სხვა ეპითეტებით და მიმართვით გამოხატონ.[162]

ასეთ დროს მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ სად იმყოფებოდა დამნაშავე დანაშაულამდე და მას შემდეგ ან იმ ადგილების, სადაც სავარაუდო დამნაშავე ხშირად დადის, რათა პოლიციამ შეძლოს შესაძლო მოწმის იდენტიფიცირება, რომელსაც შეეძლო სავარაუდო დამნაშავის მიერ ხმამაღლა დაფიქსირებული ჰომოფობიური/ტრანსფობიური განწყობის მოსმენა/შეცნობა.[163]

შესაძლებელია, სავარაუდო დამნაშავე პირ(ებ)მა არ დაუმალოს ადგილზე გასულ, ან საპატრულო პოლიციაში გადაყვანის შემდგომ, სამართალდამცავ პირს დანაშაულის მოტივების შესახებ[164] – ხშირ შემთხვევაში, დამნაშავე მიიჩნევს, რომ მისი/მათი ქმედების მიმართ სამართალდამცავი სისტემა ლოიალური იქნება, რადგანაც ლგბტ თემის მიმართ უარყოფით განწყობას იზიარებს ფართო საზოგადოება და პირიქით, შესაძლოა, დამნაშავემ ხმამაღლა განაცხადოს აღნიშნულის შესახებ.

თუმცა ცხადია, არსებობს იმგვარი შემთხვევებიც, როდესაც სავარაუდო დამნაშავე არ აღიარებს დანაშაულს ან არ საუბრობს მის მოტივზე, ხოლო გამომძიებელსა და პროკურორს შესაძლოა, არ აქვთ საკმარისი უნარი, დაადგინონ სავარაუდო დამნაშავის ქცევის შემეცნებითი ასპექტები, დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ, რომელიც შესაძლო შეუწყნარებლობაზე მიუთითებს. შესაბამისად, აღნიშნულის დასადასტურებლად მნიშვნელოვანია სპეციალური ცოდნის მქონე პირის შეფასება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით კი, სპეციალური ცოდნის მქონე პირად განიხილება **ექსპერტი**.[165]

ექსპერტი სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირია, რომელსაც სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად იწვევს მხარე ან, მხარის შუამდგომლობით, სასამართლო. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.[166]

აღნიშნულ შემთხვევაში ექსპერტად შეგვიძლია მივიჩნიოთ **ფსიქოლოგი**, რომელიც პროფესიული უნარიდან გამომდინარე, შეძლებს, დაადგინოს, არსებობს თუ არა რაიმე კავშირი, მათ შორის უარყოფითი დამოკიდებულება მსხვერპლის მიმართ, რასაც შეეძლო გამოეწვია დანაშაულებრივი ქმედება.

162 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes, A practical guide, გვ. 57
163 იქვე
164 იქვე
165 მუხლი 111, ნაწილი 9
166 მუხლი 3, ნაწილი 21

აღნიშნული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ასევე განსაკუთრებით მძიმე და მით უფრო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ დანაშაულებში, რომლის დროსაც, გარდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზისა, სავარაუდო დამნაშავის შერაცხადობის საკითხის გასარკვევად გამოიყენებდნენ ფსიქოლოგის დასკვნასაც – ხომ არ ეფუძნებოდა დანაშაულის სისასტიკე, მეთოდი და იარაღი, შეუწყნარებლობას მსხვერპლის იდენტობის ან ნავარაუდევი იდენტობის მიმართ.

აღნიშნულისათვის შესაძლოა საჭირო იყოს დამატებით სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, **სავარაუდო დამნაშავის მეგობრების ან/და ოჯახის წევრების, თანამშრომლების გამოკითხვა,** რათა დადგინდეს მისი დამოკიდებულება უმცირესობათა ჯგუფების მიმართ, ან ხომ არ არის ჩაბმული სხვადასხვა რადიკალურ ორგანიზებულ ჯგუფში.[167]

ასევე შესაძლებელია, **ჩხრეკისა და ამოღების** (როგორც საგამოძიებო მოქმედების) გამოყენებით, კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო ნებართვის საფუძველზე, სავარაუდო დამნაშავის სახლის, სადგომის ჩხრეკა – ხომ არ არის ადგილზე რაიმე რადიკალური მემარჯვენე, ნაცისტური, ჰომოფობიური საკითხავი, წიგნები და სხვა მიმანიშნებელი მასალა (დროშა, სიმბოლოები და აშ.).

ზოგიერთ შემთხვევაში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩამდენი სუბიექტები თავადვე მიმართავენ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩაწერას ელექტრონული საშუალებით, ინტერნეტში გასავრცელებლად ან მეგობრებისთვის საჩვენებლად[168]. მაგალითად, ამგვარი პრეცედენტი აღინიშნა თბილისის ცენტრში, როდესაც შავკანიან მოქალაქეს რამდენიმე ახალგაზრდა დაესხა თავს და აღნიშნული ვიდეო თავად სავარაუდო დამნაშავეებმა გამოაქვეყნეს.[169] ცხადია, ასეთ შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვება სირთულეს არ წარმოადგენს; ამასთანავე ის ხელს უწყობს შეუწყნარებლობის მოტივის მტკიცებას.

ზოგადად, **ინტერნეტკომუნიკაციების საშუალებით** სავარაუდო დამნაშავის მოტივზე ინფორმაციის მოპოვება სასარგებლო მეთოდია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, მიიღონ ინფორმაცია ეჭვმიტანილის მიერ მოწონებული ჯგუფების, ხშირად ნახული ვებგვერდების, პირადი კომენტარებისა და დამოკიდებულებების შესახებაც. თუმცა შინაარსობრივი მონაცემების მოსაპოვებლად, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას მიმართავს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით. ამ შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია, გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, გასცეს განჩინება შინაარსობრივ მონა-

167 OSCE/ODIHR, Hate Crime Laws: A Practical Guide, გვ. 52
168 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes, A practival guide, გვ. 59
169 იხ: http://netgazeti.ge/news/44152/

ცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ; მომსახურების მომწოდებელი ვალდებულია, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დაეხმაროს მას მიმდინარე რეჟიმში შინაარსობრივ მონაცემთა შეგროვებაში ან ჩაწერაში, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან.[170]

ინტერნეტკომუნიკაციები ასევე კარგი მეთოდია დამნაშავის საჯარო მოწოდებების, წარსული და მიმდინარე აქტივობების შესაფასებლად სოციალურ ქსელებში; შესაძლოა, ასევე გამოდგეს მის მიერ ლგბტ ჯგუფის მიმართ მტრული განწყობის შესახებ ინფორმაციის გასაძლიერებლად.

ზოგჯერ მოტივის მთავარი გასაღები სწორედ დანაშაულის ადგილას არსებობს, ამიტომ მის გამოსაკვლევად აუცილებელია დანაშაულის ადგილის დეტალური **დათვალიერება**.[171]

დანაშაულის სხვა გარემოებები, როგორც მტკიცებულება

გარდა ზემოთ აღწერილი შესაძლო მტიცებულებებისა, ყურადღებამისაქცევია დანაშაულის ირგვლივ არსებული სხვა ფაქტორებიც, რომლებიც შესაძლოა ასევე მიუთითებდეს დანაშაულის მოტივებზე და მტკიცებულებად იქცეს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე, გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს **ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე**, **ახასიათებს მის პიროვნებას.** დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას.

ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გარემოებითი მტკიცებულებები შესაძლოა, სისხლის სამართლის

170 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 138, ნაწილი 1
171 OSCE/ODIHR, Hate Crime Laws: A practical Guide, გვ. 55

პროცესისათვის ცალკე აღებული შედარებით სუსტ ინფორმაციას შეიცავდეს, მტკიცებულებების კუმულაციურმა ერთობლიობამ შესაძლოა, მოსამართლე დაარწმუნოს, რომ ჩადენილი ქმედება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელდა.

გარემოებითი მტკიცებულებები, რომელიც საქმეს უნდა დაერთოს ან შესაბამის დოკუმენტებში მიეთითოს[172]:

- სავარაუდო დამნაშავე ასოცირდება ორგანიზებულ რადიკალურ ჯგუფთან;
- ინციდენტი/დანაშაული მოხდა იმ დღეს, დროსა და ადგილას, რომელსაც გარკვეული დატვირთვა აქვს მიზანში ამოღებული ჯგუფისთვის;
- დანაშაული ჩაიდინეს იმ დღეს, რომელიც სიმბოლურ დატვირთვას ატარებს დამნაშავეთა ჯგუფისთვის (მაგ. ნაციონალისტური ჯგუფებისთვის დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი);
- დანაშაულის ბუნება განსაკუთრებით სასტიკია და მასში ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ მოტივზე მიმათითებელი სხვა არსებითი მტიცებულებები არ მოიპოვება;
- სხვა დანაშაულში/ინციდენტში გამოვლინდა იმგვარი გარემოებები (მაგალითად, გამოყენებულია იგივე ქმედებები, რომელიც ჰგავს აღნიშნულ დანაშაულში გამოვლენილ გარემოებებს), რომელმაც შესაძლოა შექმნას საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს ფაქტები ერთმანეთს უკავშირდება.

შერეული მოტივები

როგორც სხვა სახის დანაშაულებს, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილსაც შესაძლოა, ჰქონდეს სხვა მოტივიც.

ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავმა უწყებებმა ნორმა უფრო ფართოდ განმარტონ და **არ დაუშვან, სხვა მოტივის არსებობის გამო, ჰომოფობიური ან ტრანსფობიური მოტივის დაკარგვა ან გამორიცხვა,** რადგანაც დანაშაულებრივი ქმედება შესაძლოა, მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილი იყოს შეუწყნარებლობის მოტივით.[173]

172 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes: A practical guide, გვ. 61
173 იქვე, გვ. 63

მტკიცებულებები მსხვერპლის მიერ მიღებული ზიანის შესახებ

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ექსპერტიზა არსებითად მნიშვნელოვანია, როდესაც საკითხი შესაძლო მსხვერპლის მიერ მიღებულ ზიანს ეხება. შესაბამისად, თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები, გამომძიებელი უფლებამოსილია, მიიწვიოს ექსპერტი.[174]

ფიზიკური ზიანის შემთხვევაში, სამედიცინო დოკუმენტები ამავდროულად წარმოადგენს მტკიცებულებას; გამომძიებელმა და პროკურორმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამედიცინო ექსპერტიზა მთლიანად ასახავდეს მიღებული ზიანის სერიოზულობას.

თუმცა ყურადსაღებია, რომ შესაძლოა, ფიზიკური ზიანი ყველა სახის დანაშაულში არ აღინიშნოს, ან დაზიანებათა ხარისხი იყოს მცირე; შესაბამისად, გამომძიებელმა უნდა უზრუნველყოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად (ან მისი საჭიროების არარსებობისას) მსხვერპლის მიერ ფსიქოლოგიურად განცდილი და მიღებული ზიანის სერიოზულობის აღწერა, რომელიც მოიცავს ზიანის ხასიათსა და გავლენას როგორც მსხვერპლზე, ასევე მის გარშემომყოფებზე.

იმის გამო, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები აირეკლავს დისკრიმინაციული გამოცდილებების სპექტრს, მარგინალიზებულ ჯგუფებზე მისი ეფექტი და გავლენა შესაძლოა არსებითად მძიმე იყოს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი უფრო მეტად განიცდის შიშის, დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობას; შესაბამისად, ტრავმა ბევრად უფრო სერიოზულია, მაშინაც კი, როდესაც თავად მართლსაწინააღმდეგო ქცევა შეიძლება არ იყოს მძიმე ხარისხის[175].

მსხვერპლზე დანაშაულის გავლენის შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ „ისინი სამიზნეები ხდებიან იმის გამო, თუ როგორ არიან აღქმულები დამნაშავის მიერ, [...] რაზეც მსხვერპლს არ აქვს კონტროლის (მისი თავიდან აცილების) შესაძლებლობა.“[176] აღნიშნული კი ხაზს უსვამს სიძულვილით მოტივირებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მსხვერპლის, როგორც დისკრიმინაციის მსხვერპლად აღქმის მნიშვნელობას.

სხვადასხვა კვლევით დასტურდება, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილმა ფიზიკურმა ძალადობამ შესაძლოა, მსხვერპლში ტკივილის უფრო მეტი განცდა გამოიწვიოს, ვიდრე სხვა ფორმის ძალადობამ.[177]

174 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 37, ნაწილი 6(დ)

175 FRA, Ensuring justice for hate crime victims: professional perspective, 2016, გვ. 30

176 FRA, Ensuring justice for hate crime victims: professional perspective, 2016, გვ. 30

177 Doug Meyer „Severity of Hate-motivated Violence: Intersectional Differences among LGBT Hate Crime Victims“, 2010, BSA Publications Ltd, Volume 44(5): 980-995, გვ. 991

ლგბტ თემის წევრების მიმართ ფსიქოლოგიური ზიანის ხარისხი შეიძლება, ინდივიდუალურადაც განსხვავდებოდეს; მაგალითად, იმ ადამიანისთვის, რომელიც კომფორტულად გრძნობს თავს თავის იდენტობასთან და თავის მიმღებლობა მაღალი ხარისხისაა, ამგვარი ძალადობა უფრო მეტად დამაბნეველია; იმ ადამიანის შემთხვევაში, კი რომელიც ნაკლებად კომფორტულადაა თავის იდენტობასთან, ძალადობას შესაძლოა მოჰყვეს იდენტობის დამალვა და ქცევის კორექცია, რაც ცხადია, გაცილებით მძიმე ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს მასზე.[178]

ამასთან, კვლევებმა აჩვენა, რომ შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებული ძალადობის მსხვერპლს უფრო მეტად აღენიშნება ნევროტული მდგომარეობა და დეპრესიული ფონი, მეტად ახასიათებს პრობლემები კონცენტრირებისას და სუიციდური ფიქრები, ვიდრე სხვა დანაშაულის შემთხვევაში. ეს კი ნიშნავს, რომ განმეორებით მსხვერპლად ქცევის შიშის გადალახვა და რეაბილიტაცია მეტად რთულდება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლის შემთხვევაში, გაძლიერებული შიშისა და აჩემებული ფიქრების გამო.[179]

გარდა ინდივიდუალური ზიანისა, რომელიც კონკრეტულ მსხვერპლზე აისახება, მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ დანაშაულებს აქვს „ტერორიზმის“ ეფექტიც, რაც გულისხმობს იმას, რომ ფსიქოლოგიური ზიანი სცდება კონკრეტულ ინდივიდს და აისახება იმ თემზე, რომელსაც პირი მიეკუთვნება[180]. სწორედ ამიტომ არის საჭირო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ცალკე განხილვა და მისთვის განსხვავებული სასჯელის მისადაგება.

შესაბამისად, რაკი შედარებით მსუბუქ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებში ფსიქოლოგიური გავლენა მსხვერპლზე შესაძლოა, გაცილებით დიდი იყოს, ვიდრე ამგვარი მოტივის გარეშე ჩადენილ სხვა უფრო მძიმე დანაშაულებში, გამომძიებელსა და პროკურორს ევალებათ, მსხვერპლზე მიყენებული ფსიქოლოგიური ზიანის ამსახველი დასკვნა მოიპოვონ და საქმეს დაურთონ.

ისეთ შემთხვევაში, თუ ამგვარი ფსიქოლოგიური დასკვნის მომზადება გამოძიების შესაბამის ეტაპზე ვერ მოხერხდა, პროკურორს შეუძლია, საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის ეტაპზე მსხვერპლის გამოკითხვის საშუალებით აჩვენოს სრული ნეგატიური ზიანი.[181]

თუმცა ნებისმიერ ეტაპზე – იქნება ეს საგამოძიებო მოქმედებები, მსხვერპლის გამოკითხვისას, თუ პროკურატურის მიერ ბრალის შესახებ დადგენილების მომზადება – მსხვერპლმა შესაძლოა, ვერც შეძლოს სრული ზიანის აღწერა, რადგანაც ხშირად ამგვარი და-

178 Paul Iganski „Hate Crime Hurt More“, A Reader: Hate and Bias Crime, B.Perry, Routledge, 2003, გვ. 131-139

179 McDevitt J, Balboni J, Carcia L and Gu J „Consequences for Victims: A Comparison of Bias and Non-Bias-Motivated Assaults“, A Reader: Hate and Bias Crime, B.Perry, Routledge, 2003, გვ. 139-151

180 Paul Iganski „Hate Crime Hurt More“, A Reader: Hate and Bias Crime, B.Perry, Routledge, 2003, გვ. 131-139

181 Prosecuting hate crimes. A practical guide, გვ. 63

ნაშაულის გავლენა პირის ცხოვრებაზე მოგვიანებით ხდება ხილვადი, მაგალითად, როდესაც პირი იცვლის საცხოვრებელს; ღამე აღარ გადის გარეთ ან ერიდება გარკვეულ სივრცეებს, განმეორებითი ვიქტიმიზაციის შიშით.[182]

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ მსხვერპლის დასახმარებლად სპეციალიზებული სერვისების არსებობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებითად მნიშვნელოვანია, რადგანაც შესაძლოა, განცდილი ძალადობისა და პოლიციისადმი უნდობლობის გამო, მსხვერპლი არ იყოს გახსნილი და არ მოინდომოს მისდამი მიყენებული ზიანის სრული სახით წარმოდგენა/გაზიარება. შესაბამისად, საჭიროა მსხვერპლთა დახმარების სპეციალიზებული სერვისის მიწოდება, როგორც საქმეზე ყველა საჭირო მტკიცებულებების მოსაგროვებლად, ისე შემდგომში ვიქტიმიზაციის მახასიათებლების განზოგადებისა და ანალიზისთვის[183] პრევენციული ნაბიჯების გადასადგმელად.

დანაშაულის საბოლოო კვალიფიკაცია პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან, უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული და ვინ ჩაიდინა იგი; გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.[184]

საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს **ყოველმხრივი, ობიექტური და სრული.** ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე, მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.[185]

აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის საბოლოო კვალიფიკაცია უნდა დაეყრდნოს საქმეზე არსებული ყველა გარემოების სრულყოფილად შეფასებას; დანაშაულის შესახებ არსებულ ყველა დოკუმენტში აუცილებლად უნდა იყოს აშკარად და არაორაზროვნად ასახული დანაშაულის მოტივის შესახებ მითითება.

თუ აღნიშნულ ეტაპზე, ნორმის განმარტების გამო პროკურატურა ტექნიკური არგუმენტებით, უარს აცხადებს დანაშაულის აღრიცხვის ბარათში დანაშაულის შესაბამის მატერიალურ მუხლს ასევე მიეთითოს 53-ე მესამე პრიმა მუხლი, სიძულვილის მოტივის შესახებ მითითება სიტყვიერად მაინც აუცილებლად უნდა გაკეთდეს დოკუმენტში.

182 Hate Crime Operational Guidance, College of Policing, 2014, გვ. 75, იხ: http://www.college.police.uk/What-we-do/Support/Equality/Documents/Hate-Crime-Operational-Guidance.pdf

183 Prosecuting hate crimes. A practical guide, გვ. 63–64

184 მუხლი 18, ნაწილი 1

185 მუხლი 18, ნაწილი 2

დანაშაულის საბოლოო კვალიფიკაციას არსებითი გავლენა აქვს მთლიან სისხლის სამართლის პროცესზე, შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოტივის შესახებ ნებისმიერი შესაძლო ეჭვისა და მტკიცებულების ადეკვატურად მითითება, რათა პროკურორმა შეძლოს მისი ასახვა ბრალის შესახებ დადგენილებაში.

4.2. პროკურორის როლი

პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას და სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.[186]

ბრალის შესახებ დადგენილება და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

მომხდარ დანაშაულში სავარაუდო ჰომოფობიური თუ ტრანსფობიური მოტივის ადრეულად შეცნობამ შესაძლოა, კრიტიკული როლი ითამაშოს და გავლენა მოახდინოს საკმარისი მტკიცებულებების მოგროვების პროცესზე. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის ადეკვატურად დაწყებისათვის პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლობა აუცილებელია. ამასთან, მნიშნელოვანია, რომ პოლიცია და პროკურატურის თანამშრომლები იზიარებდნენ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შინაარსს და სსკ-ის მუხლში ასახულ დაცულ საფუძვლებს.[187]

როგორც ზემო თავებში იქნა განხილული, დანაშაულის საბოლოო კვალიფიკაციაში პროკურორის როლი კრიტიკულია. ის გამომძიებელთან ერთად აფასებს საქმეში არსებულ გარემოებებსა და მოპოვებულ მტკიცებულებებს; მასთან ერთად ადგენს დანაშაულის კვალიფიკაციას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.

186 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 32

187 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes: A practical Guide, 2014, გვ. 45. ამასთან, ეუთოს აღნიშნული დოკუმენტი პოლიციასა და პროკურატურას შორის კოოპერაციის ხელშემწყობ მეთოდად გაერთიანებულ ტრენინგებსაც ხედავს, რომელიც მათი გამოცდილების გაზიარებასა და საკითხის უკეთ გაგებისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმი შეიძლება გახდეს (ხსენებული წყარო).

ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. დადგენილების გამოტანის შემდეგ პროკურორი განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროსა და ადგილს. ბრალი უნდა წაუყენონ დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა.[188]

ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს[189]:

– ბრალდებულის სახელი და გვარი, მამის სახელი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი, პირადი ნომერი;

– ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე, ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

– გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.

ბრალდების შესახებ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირის ბრალდების თაობაზე.[190]

ბრალდების შესახებ დადგენილებაში აუცილებელია ექსპლიციტურად და სიტყვიერად ნათლად იყოს ფორმულირებული, რომ ქმედება სწორედ შეუწყნარებლობის საფუძველზე – ჰომოფობიური ან/და ტრანსფობიური მოტივით ჩაიდინეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.[191] სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო, არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. სასამართლო ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უქმნის საჭირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის.[192]

188 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 169, ნაწილი 2

189 იქვე, მუხლი 169, ნაწილი 3, პუნქტები ა; ბ; გ; დ.

190 იქვე, მუხლი 169, ნაწილი 4

191 იქვე, მუხლი 9, ნაწილი 1

192 იქვე, მუხლი 25

შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, **სახელმწიფო ბრალდების მიერ შეუწყნარებლობის მოტივის მიუთითებლობა სასამართლოს უკარგავს შესაძლებლობას, ადეკვატურად შეაფასოს დანაშაულის გარემოებები, მათ შორის დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებები (მუხლი 53.3[1]) და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით[193] საქმეზე ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს, ადეკვატური სასჯელის ზომის მითითებით.** სწორედ აღნიშნული შედეგის თავიდან ასაცილებლად პროკურატურა ვალდებულია, ობიექტურად აღწეროს საქმეზე არსებული ყველა გარემოება, სრულყოფილად ასახოს მოტივის არსებობა და თან დაურთოს საქმეს გამოძიებისას მოპოვებული ყველა მტკიცებულება.

პროკურორი, ან მისი დავალებით გამომძიებელი, ბრალდების შესახებ დადგენილებას გააცნობს ბრალდებულსა და მის ადვოკატს (თუ ბრალდებულის ინტერესებს ადვოკატი იცავს), რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტს.[194] ბრალის შესახებ დადგენილების ბრალდებულისა და მისი ადვოკატის გაცნობისთანავე იწყება პირის სისხლისსამართლებრივი დევნა.[195]

მოწმის დაზარალებულად ცნობა

იმისათვის, რომ მსხვერპლმა შეძლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლით დადგენილი უფლებებით სარგებლობა, პროკურორმა ის დაზარალებულად უნდა ცნოს.

პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ პროკურატურა პირის დაზარალებულად ცნობის გართულებულ, ორსაფეხურიან სტანდარტს იყენებს და ზიანის დადგომის ფაქტთან ერთად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით[196] დანაშაულის ფაქტის დადასტურებას მიიჩნევს, რაც ხშირად ხდება მსხვერპლისათვის (ან მისი უფლებამონაცვლისათვის) დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზი. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სტანდარტის მსგავსი გაგება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს[197] და ართულებს გამოძიების პროცესზე მსხვერპლების წვდომასა და მონიტორინგს.

193 იქვე, მუხლი 3, ნაწილი 13

194 იქვე, მუხლი 169, ნაწილი 5

195 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუმცა, პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა ასევე იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).

196 „დასაბუთებული ვარაუდი – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი“, სსსკ-ის მუხლი 3, ნაწილი 11

197 ამგვარი პრაქტიკა გამოვლინდა EMC-ის მიერ წარმოებულ კომუნიკაციაში პროკურატურასთან.

„დაზარალებული თავისი ინტერესით ბუნებრივად არის უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მოწმე, რაც, თავისთავად, მოითხოვს მის სათანადო და საკმარის ჩართულობას პროცესში. დაზარალებული ინფორმირებული უნდა იყოს საქმის მსვლელობის შესახებ მის ყველა ეტაპზე; ყველა კატეგორიის დანაშაულზე ჰქონდეს შესაძლებლობა, გაასაჩივროს, მათ შორის, სასამართლოში, დაზარალებულად ცნობასა და დევნის დაწყებაზე უარის თქმის, ისევე როგორც დევნის/გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება, მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, უნდა მიეცეს პროცესზე დასწრების და განცხადებების, მოსაზრებების, მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. დანაშაულის მსხვერპლს, როგორც წესი, აქვს სურვილი და მისწრაფება, სისხლის სამართლის პროცესში მოისმინონ მისი ისტორია, განიხილონ და მხედველობაში მიიღონ მისი პოზიცია. დაზარალებულმა თავი უნდა იგრძნოს დაკმაყოფილებულად, ვინაიდან ის არის დანაშაულის ყველაზე პირდაპირი, უშუალო ობიექტი“.[198]

უფლების შეზღუდვის მსხვერპლთათვის გამოძიების მიერ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასა და შესაბამისი საპროცესო უფლებებით აღჭურვას მოითხოვს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები. საქმეში *Ognyanova and Choban v. Bulgaria* ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის[199] დარღვევა, მათ შორის, იმ გარემოების გამო, რომ გამოძიების მიერ არ ხდებოდა განმცხადებლის თანმიმდევრული ინფორმირება, გამოძიების პროგრესის შესახებ, ადვოკატების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებელს ხელი უნდა მიუწვდებოდეს გამოძიების მასალებზე იმდენად, რომ ეფექტიანად შეძლოს მონაწილეობა წინასწარი გამოძიების მიერ მიღებული (შემაჯამებელი) გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესში.[200] საქმეში *Khadisov and Tsechoyev v. Russia* ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა, *inter alia*, იმ გარემოების გამო, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა სისხლის სამართლის საქმის მასალებზე და არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები გამოძიების პროგრესის შესახებ. ამასთან, განმცხადებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეფექტიანად გაესაჩივრებინათ საგამოძიებო ორგანოების მოქმედებები და უმოქმედობა სასამართლოს წინაშე.

შესაბამისად, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება მსხვერპლისათვის შესაბამისი გარემოებების არსებობის საფუძველზე **დაზარალებულის სტატუსი მიენიჭოს დროულად,** მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მძიმეა დანაშაულის ხარისხი და ბუნება; თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შე-

198 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება, პარა. 52

199 აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დაცული ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განიხილავს.

200 ECtHR, Ramsahai and others v. Netherlands, no. 52391/99, § 349.

საძლებლობას აძლევს პროკურორს, თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც დაზარალებულს წერილობით ეცნობება.[201]

201 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 56, ნაწილი 6

თავი 5
მსხვერპლსა და მოწმეებთან მუშაობა

5.1. სამართალდამცავი უწყებებისადმი დაბალი მიმართვიანობის შესაძლო მიზეზები

მთავარი საკითხი, რომელიც წამოიჭრება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ანალიზისას, არის ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების შესახებ მსხვერპლთა მხრიდან პოლიციისადმი **მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი**. დანაშაულზე მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაული არ ხდება ან ხდება მცირე რაოდენობით. ის მიუთითებს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ხარვეზზე, რომელიც სისტემის მიმართ მოქალაქეების დაბალ ნდობაზე მეტყველებს და სახელმწიფოს წინაშე სამართალდამცავი სისტემის ინსტიტუციური რეფორმირების საჭიროებას აყენებს.

ევროპის მასშტაბით წარმოებულმა კვლევამ, რომელიც ლგბტ პირთა ძალადობრივ გამოცდილებებზე იყო ფოკუსირებული, აჩვენა, რომ გამოკითხულთა 43%-ს საერთოდ არ მიუმართავს პოლიციისთვის, რადგან ფიქრობდა, რომ ის მაინც არაფერს გააკეთებდა ქმედების აღმოსაფხვრელად, 29%-მა კი პოლიციის არ მიმართა ჰომო/ტრანსფობიური რეაქციების თავიდან არიდების მიზნით.[202] ამასთან, ტრანსგენდერ ჯგუფში წარმოებული კვლევის მიხედვით, იმ ადამიანთაგან, რომლებიც ძალადობის ყველაზე სერიოზულ ფორმას დაექვემდებარნენ, მხოლოდ 24%-მა მიმართა პოლიციას; აგრეთვე, აღმოჩნდა, რომ ტრანსგენდერი კაცები ყველაზე ნაკლებად მიმართავენ პოლიციას, ხოლო ქროსდრესერი და ტრანსგენდერი ქალები – უფრო ხშირად.[203]

ასევე, დიდ ბრიტანეთში, ორგანიზაცია Stonewall-ის კვლევაში, რომელშიც 2500 ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანი მონაწილეობდა, ბრიტანეთის მასშტაბით, აჩვენა, რომ თავდასხმის მსხვერპლთა 3/4-ს, არ მიუმართავს პოლიციისთვის, ხოლო 2/3-ს – საერთოდ არავისთვის.[204]

პოლიციის სისტემაში მნიშვნელოვანი ხარვეზები აღმოაჩინა კალიფორნიაში, საკრამენტოში ჩატარებულმა კვლევამაც. გამოკითხულ ლგბ ადამიანთაგან, მათ რომლებმაც გამოსცადეს ჰომოფობიური დანაშაული, უფრო ნაკლებად მიმართეს პოლიციას, ვიდრე

---

202 FRA, EU LGBT Survey, 2014, გვ. 68, ცხრილი 6.

203 FRA, Being Trans in the EU – Comparative analisys of EU LGBT Survey Data, 2014, გვ.59, იხ: https://fra.europa.eu/sites/default/files/fra-2014-being-trans-eu-comparative-0_en.pdf

204 Stonewall, Homophobic Hate Crime, The gay british Crime Survey, 2013, გვ.17, იხ: https://www.stonewall.org.uk/sites/default/files/Homophobic_Hate_Crime__2013_.pdf

თემის წევრებმა, რომელთაც სხვა სახის ვიქტიმიზაცია განიცადეს.[205] აღნიშნულმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მიმართვაზე უარის მიზეზი ხშირად არის წარსულის გამოცდილება – პოლიციის გულგრილი, ჰომო/ბი/ტრანსფობიური ქცევა/დამოკიდებულება და მათდამი არასათანადო მოპყრობა (მეორადი ვიქტიმიზაცია). გამოკითხულთა ნაწილი ასევე მიუთითებდა, რომ ამგვარი მოპყრობა შესაძლოა პოლიციის მიერ მათ ორიენტაციაზე ნავარაუდევმა აღქმამ განაპირობა, გამოკითხულთა დიდმა რაოდენობამ კი მიმართვაზე უარის მიზეზად კონფიდენციალობის დარღვევის შიში დაასახელა.[206]

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სხვადასხვა კვლევით ასევე გამოვლინდა სამართალდამცავი სისტემისადმი ლგბტ თემის დაბალი მიმართვიანობის კომპლექსური პრობლემა, რომელიც უნდა აიხსნას, როგორც პერსონალური გამოცდილებით სამართალდამცავ სისტემასთან ურთიერთობისას, ასევე სოციოეკონომიკური ფაქტორებითა და პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების რისკით. 2012 წლის კვლევის მიხედვით, ფიზიკური ძალადობის გამოცდილების მქონე პირთა მხოლოდ 27%-მა მიმართა პოლიციას[207], 2015 წლის მონაცემებით, მხოლოდ – 30%-მა[208]. კიდევ უფრო დაბალია პოლიციისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე, რომელიც მსხვერპლის მხრიდან არ მიიჩნევა სერიოზულ ქმედებად და შესაბამისად, არ მიმართავს სამართალდამცავ უწყებებს.[209]

აღნიშნული კვლევებისა და საქართველოს 3 ქალაქში (თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში) ლგბტ თემის წევრებთან EMC-ის მიერ 2016 წელს გამართული ფოკუსჯგუფების შედეგად მიმართვიანობის მთავარი წინაღობები გამოიკვეთა:

- წარსულში არსებული ნეგატიური გამოცდილება პოლიციასთან (სხვადასხვა მიზეზით);
- სხვა წყაროსგან მოპოვებული ინფორმაცია, რომ პოლიცია ჰომოფობიური ქცევითა და დამოკიდებულებით გამოირჩევა;
- მოსაზრება, რომ პოლიცია სერიოზულად არ აღიქვამდა მათ საქმეს (რომელიც ასევე კავშირშია თავად მსხვერპლის აღქმასთან, დანაშაულის სიმძიმის მიმართ);

205 Herek G.M., Cogan J.C, J. Roy Gillis „Victim Experiances in Hate Crimes Based on Sexual Orientation“, A reader: Hate and Bias Crime, Perry B., Routledge, 2003, გვ. 243 –259

206 იქვე

207 ნ. ჯანეზაშვილი „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტი პირთა მიმართ – გამოწვევები და პერსპექტივები“, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი, WISG, 2016, გვ. 18

208 იქვე

209 იქვე

- კონფიდენციალობის დარღვევის შიში (განსაკუთრებით, რეგიონებში);
- გახმაურებულ და მძიმე ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებზე პოლიციის არაადეკვატური და არასაკმარისი რეაგირება.

ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი შეიძლება იყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, განსაკუთრებით კი ჰომო/ბი/ტრანსფობიური დანაშაულების პოლიციისადმი დაბალი მიმართვიანობის მიზეზი[210], მათ შორის:

იდენტიფიცირების შიში – სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო ჩადენილ დანაშაულებში იდენტიფიცირების შიში კრიტიკულია, რადგანაც ხშირად ეშინიათ, რომ თავიანთი ორიენტაცია ან/და გენდერული იდენტობა ცნობილი გახდება ოჯახის წევრებისა და გარშემომყოფებისთვის, და აქედან გამომდინარეობს მათი უარი სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვაზე;

ნდობის არარსებობა – ლგბტ თემის წევრებს შესაძლოა ჰქონდეთ სამართალდამცავ სტრუქტურებთან ურთიერთობის ნეგატიური გამოცდილება. მათ შორის, თუ რომელიმე ადრეც გამხდარა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი და პოლიციის ქმედებები არაეფექტიანი იყო, ან საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება დანაშაულის მოტივზე. არც ის არის გამორიცხული, რომ პოლიციამ ადრეული გამოცდილებისას სცადა დაზარალებულის გადარწმუნება და არ აასახინა სიძულვილის მოტივი. შესაბამისად, აღნიშნულის შემდეგ მსხვერპლს შესაძლოა, არ სურდეს პოლიციასთან კომუნიკაცია და ერთი შეხედვით ჩანდეს, რომ ის არ მოდის თანამშრომლობაზე;

მეორადი ვიქტიმიზაციის შიში – ლგბტ თემის წევრები შეიძლება დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობას არა მხოლოდ კერძო პირებისგან, ასევე ინსტიტუციების, მათ შორის, სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან. დანაშაულის მსხვერპლისადმი არასათანადო ან/და გულგრილი მოპყრობა შესაძლოა, უარყოფითად აისახოს მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და მომავალში გახდეს დანაშაულის გაცხადებაზე უარის თქმის საფუძველი. ამგვარი გამოცდილებისა თუ არაპირდაპირი ინფორმაციის მქონე დაზარალებულმა შესაძლოა განმეორებით მსხვერპლად ქცევის შიშით აღარ მიმართოს შესაბამის სტრუქტურას, დანაშაულზე რეაგირებისთვის;

210 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes: A practical Guide, 2014, გვ. 52-53

უსაფრთხოების საკითხი – შესაძლოა ჰომო/ტრანსფობიური დანაშაული, ერთი მხრივ, შემთხვევით დანაშაულად მოგვეჩვენოს, მაგრამ ის შეიძლება მოხდეს ისეთ სივრცეებში, სადაც დაზარალებულს ხშირად უწევს ყოფნა, მაგ. მის საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილთან ახლოს, ან სხვა სივრცეში. ასეთ დროს მსხვერპლმა შესაძლოა არ მიმართოს სამართალდამცავ ორგანოს, ამგვარი დანაშაულის განმეორების შიშით. შიში შესაძლოა კიდევ უფრო ძლიერი იყოს თუ დანაშაული ორგანიზებულმა ჯგუფმა ჩაიდინა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პოლიციისადმი დაბალი მიმართვიანობა შესაძლოა, სხვაგვარადაც აიხსნებოდეს. მაგალითად, ერთ-ერთმა კვლევამ[211] დამატებითი პერსონალური ფაქტორები გამოკვეთა, კერძოდ:

- ინციდენტი/დანაშაული არ აღიქვა მსხვერპლმა საკმარისად მნიშვნელოვნად, ან უშედეგოდ მიიჩნია მიმართვა, რადგანაც პოლიცია ვერ შეძლებდა ეჭვმიტანილის დაკავებას;

- მსხვერპლმა ინციდენტი/დანაშაული აღიქვა, როგორც პირადი/პერსონალური საქმე (მაგ. სამეგობრო წრეში, ოჯახში და სხვ) და არ მიიჩნია პოლიციისადმი მიმართვა საჭიროდ ან ადეკვატურად;

- მსხვერპლმა არ იცოდა, რომ პოლიციისადმი მიმართვა შეეძლო;

- მსხვერპლმა მიიჩნია, რომ თავად იყო დამნაშავე ჩადენილ ქმედებაში ან/და შერცხვა მისი გასაჯაროების;

- მსხვერპლმა თავად მოაგვარა კონკრეტული ინციდენტი/დანაშაული და მიიღო ზომები მომავალში ამგვარი ქმედების თავიდან ასარიდებლად.

გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა, ემპირიული კვლევების შედეგად ასევე გამოიკვეთა ისეთი ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ბიუროკრატიას, დროის ფაქტორსა და პოლიციასთან კომუნიკაციის უარყოფით აღქმას, მიუხედავად იმისა, რა შედეგს ელოდნენ სამართალდამცავი სისტემისგან.[212]

211 Herek G.M., Cogan J.C, J. Roy Gillis „Victim Experiances in Hate Crimes Based on Sexual Orientation“, A reader: Hate and Bias Crime, Perry B., Routledge, 2003, გვ. 243 –259

212 Chakraborti and Garland „Hate crime, Impact, Causes and Responces“, Second Edition, Sage, 2015, გვ. 123

საზოგადოების მხარდაჭერა და ნდობა პოლიციისათვის პრიორიტეტული საკითხია, თუმცა აღნიშნული ნდობის მოპოვება არსებითად პრობლემატურია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით. პოლიციის არაეფექტიანი, დისკრიმინაციულ და ზოგიერთ შემთხვევაში რეპრესიული პოლიტიკა, ისევე როგორც პოლიციის თანამშრომლების ლოიალობა გაბატონებული კულტურული და სოციალური ნორმების მიმართ, აჩენს ერთგვარ ბზარს სამართალდამცავ ინსტიტუციებსა და უმცირესობათა ჯგუფებს შორის.[213]

ამგვარი ტიპის დანაშაულებზე რეაგირება არსებითად კომპლექსური დავალებაა. სამართალდამცავ სტრუქტურებს აქვთ ვალდებულება, ადეკვატურად ასახონ აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები და არსებული კანონმდებლობის იმპლემენტაციას შეუწყონ ხელი. ამასთან, მათი პოლიტიკისა და პრაქტიკის გავლით, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ იმაზე, თუ როგორ აღიქმება ამგვარი დანაშაული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ.[214] იმ პირობებში, როდესაც ხშირად სწორედ პოლიცია გვევლინება პირველად წყაროდ, რომელიც კონტაქტზე გადის დაზარალებულთან, მისი რეაგირების ხარისხი უნდა იყოს საკმარისად მგრძნობიარე[215], რათა მის მიმართ არსებული ზიანი ისე შეფასდეს, როგორც იმსახურებს.

5.2. მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდება და პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა

მეორადი ვიქტიმიზაცია (Secondary Victimisation) გულისხმობს მსხვერპლზე ასახულ იმგვარ ზიანს, რომელიც დადგა არა უშუალო კრიმინალური ქმედების შედეგად, არამედ ინსტიტუციის მხრიდან დანაშაულზე რეაგირების პროცესში. [216]

ინსტიტუციონალიზებული მეორადი ვიქტიმიზაცია ყველაზე შესამჩნევი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაშია. ის შეიძლება გამოვლინდეს კონკრეტულ ჯგუფს მიკუთვნებული მსხვერპლის უფლებების დარღვევაში, დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანის უღიარებლობაში და შეიძლება მოიცავდეს პოლიციის მხრიდან უსიამოვნო ან შეუსაბამო ქცევას. საბოლოოდ, მთლიანმა სისხლისსამართლებრივმა პროცესმა შესაძლოა გამოიწვიოს მეორადი ვიქტიმიზაცია.[217] ამასთან, „სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მეორადი ვიქტიმიზაცია ხშირად მსხვერპლსა და დამნაშავეს

213 იქვე

214 Gerstenfeld, P.B (2013) „Hate crimes: Causes, Controls and Controversies“, 3rd edn. London: Sage. (როგორც ციტირებულია Chakraborti and Garland „Hate crime, Impact, Causes and Responces“, Second Edition, Sage, 2015, გვ.118)

215 Chakraborti and Garland „Hate crime, Impact, Causes and Responces“, Second Edition, Sage, 2015, გვ. 118-119

216 UN ODCCP, Handbook on Justice for Victims, New York, 1999, გვ. 9

217 იქვე

შორის უფლებათა დისბალანსის შედეგია, კერძოდ, მაშინ როდესაც სისტემა და პროცედურა არ ითვალისწინებს მსხვერპლზე დაფუძნებულ პერსპექტივას."[218]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, პრობლემები, რომელსაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით უფლებადარღვეული პირები აწყდებიან პოლიციასთან კომუნიკაციის პროცესში, არსებითად მძიმე და სისტემურია.

პოლიციის დამოკიდებულება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლთან შესაძლოა აიხსნას საზოგადოებაში გავრცელებული წინასწარგანწყობითა და ლგბტ თემის წევრების უარყოფითი აღქმით, რაც სინამდვილეში საპოლიციო რეფორმის მთავარ წინაღობად გვევლინება.[219] სხვადასხვა ავტორი თავის კვლევებში მიუთითებს, რომ საპოლიციო კულტურა (police culture), როგორც დაუწერელი წესი, წარმოადგენს კოლექტიურ ღირებულებებს, ნორმებსა და პერსპექტივებს, რომლებიც გავლენას ახდენს პოლიციელთა რეაგირების ფორმებზე და განსაკუთრებით ახასიათებთ „ქუჩაში მომუშავე" სამართალდამცველებს.[220] მართალია, ამგვარი საპოლიციო კულტურა შეიძლება იყოს დადებითი შინაარსის მატარებელი (მაგალითად, სოლიდარობის, სიმამაცის, პასუხისმგებლობისა და დამნაშავეთა დაჭერის სურვილის), მაგრამ, ამავდროულად, აირეკლავს მათ ცინიკურ, დამცინავ და სტერეოტიპულ დამოკიდებულებას მსხვერპლთა მიმართ.[221] აღნიშნული ქცევა გამომდინარეობს საზოგადოებაში არსებული ჰომოფობია/ტრანსფობიიდან, რომელიც ყველა არაჰეტეროსექსუალ ადამიანს აყენებს საზოგადოებაში არსებული იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე და შესაბამისად, ამართლებს მათდამი მსგავს დამოკიდებულებებს.

ამასთან, დანაშაულთა განცალკევებულ მოვლენად განხილვამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს სტატისტიკის წარმოებას, თუმცა, ამავე დროს, მისი სოციალური გავლენისა და წარმოშობის მიზეზების გაუაზრებლობა პოლიციას ხელს უშლის, აღიქვას დანაშაულით მიყენებული ზიანის მთელი სიმძიმე.[222] ასეთ დროს შესაძლოა, მოხდეს „დანაშაულთა იერარქიზაცია"; გულისხმობს ჰიპოთეტურ ღირებულებათა ერთიანობას, რომელსაც გამოიყენებენ პოლიციის მუშაკები, ზოგჯერ გაუზარებლადაც, როდესაც კონკრეტულ დანაშაულებზე რეაგირების სტრატეგიას იმუშავებენ. ამრიგად, შესაძლებელია, სხვადასხვა სახის დანაშაულს სხვადასხვა პრიორიტეტი მიენიჭოს და აღნიშნულმა განსაზღვროს

218 იქვე

219 Chakraborti and Garland „Hate crime, Impact, Causes and Responces", Second Edition, Sage, 2015, გვ. 112

220 Reiner, R. The Politics of the Police, 4th edn. Oxford University Press, 2010, გვ. 113-138 (როგორც ციტირებულია Chakraborti and Garland „Hate crime, Impact, Causes and Responces", Second Edition, Sage, 2015)

221 იქვე

222 Bowling B. „Racial Harassment and the Process of Victimization, Conseptual and Methodological Implications for the Local Crime Survey", (originally from British Journal of Criminology, 1993), Perry B. A Reader: Hate and Bias Crime, Routledge, New York, 2003, გვ. 61–76

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე რეაგირების ხარისხიც.[223] ამ იერარქიაში, არაპრიორიტეტულ დანაშაულთა შორის შესაძლოა, სწორედ ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულები მოხვდეს, მათი არასერიოზულობის, მსხვერპლთა დაბალი სოციალური სტატუსისა და დანაშაულის ბუნების გამო.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები და დოკუმენტირებული საქმეების ანალიზი აჩვენებს, საქართველოში ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულზე რეაგირებისას, ზოგიერთ შემთხვევაში, აღინიშნება არასათანადო ან/და ჰომოფობიური მოპყრობა პოლიციელთა მხრიდან. მაგალითად, 2009-2012 წლებში დაფიქსირებულია არაერთი ფაქტი, როდესაც პოლიცია უყურადღებოდ ეკიდებოდა ლგბტ თემის წევრების მიმართ ჩადენილ დანაშაულებს[224]. აგრეთვე, დოკუმენტირებულია „პოლიციის მუშაკთა მხრიდან მუქარის, ცინიკური დამოკიდებულებებისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები.“[225]

ამასთან, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დღეს – 2013 წლის 17 მაისს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დაზარალებულებმა აღნიშნეს, რომ პოლიციელთა ნაწილი აქციის მონაწილეებს ერთმანეთთან საუბრისას მოიხსენიებდნენ ცინიკურად და შეურაცხმყოფელად და, გარკვეულწილად, თანაუგრძნობდნენ კონტრდემონსტრანტებს. ასეთივე დამოკიდებულება იგრძნობოდა მათ ქცევაშიც.[226]

ამგვარი დამოკიდებულება გამოვლინდა, აგრეთვე, EMC-ის მიერ ლგბტ თემის წევრებთან 2016 წელს გამართულ ფოკუსჯგუფებში, რომლის მონაწილეებმაც პოლიციის მხრიდან დამცინავ და არასათანადო ქცევას გაუსვეს ხაზი. ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოვლინდა ტრანსგენდერ სექსმუშაკ ქალებში, რომელთა მიმართაც პოლიციის პოლიტიკა კიდევ უფრო მჩაგვრელობითია.[227] 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველს არაერთხელ მიმართეს ტრანსგენდერმა სექსმუშაკებმა, რომლებიც მიუთითებდნენ საპოლიციო კონტროლის დროს შესაძლო ზეწოლის ფაქტებსა და ტრანსფობიურ დამოკიდებულებაზე, უშუალოდ პოლიციელების მხრიდან.[228]

მსხვერპლისათვის ზემოაღნიშნული მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სრულად გაიაზრონ თავიანთი პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის შესრულებისას იხელმძღვანელონ

223 Bowling, 1999, გვ. 246–251 (როგორც ციტირებულია Chakraborti and Garland „Hate crime, Impact, Causes and Responces“, Second Edition, Sage, 2015)

224 „დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ“, WISG, 2015, გვ. 18

225 იქვე გვ. 19

226 არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება 17 მაისთან დაკავშირებით (როგორც ციტირებულია „დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ, WISG, 2015, გვ. 19).

227 ლ. ჯალაღანია „ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, EMC, 2016, გვ. 63

228 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 693–694

მიუკერძოებლობის პრინციპით და არ დაუშვან მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა.[229]

ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს კონკრეტული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ეფექტიან, ადეკვატურ ანაზღაურებას, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლიანობის განცდის დაკმაყოფილებას[230] იმ გაგებით, რომ ჩადენილი დანაშაული არ დარჩება რეაგირების გარეშე, რომ სახელმწიფო არ არის გულგრილი მსხვერპლის პრობლემის მიმართ და სწორედ სახელმწიფო წარმოადგენს გარანტიას მისი ინტერესების დაცვისა და უფლებების დარღვევის პრევენციისთვის. ადამიანს არ უნდა დარჩეს დაუცველობის განცდა ან შეგრძნება, რომ სახელმწიფო არ არის მონდომებული და მოტივირებული ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვისა და უფლებების დარღვევის თავიდან აცილების უმთავრესი ფუნქციის შესრულებისას.[231]

5.3. მსხვერპლის კონფიდენციალობის დაცვა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დანაშაულის მსხვერპლებისათვის მთავარი საკითხი მათი იდენტობის კონფიდენციალობის უზრუნველყოფაა.

ლესბოსელმა, გეი და ბისექსუალმა ადამიანებმა საზოგადოებაში არსებული სტიგმისა და წინასწარგანწყობიდან გამომდინარე, შესაძლოა, თავიანთი ორიენტაცია საჯარო არ გახადონ და ოჯახის წევრებსაც არ გაუმხილონ. ეს ქცევა ოჯახიდან და სხვა სოციალური სივრცეებიდან გარიყვასა და მარგინალიზაციის შიშით არის განპირობებული. საკუთარი ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან არიდების მიზნით, თემის წევრებმა შესაძლოა არ მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს და თუნდაც, სხვა ორგანიზაციებს და არჩიონ დანაშაულის წინაშე პირისპირ დარჩენა.

229 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N 999, 2013 წლის 31 დეკემბერი, თბილისი, პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

230 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მიუთითებს, რომ „დანაშაულმა მსხვერპლში შესაძლოა დაუცველობის, საზოგადოებისაგან იზოლაციის, შიშისა და აგრესიის შეგრძნება აღძრას. ამიტომ, ბუნებრივია, დაზარალებულს სჭირდება ამ განცდების დასაძლევად თავის დაცვა და ამ პროცესში სახელმწიფოს დახმარება. მას არ უნდა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ მისი პრობლემა დარჩება რეაგირების გარეშე, ესა თუ ის უფლება/ინტერესი შეუქცევადად დარღვეული იქნება, ამასთან, სახელმწიფომ დაზარალებულს თავიდან უნდა ააცილოს შიში, რომ სამომავლოდაც ის შეიძლება დადგეს იგივე/ახალი პრობლემის პირისპირ. ყველა ადამიანს სჭირდება განცდა, იმედი და გარანტია, რომ სახელმწიფო არის ეფექტური და ქმედითი მისი უფლებების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამიტომ ნებისმიერი დაზარალებულის ინტერესია, მოითხოვოს სახელმწიფოსგან მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გახსნა, ამ მიზნისთვის ეფექტური გამოძიება, დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია, დამნაშავე პირის უტყუარად იდენტიფიცირება და კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება. ამასთან, არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ დაზარალებული არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სისხლისსამართლებრივი პროცედურების დაწყებისა და მას ობიექტურად აქვს ყველაზე დიდი ინტერესი მართლმსაჯულების შედეგების მიმართ.“ პარა. 9

231 პარა. 9

ასეთ დროს, პოლიციის გულგრილობამ შესაძლოა არსებითი ზიანი მიაყენოს მსხვერპლის კეთილდღეობას. ამიტომ, აუცილებელია, სამართალდამცავმა სისტემამ გაიაზროს, მათი კონფიდენციალობის განუხრელი და სრულყოფილი დაცვის მნიშვნელობა და ადეკვატური ზომები მიიღოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად.

ტრანსგენდერი ადამიანებისათვის მათი გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა, კატასტროფული გავლენა იქონიოს ინდივიდის პირად ცხოვრებაზე და შეუქცევადად დააზიანოს მისი გარე სამყაროსთან ურთიერთობა, მათ შორის, პარტნიორთან, ოჯახთან, საცხოვრებელ ადგილას, გარშემომყოფებთან და სამსახურში. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს განმეორებითი ვიქტიმიზაცია, სიცოცხლის მოსპობის მუქარა, ძალადობის სხვადასხვა ფორმა და მისი ქონების დაზიანება. ტრანსგენდერი ადამიანებისათვის (არა ყველასთვის) მნიშვნელოვანია, გარშემომყოფების მხრიდან აღიქმებოდნენ იმ გენდერის წარმომადგენლად, რომელსაც თავს მიაკუთვნებენ, შესაბამისად, იმ სქესის შესახებ ინფორმაციის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამხელა, რომელიც მათ დაბადებისას მიენიჭათ, არსებითი ზიანის გამომწვევია პირისათვის, თუმცა გარდა ამგვარი ზიანისა, ის ასევე ახდენს გავლენას პირის თვითშეფასებასა და საზოგადოების მხრიდან სრულფასოვან ადამიანად აღქმის ხარისხზე.

არასრულწლოვანი მსხვერპლისათვის კონფიდენციალობის დაცვის საკითხი ასევე კრიტიკული მნიშვნელობისაა; საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვასა და საპროცესო მოქმედებებს ესწრება მისი კანონიერი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგი, ხოლო სხვა შემთხვევებში – ადვოკატი.[232] ამასთან, გამოძიების სტადიაზე პროკურორი უფლებამოსილია, არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.[233]

თუმცა, როგორც პრაქტიკაში ხდება, საგამოძიებო მოქმედებებისას იმ არასრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულისა თუ სამართალდამრღვევის გამოკითხვას, რომელიც შესაძლოა იყოს ლგბტ თემის წარმომადგენელი და დანაშაული სწორედ აღნიშნულ გარემოებას უკავშირდებოდეს, მისი კანონიერი წარმომადგენელი ყოველთვის ესწრება, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა, მათი გამოკითხვისას გახდეს ცნობილი კანონიერი წარმომადგენლისათვის (მისი სექსუალური ორიენტაცია ან/და გენდერული იდენტობა), ვერ პასუხობდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპს და პირიქით არსებითი ზიანი მომტანი იყოს მისი კეთილდღეობისთვის.[234]

232 მუხლი 29, ნაწილი 2

233 მუხლი 29, ნაწილი 3

234 აღნიშნული პრაქტიკა გამოვლინდა EMC-ის მიერ დოკუმენტირებულ რამდენიმე საქმეში, სადაც ტრანსგენდერი თემის წარმომადგენელი არასრულწლოვანი დაზარალებული და მოწმე კანონიერი წარმომადგენლის გარეშე არ დაიკითხნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ დასწრებაზე უარი თავად არასრულწლოვნებმა გამოხატეს.

ასეთ დროს აუცილებელია, საქმეში ერთვებოდეს არა არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც, როგორც წესი, მშობელი ან სხვა ახლო ნათესავია, არამედ ფსიქოლოგი, თუ აღნიშნულ სურვილს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე არასრულწლოვანი პირი ღიად გამოხატავს.

5.4. მსხვერპლის ზიანის შემცირებაზე მიმართული სტრატეგია და სერვისები

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის შესამცირებლად აუცილებელია, სამართალდამცავ სისტემაში არსებობდეს მსხვერპლზე ორიენტირებული ერთიანი პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება მათ საჭიროებებს და შესაძლებელს გახდის ხარისხიანი და ადეკვატური სერვისის მიწოდებას.

სამართალდამცავმა სისტემამ დანაშაულის გამოძიებისას უნდა გაითვალისწინოს, რომ მსხვერპლს მიუდგეს თანაგრძნობითა და პატივისცემით. მათ უნდა ჰქონდეთ მართლმსაჯულებაზე წვდომის შესაძლებლობა და იმ ზიანის აღმოფხვრის, რომელიც მათ განიცადეს დანაშაულის შედეგად.[235]

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის Rec(2006)8 რეკომენდაცია დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს გამოყოფს და მიუთითებს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მსხვერპლთა უფლებების აღიარება და პატივისცემა [..], განსაკუთრებით, პატივი უნდა სცენ მათ უსაფრთხოებას, ღირსებას, პირად და ოჯახურ ცხოვრებას და აღიარონ დანაშაულის ის უარყოფითი შედეგები, რაც მსხვერპლზე აისახება.[236] სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ ამ რეკომენდაციით მითითებული ღონისძიებები უნდა გამოყენებოდეს დისკრიმინაციის გარეშე[237]. აღნიშნული სერვისებითა და ღონისძიებებით უზრუნველყოფა არ უნდა იყოს დამოკიდებული დამნაშავის იდენტიფიკაციაზე, დამნაშავის დაკავებაზე, ბრალდებასა და მსჯავრდებაზე.[238]

პირველ რიგში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში აუცილებელია მსხვერპლის პერსპექტივის გააზრება. ამისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უფლების დარღვევის მსხვერპლი გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებული იყოს სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით ისეთ

235 A/RES/40/34, Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 29 November 1985, 96th plenary meeting, Annex, პრინციპი. 4, იხ: http://www.un.org/documents/ga/res/40/a40r034.htm

236 COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS, Recommendation Rec (2006)8 of the Committee of Ministers to member states on assistance to crime victims, პრინციპი 2.1. იხ: http://www.coe.int/t/dlapil/codexter/Source/CM_Recommendation_2006_8_EN.pdf

237 იქვე, პრინიცპი 2.2.

238 იქვე, პრინციპი 2.3.

დანაშაულებში, სადაც მიყენებული ზიანი არსებითად მძიმე იყო. მსხვერპლს შესაძლებლობა უნდა მიეცეს, რომ მისი წუხილი და მოსაზრებები გაითვალისწინონ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. [239]

სამართალდამცავმა სისტემამ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა შეამციროს ნებისმიერი დაბრკოლება და უხერხულობა, დაიცვას მათი პერსონალური ინფორმაცია და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი, ოჯახის წევრებისა და მოწმეების უსაფრთხოება. თავი აარიდონ საქმის განხილვისას ნებისმიერ შეფერხებასა და, მათ შორის, მსხვერპლის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების მიღება-აღსრულებას. [240]

მსხვერპლმა უნდა მიიღოს შესაბამისი მატერიალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება როგორც სამთავრობო, ისე სხვა წყაროებიდან. მათთვის აღნიშნული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ არსებული სერვისებით.[241]

სამართალდამცავ სისტემაში მომუშავე პერსონალი უნდა გადამზადდეს იმ მიზნით, რომ მგრძნობიარედ მიუდგეს მსხვერპლის საჭიროებებს და ჰქონდეთ სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება მსხვერპლისათვის დროული და შესაბამისი სერვისის მიწოდების საკითხები.[242]

გაეროს ოფისი ნარკოტიკებზე კონტროლისა და დანაშაულთა პრევენციაზე (UNODC) სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, შეიმუშაონ დანაშაულის მსხვერპლთა დახმარების პროგრამები, რომელთა მთავარი მიზანი მსხვერპლისთვის ემოციური ტრავმის გადალახვის პროცესში დახმარება, სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა და ვიქტიმიზაციის პროცესში მიყენებული ზიანის აღდგენაა.[243]

თუმცა უშუალოდ პროგრამების შემუშავებამდე UNODC მოუწოდებს სახელმწიფოებს დანაშაულის მსხვერპლთა საჭიროებების სისტემური გააზრების, სამართალდამცავ სისტემასთან ურთიერთობისას გამოვლენილ პრობლემათა ანალიზისა და არსებული რესურსების შეფასებისკენ, მათ საფუძველზე კი მუშაობის სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისკენ, რომელიც პერიოდულად უნდა გადაიხედოს.[244]

239 A/RES/40/34, Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 29 November 1985, 96th plenary meeting, Annex, პრინციპი 6 a); b)

240 იქვე, პრინციპი 6 d); e)

241 იქვე, პრინციპი 14; 15

242 იქვე, პრინციპი 16

243 UNODC, Handbook on Justice for Victims, გვ. 11

244 იქვე, გვ. 12

მსხვერპლთა დახმარების პროგრამა, სულ მცირე, სერვისთა შემდეგ ჩამონათვალს უნდა მოიცავდეს[245]:

- ინტერვენცია კრიტიკულ ვითარებაში;
- კონსულტაცია მათ უფლებებსა და არსებულ სერვისებზე;
- ადვოკატირება;
- მსხვერპლის ინფორმირება სისხლისსამართლებრივი პროცესის ყველა ეტაპზე;
- მხარდაჭერა დანაშაულის გამოძიების პროცესში;
- მხარდაჭერა სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო პროცესში;
- პერსონალის გადამზადება მსხვერპლთა საჭიროებებზე;
- ძალადობის პრევენცია.

UNODC-ის მიხედვით, პოლიციის სისტემაში არსებული სერვისები გაცილებით უფრო ეფექტიანია, რადგანაც სწორედ მათ აქვთ პირველადი შეხება მსხვერპლთან და მათვე ევალებათ, დაეხმარონ ვიქტიმიზაციის გადალახვასა და მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებაში.

ევროკავშირის დირექტივა ასევე ავალებს სახელმწიფოებს სპეციალური მექანიზმების შექმნას, რომელიც კოორდინირებას გაუწევს (და, სადაც საჭიროება იარსებებს, ფინანსურად დაეხმარება) მსხვერპლისთვის სერვისების მიწოდების ინიციატივების განხორციელებას.[246]

პოლიციის სისტემაში არსებულ სერვისს, როდესაც ის სათანადოდ ადმინისტრირებულია, შეუძლია მსხვერპლთა დასახმარებლად მნიშვნელოვანი ფუნქცია შეასრულოს. ყველა სამართალდამცავმა უწყებამ უნდა უზრუნველყოს იმ ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოყოფა, რომელიც სპეციალიზებულად იმუშავებს მსხვერპლთან და სათანადო სერვისს მიაწვდის, ამგვარი ფუნქციის შესრულება UNODC-ის მიხედვით, მსხვერპლის/მოწმის კოორდინატორს შეუძლია, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სპეციალიზებული ჯგუფების ჩართვა სერვისის სტრატეგიისა და პროცედურების შემუშავებაში ასევე მნიშვნელოვანია.[247]

დიდ ბრიტანეთში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის არსებობს „მსხვერპლთა მიმართ მზრუნველობის პრაქტიკის კოდექსი“, რომელიც პოლიციისაგან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა გაძლიერებულ მზრუნველობას მოითხოვს. აღნიშნული მოიცავს მსხვერპლის მუდმივ ინფორმირებას დანაშაულის გამოძიების პროცესში განვითარებულ მოვლენებზე; მართლმსაჯულების პროცესის ვადების მეტად

245 იქვე, გვ. 16
246 FRA, Ensuring Justice for Hate Crime Victims, A professional Perspective, გვ. 40
247 UNODC, Handbook on Justice for Crime Victims, გვ. 58

შემჭიდროებასა და სპეციალური ზომების დეტალურ ჩარჩოს, როდესაც მსხვერპლს უწევს გამოძიებასა და სასამართლოში მოწმის სახით გამოცხადება.[248]

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის შესახებ დიდი ბრიტანეთის ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, მისაღებია რამდენიმე მნიშვნელოვანი ზომა, რომელიც მიმართული იქნება მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის შემცირებაზე[249]. მათ შორისაა:

- პოლიციის ოფიცრებისა და თანამშრომლების მიერ (როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად) სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის სრული გააზრება;

- დანაშაულის მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრებისათვის მხარდაჭერის გამოცხადება და მათთან პროფესიული კომუნიკაციის დამყარება, რათა თავი დაცულად იგრძნონ სისხლის სამართლის პროცესში ჩართულობის თვალსაზრისით;

- თანამშრომლობა შესაბამის ინსტიტუციურ სააგენტოებთან ან მოხალისეობრივ ორგანიზაციებთან, რომლებსაც შეუძლიათ მსხვერპლის დახმარება და დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა, ასევე სამართალდამცავი სისტემის მხრიდან აღნიშნული საააგენტოების/ორგანიზაციების დახმარება მსხვერპლის დასახმარებლად შესაბამისი ზომების მისაღებად;

- მსხვერპლის მუდმივი ინფორმირება სისხლის სამართლის პროცესზე და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;

- დანაშაულის დროული გამოძიება და დამნაშავის დასჯა, როგორც მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანის რეპარაციის ერთ-ერთი საშუალება, თუმცა მსხვერპლი ასევე უნდა იყოს ინფორმირებული რეპარაციის სხვა ფორმებზე, როგორიც არის აღდგენითი მართლმსაჯულება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლება და სხვა.[250]

ამასთან, მსხვერპლზე ორიენტირებული სერვისის განხორციელებისას მისი ეფექტიანობის გასაზრდელად ინტერდისციპლინარული მიდგომა აუმჯობესებს სისხლისსამართლებრივი სისტემის ეფექტიან პასუხს დანაშაულზე. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ჩართულობის უზრუნველყოფა თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში (არასრულწლოვანი მსხვერპლისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების შემთხვევაში, სოციალური მუშაკების ჩართვა აუცილებელია).

248 Hate crime operational guidline, College of policing, გვ. 82
249 იქვე, გვ. 82–86
250 იქვე

საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა სპეციალური დახმარებისა და დაცვის სერვისი არ არსებობს. დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად პროკურატურის სისტემაში შექმნილია **მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური,** რომელიც ყველა ფორმის დანაშაულის მსხვერპლისათვის გასაწევ ზოგად სერვისებს ფარავს და დანაშაულის სპეციფიკურ ხასიათს არ ითვალისწინებს. მისი მთავარი ფუნქციაა სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას მოქალაქესა და პროკურორს (სასამართლოს) შორის კომუნიკაციის გამარტივება და საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით მისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება. მას ასევე ევალება ძალადობრივი დანაშაულით დაზარალებულისათვის ტრამვისგან გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავებაში დახმარება, მისი პიროვნულ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობის შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა. აგრეთვე, საქმის მსვლელობისას დაზარალებულისათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, ხელმისაწვდომი სერვისის შეთავაზება (მაგალითად: სარეაბილიტაციო ცენტრების, თავშესაფრების, იურიდიული დახმარების სამსახურის – ამ ორგანიზაციებთან დაკავშირება და მათ წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზება).[251]

მსხვერპლის/დაზარალებულის ზიანის შემცირებაზე მიმართული აქტივობების არსებობა არსებითად მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალურად მსხვერპლის რეპარაციისთვის, ისე ზოგადად, პრევენციული ფუნქციის შესრულებისა და სამართალდამცავ სისტემასა და საზოგადოებას/თემს შორის ნდობის მშენებლობის პროცესში. ამ მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მნიშვნელოვანი აქტივობები უნდა განახორციელოს, კერძოდ:

ინდივიდუალურ დონეზე:

- მსხვერპლის მიერ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად განცდილი ზიანის აღიარება და სრული გააზრება;
- პოლიციის თანამშრომელმა, გამომძიებელმა, პროკურორმა უნდა უზრუნველყოს, რომ მსხვერპლს ეკიდებიან გაგებით, პატივისცემით და შესაბამის მხარდაჭერას უცხადებენ;
- მსხვერპლის/დაზარალებულის მოსმენა და მისი სურვილების გათვალისწინება შესაძლებლობის ფარგლებში;
- პოლიციის მუშაკებმა დამატებითი სერვისები უნდა შესთავაზონ მსხვერპლს (მოახდინონ აღნიშნული საჭიროების იდენტიფიცირება) და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ კონკრეტული სერვისის მიმწოდებლები ჩართვა;

251 იხ: http://pog.gov.ge/geo/projects/current?info_id=10

- განმეორებითი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდების მიზნით, რისკის სწორი და ინდივიდუალური შეფასება მისი პრევენციისა და სათანადო ზომების მიღების საშუალებით;

- დანაშაულის მსხვერპლის/დაზარალებულის სრული ინფორმირების უზრუნველყოფა, როგორც პირველად, ისე დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტერდისციპლინარული მიდგომით შეიმუშაოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლთა ზიანის შემცირებაზე მიმართული სტრატეგია/გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს დისკრიმინაციის ყველა შესაძლო ნიშნით მსხვერპლთა როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ საჭიროებებს, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მსხვერპლთა სპეციფიკურ ინტერესებს/საჭიროებებს;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შექმნას მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ჯგუფი (მსხვერპლისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური), რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი ცოდნითა და სპეციალიზაციით აღჭურვილი სპეციალისტებით, მათ შორის – ფსიქოლოგებით, სოციალური მუშაკებით, დანაშაულის პრევენციაზე მომუშავე მუშაკებით და ადეკვატურ დახმარებას გაუწევს მსხვერპლს/დაზარალებულსა და მათი ოჯახის წევრებს, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ყველა შესაბამის ეტაპზე.

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს კომუნიკაცია ლოკალურ ინსტიტუციებსა (მაგ. დანაშაულის პრევენციის სამსახური) და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი ჩართულობა ან მსხვერპლის გადამისამართება;

- მსხვერპლის/დაზარალებულისათვის სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტების შემუშავება, რომელიც მას სპეციფიკურ სერვისებზე მიაწვდის ინფორმაციას;

- მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სერვისების ეფექტიანობის გაზომვა/ანალიზი და მისი მუდმივი გადახედვა და ცვლილების განხორციელება.

თავი 6
ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულის პრევენციის მექანიზმები

6.1. დამნაშავეებსა და კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდებთან მუშაობა

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენცია დანაშაულთა დინამიკის, გავრცელების მასშტაბის, რეგიონული სპეციფიკისა და დამნაშავეთა ფსიქოსოციალური ქცევების შესწავლის, დამნაშავეთა დასჯის გარეშე შეუძლებელია.

სახელმწიფოს დამნაშავის პასუხისგებაში მიცემის ლეგიტიმური ინტერესი აქცს. „დანაშაული გავლენას ახდენს როგორც ერთ ან რამდენიმე ინდივიდზე (დაზარალებულზე), ისე მთელ საზოგადოებაზე, რადგან კონკრეტული ადამიანის გარდა, ზიანს აყენებს ადამიანებს შორის შეთანხმებულ საზოგადო წესრიგს. შედეგად, დანაშაულით გამოწვეული ზიანი გამოიხატება ორი ფორმით – ზიანი, რომელიც მიადგება დაზარალებულს და ზიანი, რომელიც გამოიხატება საზოგადოების თითოეული წევრისთვის შიშის, დაუცველობის, უნდობლობის გრძნობის გაჩენაში.“[252]

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში ცხადია, მთავარი არ არის, თუ რამდენად დაუმძიმდება კონკრეტულ ადამიანს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მატერიალური ნორმის სიმძიმე, არამედ მთავარია, როგორ გავლენას მოახდენს აღნიშნული სასჯელი პირის რესოციალიზაციაზე, დანაშაულის უარყოფითი შედეგების გააზრებასა და მსხვერპლისათვის სამართლიანობის განცდის უზრუნველყოფაზე. ავტორები აღნიშნავენ, რომ შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის ჩამდენი პირისათვის სასჯელის დამძიმების როლი დანაშაულის/ინციდენტის შედეგად გამოწვეული ემოციური, სოციალური და კულტურული ზიანის ანაზღაურებაში არსებითად უმნიშვნელოა; ამასთან, ის ვერც დამნაშავის/სამართალდამრღვევის წინასწარგანწყობის სრულ რღვევას უზრუნველყოფს.[253]

ამ მხრივ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში განსაკუთრებით აქტუალურ და შედეგზე ორიენტირებულ მეთოდად იქცა აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფცია (RJ), მართლმსაჯულების იმგვარი მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს და-

---

252 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, პარა. 18

253 „Hate Crime and Restorative Justice: Exploring Causes, Repairing Harms“ Mark Walters, იხ. სტატია: http://www.internationalhatestudies.com/hate-crime-restorative-justice-exploring-causes-repairing-harms/

ნაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის გამოსწორებასა და დანაშაულის მხარეებისათვის დიალოგის ხელშეწყობას. ის აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის – აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა (მსხვერპლის, დამნაშავისა და თემის) ჩართვას დისკუსიაში (უსაფრთხო სივრცის გამოყენებით), რომელიც ფოკუსირდება დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანის გააზრებაზე (თუ როგორ აისახა ის მსხვერპლსა და თემზე), სტერეოტიპების მსხვრევასა და მომავალი ინციდენტების პრევენციაზე.[254]

სისხლის სამართლის პროცესში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. როგორც სხვადასხვა ავტორი მიუთითებს, ციხე მსჯავრდებულ პირებს სთავაზობს შეზღუდულ შესაძლებლობებს სარეაბილიტაციო პროგრამების სახით და შესაძლოა, ზოგჯერ ხელიც კი შეუწყოს შეუწყნარებლობასთან დაკავშირებული წინასწარგანწყობების კიდევ უფრო გაძლიერებას და მსჯავრდებულ პირებში ორგანიზებულ ჯგუფებში გაერთიანების სურვილის წარმოშობას.

ამასთანავე, აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფცია სისტემას სთავაზობს ეფექტიან, უფრო ინკლუზიურ ალტერნატივას დაზარალებულ მხარეებზე ერთად მუშაობისა და მოხალისეობრივ და გულწრფელ დიალოგში ურთიერთგაგების პროცესის ხელშეწყობით, რომელიც ასევე უწყობს ხელს ზიანის შემცირებას. მსხვერპლისა და დამნაშავის (კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების) დიალოგის ხელშეწყობისას აღდგენითი ინტერვენციები აძლიერებს მათ შორის იმგვარ კომუნიკაციას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენთ, გაიაზრონ თავიანთი ქმედებებით გამოწვეული ზიანი. ამან კი შეიძლება, შეამციროს ის შიში, ცრურწმენა და სტერეოტიპები, რამაც ქმედების ბაზისი და საფუძველი შექმნა.[255]

მედიაციის, როგორც ინტერვენციის ეფექტიანობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ არაერთი კვლევით დასტურდება. კვლევები აჩვენებს, რომ მსხვერპლის საჭიროებებსა და დამნაშავის რესოციალიზაციაზე მორგებული აქტივობები არსებითად უწყობს ხელს დანაშაულთა განმეორებითობის პრევენციას და, სულ მცირე, ინდივიდუალურ დონეზე ცრურწმენებისა და წინასწარგანწყობების რღვევას. მაგალითად, **დიდ ბრიტანეთში** კვლევამ აჩვენა, რომ მსხვერპლს, დამნაშავესა და თემს შორის დიალოგმა მონაწილეებზე დადებითი გავლენა მოახდინა. კერძოდ, მათ იგრძნეს, რომ შეეძლოთ, აქტიური როლი შეესრულებინათ კონფლიქტის გადაწყვეტაში; მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, აეხსნათ დამნაშავისა და სხვებისათვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ და ესაუბრათ, თუ როგორია, იყო „განსხვავებული“

254 Repairing Harm, Rebuilding confidence and Reaching a Resolution: How Hate Crime Victims are Benefiting from Restorative Justice in the UK, იხ: https://lawlessons4life.com/academic-articles-and-essays/hate-crime-and-restorative-justice/

255 Chakraborti N., Garland J. „Hate Crime: Imact, Causes and Responces“, Second Edition, Sage Publication, London, 2015, გვ. 129–130

საზოგადოებაში; მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მომხდარის საკუთარი ვერსიები გაეზიარებინათ და მისი ღრმა ანალიზი მოეხდინათ, მედიატორის უშუალო მონაწილეობით. აღნიშნულმა კვლევამ დამატებით აჩვენა, რომ გამარტივებული მედიაციის პროცესი ამცირებს გაბრაზებას, შფოთვასა და შიშს და შეუძლია მომავალი ინციდენტების განმეორების, ან გამწვავების თავიდან არიდება.[256]

შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულებში აღდგენითი მართლმსაჯულების საჭიროება კრიტიკულად დგას, რადგანაც ამგვარ დანაშაულთა ჩამდენები, როგორც წესი, მათი „განეიტრალების“ ტექნიკის საშუალებით, მსხვერპლთა დეჰუმანიზებას ახდენენ, თუმცა მასთან პირისპირ შეხვედრა შესაძლებლობას აძლევს დაინახონ მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანი და აღიქვან ის, როგორც პიროვნება და არა როგორც, გარიყული და სტიგმატიზებული ჯგუფის უსახო წევრი. ამასთან, მედიაციის ამგვარი ფორმა მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, განიხილონ მომხდარი ინციდენტი და ამით გამოწვეული ემოციური გავლენა, რაც შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის ემოციური სტრესის გადალახვის შესაძლებლობაა. გარდა ამისა, მედიაცია ხელს უწყობს სამომავლოდ, ინციდენტების შემთხვევაში, პოლიციისადმი მიმართვიანობის გაზრდას და დანაშაულის გამეორების პრევენციას.[257]

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება, კერძოდ, მედიაცია, როგორც ინტერვენციული მეთოდი მოითხოვს პროფესიონალი და მგრძნობიარე მედიატორის მონაწილეობას. ამასთან, თავიდან უნდა იქნას არიდებული მსხვერპლთა რევიქტიმიზაცია, ზიანის კიდევ უფრო გამწვავება და მომავალში დანაშაულის გამეორება.[258] გარდა ზოგადი რისკისა, მედიაციის ტექნიკის გამოყენება ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, რადგანაც ის ყოველთვის არ იქნება მისაღები და არსებითი ყველა სიტუაციაში – აუცილებლად იქნება ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავეს განწყობა იმდენად ღრმად აქვს გამჯდარი, რომ აღდგენით დიალოგებს შეზღუდული ტრანსფორმაციული ეფექტი ექნება. ამასთან, შესაძლოა, მსხვერპლს/დამნაშავეს არ სურდეს მასთან კომუნიკაცია და სხვა შემთხვევაში ეს შეუძლებელიც კი იყოს. ასევე, მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ძალაუფლებათა დისბალანსის გამო შესაძლოა მსხვერპლმა თავი ვიქტიმიზებულად იგრძნოს, შესაბამისად, მისი სურვილების გაგებისა და სწორი კომუნიკაციის საშუალებით მაქსიმალურად უნდა იყოს თავიდან არიდებული მსხვერპლის განმეორებითი ვიქტიმიზაცია.

საქართველოში შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლაში აღდგენით მართლმსაჯულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ მეთოდიკის გამოყენება, ინ-

256 „Hate Crime and Restorative Justice: Exploring Causes, Repairing Harms“, Mark Walters, იხ. სტატია: http://www.internationalhatestudies.com/hate-crime-restorative-justice-exploring-causes-repairing-harms/

257 Shenk, A „Victim-Offender Mediation: The Road to Repairing Hate Crime Injustice“ Ohio State Journal on Dispute Resolution, 2001. Vol.17 გვ. 185-217

258 Repairing Harm, Rebuilding confidence and Reaching a Resolution: How Hate Crime Victims are Benefiting from Restorative Justice in the UK, იხ, სტატია: https://lawlessons4life.com/academic-articles-and-essays/hate-crime-and-restorative-justice/

დივიდუალური შემთხვევების გადაჭრის გარდა, აისახება ზოგადად მართლმსაჯულების სისტემასა და საზოგადოებაზეც, რადგანაც ხშირ შემთხვევაში დამნაშავეები სწორედ საზოგადოებაში დაკვიდრებულ წინასწარგანწყობებს და ძალაუფლების გაგებას იზიარებენ; დამნაშავის წინასწარგანწყობა და სტერეოტიპები კონკრეტულ ჯგუფს მიკუთვნებულ ადამიანთა მიმართ შეიძლება მეტად სტრუქტურული იყოს, ვიდრე ინდივიდუალური, და მისი გარდაქმნა შესაძლებელია ეფექტიანად მოხდეს.

აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ:

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმუშაოს პროკურატურასა და სასჯელაღსრულების სამინისტროსთან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩამდენ პირთა აღდგენითი მართლმსაჯულების სტრატეგიის დასახვაზე, რომელიც გაითვალისწინებს დისკრიმინაციის ყველა საფუძველს და არსებით ყურადღებას გაამახვილებს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების სპეციფიკაზე;

- აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს თემისა და სათემო ორგანიზაციების ჩართვა, კონსულტირება და, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობა.

6.2. საჯარო განცხადებების მნიშვნელობა

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ეფექტიან კანონმდებლობას და მის აღსრულებას პრაქტიკული ღირებულება აქვს, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს პოლიტიკურ მიუღებლობას წინასწარგანწყობების მიმართ და მრავალფეროვნებისა და თანასწორობის დაცვას ემსახურება. ეფექტიანი პოლიტიკით სახელმწიფო შეტყობინებას უგზავნის დამნაშავეებსა და მსხვერპლს, ასევე სტიგმატიზებულ ჯგუფებს, რომ ის ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის დაცვის სადარაჯოზე დგას. მკაფიო საჯარო განცხდებები აჩენს ნდობას სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და ხაზს უსვამს ამგვარი დანაშაულებით გამოწვეულ არსებით ზიანს[259].

პოლიტიკოსებისა და სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლების მხრიდან საჯარო განცხადებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის პრევენციისთვის. ამავე დროს, არასწორმა და ჰომოფობიურმა, თუ ტრანსფობიურმა საჯარო გამოსვლებმა შესაძლოა, არსებითად შეუწყოს ხელი ლგბტ ჯგუფების მიმართ შეუწყნარებლობისა და მტრობის გაღვივებას. ერთი მხრივ, აღნიშნული ეხება სახელმწიფოს ნეგატიურ პასუხისმგებლობას, პო-

259 Chakraborti N., Garland J. „Hate Crime; Imact, Causes and Responces“, second edition, Sage Publication, 2015, გვ. 128

ლიტიკური სუბიექტების განცხადებები არ შეიცავდეს სიძულვილის ენას, არ ახდენდეს ლგბტ თემის სტიგმატიზებას და დანაშაულისკენ არაპირდაპირ მოწოდებას, ხოლო მეორე მხრივ, სამართალდამცავი სისტემის მხრიდან პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყონ მომხდარ ინციდენტებსა თუ დანაშაულებზე განხორციელებული რეაგირების საჯაროდ გავრცელება, მისი პრევენციისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზოგადად მიუთითებს სახელმწიფოს დისკრეციის შემცირებაზე, როდესაც საკითხი პოლიტიკოსის გამოხატვას ეხება, რადგან მისი საქმიანობა დემოკრატიული საზოგადოებაში პოლიტიკური დებატების თავისუფალ წარმართვას უკავშირდება. სიძულვილის ენის შეზღუდვისას სასამართლო მოითხოვს უკიდურესი აუცილებლობის დასაბუთებას და მათ გარეშე შეზღუდვას კონვენციის დარღვევად მიიჩნევს.[260] თუმცა პოლიტიკოსის გამოხატვის თავისუფლების დარღვევის დადგენის დროსაც კი ევროპული სასამართლო მიუთითებს ასეთი თავისუფლების ზღვარდადებულობას შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესით და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას პოლიტიკოსის ამაღლებულ პასუხისმგებლობაზე აკეთებს აქცენტს[261]; კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პოლიტიკოსებმა თავიანთ საჯარო გამოსვლებში თავიდან აიცილონ შეუწყნარებლობის გამავრცელებელი გამონათქვამები“[262].

რაც შეეხება შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულებზე სამართალდამცავი სისტემის ერთმნიშვნელოვანი და საჯარო პოზიციის გამოხატვის აუცილებლობას, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ (ECRI) თავის ანგარიშებში არაერთხელ მოუწოდა სახელმწიფოებს, ღიად შეატყობინონ საზოგადოებას, რომ ამგვარი ქმედებები არ იქნება შეწყნარებული სამართალდამცავი სისტემის მხრიდან.

სწორედ ამგვარი რეკომენდაცია გასცა ECRI-მ საქართველოს შესახებ 2016 წლის ანგარიშში და ხელისუფლებას მოუწოდა, საზოგადოებას აცნობოს სისხლის სამართლის იმ დებულებებზე, რომლებიც ჰომო/ტრანსფობიურ ნიადაგზე ჩადენილ ქმედებათა დასჯის საშუალებას იძლევა.[263] ეს გულისხმობს ერთმნიშვნელოვან და ღია მესიჯს საზოგადოებისათვის, ამგვარ დანაშაულთა დაუშვებლობაზე, რაც ხელს შეუწყობს დაუსჯელობის სინდრომის აღმოფხვრას საზოგადოებაში.

260 ECHR, Judgment on Erbakan v. Turkey, პარა 55

261 გაეროს კომიტეტი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ერთ-ერთ რეკომენდაციაში მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ შესაბამისი ზომები სიძულვილის ენის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსების, საჯარო მოხელეების, მედიისა და მასწავლებლებისგან. თუმცა ამ დროს აღსანიშნავია თავად გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის ამერიკულ მოდელთან დაახლოებული მიდგომა, გამოხატვის თავისუფლების მხოლოდ ძალადობასთან მყარ კავშირში შეზღუდვასთან დაკავშირებით.

262 ECtHR judgment on Erbakan v. Turkey, პარა 64

263 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა. 70

შესაბამისად, სამართალდამცავმა სისტემამ უნდა გაიაზროს სოგი-ს ნიშნით ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე თავისი მოქმედებების გასაჯაროების მნიშვნელობა და ღირებულება და შემდეგი აქტივობები განახორციელოს:

- ინდივიდუალურ დონეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა და პროკურატურის თანამშრომლებმა თავი შეიკავონ ჰომო/ბი/ტრანსფობიური ენის გამოყენებისგან და ასევე, დაიცვან სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპები;

- შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულებზე თავის ოფიციალურ ვებგვერდებზე გაავრცელოს პრესსრელიზები, რომელიც არა მარტო ინდივიდუალურ ინციდენტზე/დანაშაულზე მის რეაგირებას აღწერს, არამედ გამოხატავს საჯარო პოზიციას ამგვარ დანაშაულთა უარყოფით შედეგებსა და მის დაუშვებლობაზე;

- თავის ვებგვერდებზე ცალკე საინფორმაციო გვერდი დაუთმოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს (მათ შორის – სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილს), რაც უზრუნველყოფს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის განთავსებას, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმის განმარტებას/მითითებას, დანაშაულის არსებითად დამაზიანებელ შედეგებზე ხაზგასმას, ამგვარ დანაშაულთა აღმოფხვრის პრიორიტეტულობასა და სამართალდამცავი სისტემის როლს მის დაძლევასა და პრევენციაში;

- განახორციელოს სოციალური მედიისა და სხვა ინტერნეტ რესურსების გამოყენების ანალიზი, რომელიც მას დაეხმარება მიწვდეს ამგვარ დანაშაულთა შედეგად დაზარალებულ სპეციფიურ ჯგუფებს, მაგ. ამგვარი ვებგვერდია True Vision (www.report-it.org.uk), რომელსაც დიდი ბრიტანეთის პოლიცია ადმინისტრირებს.

6.3. საჯარო კამპანიები და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობები

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა შესახებ საჯარო კამპანიებსა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ აქტივობებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

მაგალითად, ავსტრიის პოლიციაში ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების დეპარტამენტი ლოკალურ ორგანიზაციასთან ერთად მიმართავს სხვადასხვა აქტივობას – სი-

ძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ცნობიერების ამაღლების, დანაშაულზე ინფორმაციის გავრცელებისა და მიმართვიანობის გაზრდის მიზნით, თემთან უშუალო კომუნიკაციას და საჯარო კამპანიებს. მათ შორის – საინფორმაციო კამპანიას კულტურულ და სოციალურ ღირებულებებზე, აგრეთვე, ოჯახში ძალადობასა და უმცირესობათა ჯგუფების დისკრიმინაციის შესახებ.[264]

ასევე, ნიდერლანდებში იმისათვის, რომ გაზრდილიყო დისკრიმინაციის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერება, შინაგან საქმეთა და შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა მედიაკამპანიის გეგმა და შესაბამისი მექანიზმი დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის. აღნიშნული მექანიზმი შეიცავდა ინფორმაციას იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში, რა შეუძლიათ მათ გააკეთონ მსხვერპლის დასაცავად და როგორ უნდა მიმართონ. აღნიშნული მექანიზმი ნიდერლანდების შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხვა რელევანტურ უწყებებსა და იმ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა, რომელთა საქმიანობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღმოფხვრაა. პარტნიორები შეთანხმდნენ ერთ გამაერთიანებელ ონლაინგვერდზე[265]*, რომელიც ყველა საჭირო ინფორმაციას ასახავდა. მოგვიანებით, შემუშავდა მედიაკამპანიაც, რომელიც აღნიშნული ვებგვერდისთვის იყო განკუთვნილი და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე ფოკუსირდებოდა. მედიაკამპანიის იდეა ნიდერლანდების შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე განიხილა სხვა რელევანტურ ლოკალურ ორგანიზაციებთან.* [266]

საქართველოში დღემდე არ უწარმოებიათ საჯარო კამპანია ან ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები, რომლის მიზანი იქნებოდა საზოგადოებაში არსებული ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების პრევენცია და ლგბტ ჯგუფების მიმართ არსებული სტიგმის აღმოფხვრა, მაშინ, როდესაც სხვადასხვა სამთავრობო უწყებას შორის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა, ერთიანი სამოქმედო სტრატეგიის დაგეგმვა და მის აღსრულებაზე მონიტორინგი დანაშაულის პრევენციის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია.

მნიშვნელოვანია, რომ ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილთან საბრძოლველად ცნობიერების ამაღლების პროგრამების აუცილებლობაზე აკეთებს აქცენტს სკოლებსა და უნივერსიტეტებში რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI), 2016 წლის რეკომენდაციაში საქართველოს შესახებ.[267]

264 პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ: http://fra.europa.eu/en/promising-practices/department-integration-and-diversity-cooperation-fair-und-sensibel-osterreich

265 იხ: http://www.discriminatie.nl/#/home

266 პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ: http://fra.europa.eu/en/promising-practices/discriminatienl

267 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა. 70

საჯარო კამპანიებისა და ცნობიერების ამაღლებისათვის აუცილებელია:

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროკურატურასთან, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა რელევანტურ უწყებებთან ერთად (მაგ. განათლების სამინისტრო) დაგეგმოს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები საქართველოში;

- კამპანიები დაეფუძნოს ლგბტ პირთა არსებული საჭიროებების შეფასებას, რისთვისაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და ლგბტ პირების მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციისა და დანაშაულის საკითხებზე;

- შემუშავდეს მედიასტრატეგია, რომელიც არსებითად დაეხმარება შინაგან საქმეთა სამინისტროს ფართო საზოგადოებისთვის სასურველი ინფორმაციის სწორად მიწოდებასა და პრევენციული ფუნქციის ეფექტიან შესრულებაში;

- მოხდეს საჯარო განცხადების მნიშვნელობის აღიარება მედიაში, რა დროსაც განხორციელდება იმგვარ მესიჯებზე შეთანხმება, რომელიც თემის გაძლიერებასა და ნდობის მოპოვებაზე იქნება მიმართული და ასევე, მაქსიმალურად იქნება არიდებული სიძულვილის ენა. აღნიშნული უნდა ეხებოდეს ყველას ვინც საქმის დეტალებზე სასაუბროდ უფლებამოსილი პირია და აკეთებს საჯარო კომენტარს.

6.4. შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ტრენინგების უზრუნველყოფა

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა მოტივის იდენტიფიცირების, აღრიცხვისა და სანდო სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისთვის სამართალდამცავი უწყების ტრენინგები არსებითი მნიშვნელობისაა, რათა პოლიციის ყველა თანამშრომელს ჰქონდეს ცოდნა, მგრძნობელობა და საკმარისი ინფორმაცია, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება დანაშაულის გამოძიებისას, მოტივის იდენტიფიცირებისა და მსხვერპლთან ურთიერთობისას; როგორ და რა მეთოდიკით უნდა აღრიცხოს დანაშაული ადეკვატურად.

პოლიციის მუშაკებისა და პროკურორების ცოდნის გაზრდისა და დანაშაულთა გამოძიების პროცესში დასახმარებლად სხვადასხვა ქვეყანას შემუშავებული აქვს სპეციალური სახელმძღვანელო დოკუმენტები და სატრენინგო მასალები, რომელიც დეტალურად აღწერს ყველა შესაძლო სცენარს და სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, ფართო და კომპლექსური ხედვა შეიმუშავონ აღნიშნულ დანაშაულთა გამოძიების პროცესში.

აშშ–ის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) შემუშავებულია სახელმძღვანელო და ტრენინგის მასალები დანაშაულზე ინფორმაციის შეგროვების შესახებ. ტრენინგის მასალები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ, ვინც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულთა რეგისტრაციას, მას ასევე შეუძლია, განსაზღვროს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, იმ კრიტერიუმების ჩამონათვალი, რომელიც მიუთითებს დანაშაულის მოტივზე, ჰიპოთეტური საქმის შეფასება და კლასიფიკაცია მიანიჭოს დანაშაულებრივ ქმედებას კონკრეტულ საქმეში, როგორც დანაშაულს ან „შესაძლო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს“ და მიუთითოს არგუმენტაცია.

აშშ-ის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ეროვნული კოალიცია აქტიურად მუშაობს FBI-თან, რათა უზრუნველყოს, რომ მოტივზე მიმანიშნებელი ინდიკატორები და სატრენინგო მასალაში ასახული დანაშაულების სცენარები (კაზუსები), იყოს რეალისტური და ასახავდეს მოწყვლადი ჯგუფების არსებულ გამოცდილებებს.[268]

გარდა პერმანენტული ტრენინგების ეფექტიანობისა, რომელიც კონკრეტულ უწყებაზეა მიმართული ინდივიდუალურად, მაგ. პოლიციისა და პროკურატურისათვის ცალკე სატრენინგო პროგრამების სახით, OSCE/ODIHR გამოსადეგ მექანიზმად მიიჩნევს ინტერუწყებრივ თანამშომლობას, კერძოდ, გაერთიანებულ ტრენინგებს, რომელიც უწყებებს შორის ეფექტიანი კოოპერაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.[269]

ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ტრენინგების ფუნქცია არის არა მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის დატვირთვა სპეციალიზებული ცოდნითა და სენსიტიურობით, არამედ აღნიშნულ დანაშაულთა მნიშვნელობაზე მუშაკების ყურადღების გამახვილება და ერთგვარი განაცხადი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა სათანადო გამოძიების პრიორიტეტულობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძელზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისას ერთ-ერთი მთავარი ხარვეზი იკვეთება სწორედ დანაშაულთა ფაქტობრივი იერარქიზაციის პროცესში. კერძოდ, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები არ წარმოადგენს პრიორიტეტულ დანაშაულთა ჯგუფს, რაც არსებით პრობლემებს ქმნის უშუალოდ გამოძიებისას და შემდგომ, დამნაშავეთა დასჯის ეტაპზე. ამგვარი დამოკიდებულება ასევე გამყარებულია დანაშაულის, როგორც მხოლოდ ფრაგმენტულ, ერთეულ და იზოლირებულ შემთხვევად განხილვის მიდგომით, რომელსაც ამგვარ დანაშაულთა წარმოშობის სისტემური მიზეზების ცოდნისა და სახელმწიფოს სტრატეგიის არქონა განაპირობებს.

268 Hate Crime Data Collection Guidelines and Training Manual, Criminal Justice Information Services Division, Uniform Crime Reporting Program, Federal Bureau of Investigation, US Department of Justice, ob: www.fbi.gov/about-us/cjis/ucr/hate-crime/data-collection-manual

269 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes: A Practical Guide, gg.45

გარდა აღნიშნულისა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ დეტალიზებული სტატისტიკური მონაცემების წარმოების პრობლემურობა, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე არაეფექტური პასუხებით გამოწვეული მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი რიგით სამართალდამცავს აფიქრებინებს, რომ ამგვარი დანაშაული არ ხდება ან ხდება მხოლოდ ლიმიტირებული რაოდენობით. შესაბამისად, რთულდება ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულთა ანალიზი და მისი პრიორიტეტულობის დასაბუთება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული 2014-2015 და 2016-2017 წლებისთვის განკუთვნილი ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმების საფუძველზე ხორციელდება პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება, სპეციალური უწყების სახით, ინსტიტუციური მოწყობის არარსებობის პირობებში, აღნიშნული ტრენინგები და სასწავლო პროგრამები, მათი ფრაგმენტული და არასისტემური ხასიათის გამო, არ არის ეფექტიანი.[270] ამასთან, არ არსებობს მისი შედეგების გაზომვის მექანიზმი; სატრენინგო მასალები კი, რომელიც განყენებულად, პრინციპების დონეზე აღწერს დანაშაულებს, ართულებს დანაშაულის ბუნების სიღრმისეულ გააზრებას[271] და შესაბამისად, რელევანტური სტატისტიკის მოგროვებასა და პრევენციული ნაბიჯების დაგეგმვას.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) საქართველოს აძლევს რეკომენდაციას, რომ [სასამართლო] და სამართალდამცველ ორგანოთა მოხელეთათვის გაიზარდოს სატრენინგო აქტივობები სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაზე. გარდა ამისა, ტრენინგები უნდა ფარავდეს ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებსაც. ECRI ასევე გასცემს რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ შეაფასოს ტრენინგების გავლენა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად შეცვალოს ისინი.[272]

შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია:

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ პერმანენტულად და სისტემურად განახორციელოს თანამშრომელთა გადამზადება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების შესახებ;

- შემუშავდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა (მათ შორის, ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულთა) გამოძიების, მოტივთა იდენტიფიცირების,

270 საქართველოს მთავრობის დადგენილება №338 2016 წლის 21 ივლისი, ქ. თბილისი, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ, პუნქტი 13.2.2.2.

271 OSCE/ODIHR, Preventing and responding to hate crimes, A resource guide for NGOs in the OSCE region გვ.28

272 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა. 67

მსხვერპლსა და შესაძლო დამნაშავეებთან მოქცევისა და მისაღები ზომების შესახებ დეტალური სახელმძღვანელო დოკუმენტი და ის საერთაშორისოდ აღიარებულ კარგ გამოცდილებასა და სტანდარტს დააფუძნოს;

- სატრენინგო მოდულების შედგენისას გათვალისწინებულ იქნას ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება არა მხოლოდ დანაშაულის გამოძიების ტექნიკის სისხლისსამართლებრივ განზომილებაზე, არამედ მიმართული იქნება ლგბტ ადამიანების (და სხვა დისკრიმინირებული ჯგუფების) მიმართ მგრძნობელობის გაზრდაზე და ამ მხრივ, მოახდენს ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების, თემთან მომუშავე ექსპერტებისა და საჭიროების შემთხვევაში, სათემო ორგანიზაციების ჩართვას;

- შემუშავდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოებისა და აღრიცხვის შესახებ ცალკე მოდული, რომელიც ამგვარ დანაშაულთა აღრიცხვიანობის მნიშვნელობაზე გაამახვილებს ყურადღებას და ტექნიკურ ინფორმაციას მისცემს მუშაკებს მისი რელევანტურ ბაზაში ადეკვატური ასახვის მიზნებისთვის;

- სწავლების/ტრენინგების შედეგების გასაზომად შემუშავდეს კრიტერიუმები და, შესაბამისად, მოხდეს მისი ანალიზი, დროული ინტერვენციები სასწავლო მოდულთა განახლებისათვის;

- სამართალდამცავმა სისტემამ შიდა მესიჯი გაგზავნოს პოლიციისა და პროკურატურის მუშაკების მიმართ, ამგვარ დანაშაულთა სერიოზულობასა და გამოძიების პრიორიტეტულობაზე. ასევე, შეიძლება შემუშავდეს თანამშრომელთა წასალიხების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიციის მუშაკთა მოტივაციის გაზრდას, გამოიძიონ ამგვარი დანაშაულები და თავი აარიდონ მსხვერპლების მეორად ვიქტიმიზაციას.[273]

273 ინდივიდუალური ინტერვიუ საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელ ეკატერინე სხილაძესთან, 05.10.2016

თავი 7
სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობა და მექანიზმები

7.1. სტატისტიკის წარმოების შესაძლო მეთოდიკები

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად დეტალურ და სანდო სტატისტიკას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ინფორმაციის ასახვისა და მისი შეჯერებისთვის, კარგად შემუშავებული მექანიზმები ხელს უწყობს სამართალდამცავ უწყებებს, მოაგროვონ ინფორმაცია დანაშაულთა ბუნებაზე, მათ გავრცელებასა და სიხშირეზე, რომლის შესაბამისადაც შეძლებენ, სწორად განსაზღვრონ დანაშაულებთან ბრძოლის საჭირო რესურსი და გააძლიერონ საგამოძიებო პროცესი.[274]

ამასთან, ადეკვატურად ასახული სტატისტიკა და ინფორმაცია პოლიტიკის შემქმნელებისთვისაც გამოსადეგია, რადგანაც საშუალებას იძლევა, უფრო თვალსაჩინო გახადოს იმ ჯგუფთა გამოცდილებები, რომლებიც ყველაზე მეტად ზარალდებიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებით და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღონ აღნიშნულის საფუძველზე. ეს ასევე ხელს უწყობს როგორც ამ კონკრეტული ჯგუფის, ისე საზოგადოებისათვის სწორი მესიჯის გაგზავნას.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის ევროპული კომისია საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, შექმნას ერთიანი მონაცემთა ბაზა სიძულვილით ჩადენილ ყველა დანაშაულზე, იმ საქმეთა ჩათვლით, სადაც გამოყენებულია დამამძიმებელი გარემოებები.[275]

პოლიცია არის პირველი უწყება, რომელსაც ევალება, მართებული და დროული პასუხი გასცეს ამგვარ დანაშაულს. შესაბამისად, ის ინფორმაცია, რასაც ისინი აგროვებენ, წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ოფიციალური სტატისტიკის ხერხემალს[276].

იმისათვის, რომ სამართალდამცავმა სტრუქტურებმა შეძლონ დანაშაულის სწორად იდენტიფიცირება და მისი ასახვა სისტემაში, მნიშვნელოვანია, უწყების შიგნით არსებობდეს სიძულვილით მოტივირებული **დანაშაულის საერთო დეფინიციაზე შეთანხმება, ცოდნა და ინფორმირებულობა.**

---

274 OSCE/ODIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 11

275 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), მოხსენება საქართველოს შესახებ, (მონიტორინგის მეხუთე ციკლი), გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა. 48

276 იქვე

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, დანაშაულის დეფინიცია უნდა იყოს ერთიანი, ამომწურავი და მარტივი, რათა მის საფუძველზე პოლიციას, პროკურატურასა და სასამართლოს შეეძლოთ მეტად თანმიმდევრული ინფორმაციის შეგროვება.[277] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მესამე პრიმა მუხლი აღნიშნულ სამ კრიტერიუმს თავის თავში მოიცავს; ამდენად ის **საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტს შეესაბამება,** თუმცა მთავარი პრობლემატიკა ვლინდება მისი პრაქტიკაში გამოყენების ეტაპზე.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 23 დეკემბერს ამოქმედდა შინაგან საქმეთა მინისტრის N47 მითითება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ“. მითითება გამოყოფს შსს-ს უწყებების ძირითად ვალდებულებებს, დისკრიმინაციულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში.

მითითების მე-2 მუხლის მიხედვით, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში – „დანაშაულის ფაბულა“ უნდა მიეთითოს სისხლის სამართლის კოდექსის 53.3[1] მუხლით გათვალისწინებული შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის „შესაძლო“ არსებობის შესახებ. სტატისტიკის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი. უნდა აღინიშნოს, რომ მითითება არ სრულდება.

აღნიშნულ ეტაპზე დანაშაულის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში სიძულვილის მოტივის და, შესაბამისად, 53-ე მესამე პრიმა მუხლის მითითების ტექნიკური შესაძლებლობა არ არსებობს. თუმცა მისი პროგრამაში ჩამატება მოსანიშნ ნორმათა ჩამონათვალში არ წარმოადგენს სირთულეს. მთავარი საკითხია, აღნიშნულმა ნორმამ, გარდა ლეგალისტური შინაარსისა, **შეიძინოს სტატისტიკის მწარმოებელი მუხლის ფუნქციაც** და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ნორმა არ აღიქმებოდეს არსებითად ვიწროდ, როგორც მხოლოდ სასჯელის დამამძიმებელი როლისა და შინაარსის მატარებელი.[278]

ალტერნატივის სახით, შესაძლებელია, სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდეს კონკრეტული მუხლი, რომელსაც მხოლოდ სტატისტიკის წარმოების ფუნქცია ექნება. სწორედ ამგვარი ცვლილება გატარდა საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკის წარმოების მიზნით, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მე-11[1]. ამან

277 OSCE/IDIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 12

278 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხო წერილი N1189435, 03.06.2015

გარკვეულწილად ხელი შეუწყო აღნიშნულ დანაშაულთა შესახებ ხილვადობის გაზრდას საზოგადოებაში და სამართალდამცავი სისტემა მეტად ანგარიშვალდებული გახადა, მიუთითოს ეს მუხლი რელევანტურ საქმეებში.

მრავალი სახელმწიფოს სამართალდამცავი სტრუქტურები გადაწყვეტილებას დანაშაულის კლასიფიკაციაზე გამოძიების საწყის ეტაპზევე იღებენ. **აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ცხადია, უნდა ეფუძნებოდეს სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებულ ობიექტურ ფაქტებს, გარემოებებსა ან/და ქცევით მახასიათებლებს, რომლებიც ერთობლიობაში თუ ცალკე აღებული მიანიშნებს შეუწყნარებლობისა თუ წინასწარგანწყობის საფუძველზე ან მათ არარსებობაზე.**

თუმცა ცხადია, დანაშაულის შესაძლო ჰომო/ტრანსფობიურ მოტივზე მიმანიშნებელი მტკიცებულება არ გამოვლინდეს გამოძიების პირველივე ეტაპზე და შესაბამისად, არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ გამომძიებელმა ის სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულად ასახოს ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამაში.

დანაშაულთა ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქცია, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა, განსაზღვრავს დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის პრინციპებს[279], რომელიც პირველ რიგში ფორმა N1-ით, წინასწარი გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის შევსებით ხორციელდება და რომელშიც დანაშაულის პირველადი კვალიფიკაცია უნდა იქნას მისადაგებული. ცხადია, დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის შემთხვევაში, ინსტრუქციის მიხედვით, უნდა შეივსოს ახალი აღრიცხვის ბარათიც (ფორმა №1ა).[280] დანაშაულთა, მათ ჩამდენ პირთა და სისხლის სამართლის საქმეთა პირველად აღრიცხვას (რეგისტრაციას) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებენ პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოები.[281]

ამგვარ პირობებში, რადგანაც მოტივის შესახებ ინფორმაციის დაკარგვის საფრთხე დიდია, შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

279 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №423 „დანაშაულთა ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 2005 წლის 28 აპრილი. აქვე აღსანიშნია, რომ ასევე არსებობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2011 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N1094 „სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონულ წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“, რომლითაც იკრძალება სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონულ წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, დანაშაულის აღრიცხვის სტატისტიკური ფორმების შევსება და სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრისთვის გადმოგზავნა (მუხლი 1). ამასთან, მიუხედავად აღნიშნული ბრძანებისა, როგორც EMC–ის მიერ შსს–თან პირად კომუნიკაციაში ირკვევა, 2005 წლის N423 ბრძანება ადგენს აღრიცხვის მეთოდოლოგიურ საფუძველს და სწორედ ის გამოიყენება პრაქტიკაში, ხოლო, N1094 ბრძანებაში მითითებული აკრძალვა ვრცელდება მხოლოდ აღრიცხვის ხელით/არაელექტრონულად წარმოებაზე.

280 იქვე, მუხლი 2.1 (ა)(ბ)

281 იქვე, მუხლი 2.2.

პირველი, დანაშაულის აღრიცხვის ბარათის ფორმა N1-ში გამომძიებელმა ექსპლიციტურად მიუთითოს *„შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“,* რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის გამოძიების შემდეგ ეტაპზე მოტივის არსებობაზე ყურადღების გამახვილებას და მის გამოსავლენად ძალისხმევის მიმართვას. გვიან ეტაპზე, სიძულვილის მოტივის შესახებ მტკიცებულების აღმოჩენის, ან პირიქით, ვერ აღმოჩენის შემთხვევაში, ინსტრუქციის შესაბამისად, ის შეიცვლება და ახალი აღრიცხვის ბარათი შედგება.[282]

მეორე, საგამოძიებო ორგანო დანაშაულის განსაზღვრისას დაეყრდნოს *მსხვერპლის აღქმასა და მის მიერ დანაშაულის შეცნობას.* ისეთ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი მიიჩნევს, რომ დანაშაული ჩადენილია ჰომოფობიური ან/და ტრანსფობიური მოტივით, საგამოძიებო უწყებამ ის ავტომატურად აღრიცხოს, როგორც სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მსხვერპლის სექსუალური თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე, რომელსაც გამოძიების პროცესში მტკიცებულებათა მოპოვებით გაამყარებს ან გააბათილებს. აღნიშნული მეთოდი ყველაზე სრულყოფილია პოტენციური ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულის გამოსავლენად.[283]

მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ფართო მიდგომას იყენებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სტატისტიკის საწარმოებლად; კერძოდ, ანგარიშისა და სტატისტიკის წარმოების მიზნით, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს განსაზღვრავს, როგორც დანაშაულს, რომელიც მსხვერპლის ან სხვა პირის მიერ აღქმულია, როგორც სიძულვილით მოტივირებული ქმედება. ამასთან, მსხვერპლი ან სხვა პირი არ არის ვალდებული, თავისი რწმენა დაასაბუთოს. მოტივის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები საჭიროა პროკურატურისთვის სასამართლო ეტაპზე სამტკიცებლად, თუმცა სტატისტიკის ეტაპზე ამგვარი მტკიცებულებები საჭირო არ არის.[284]

მართალია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ყველა ფორმას აქვს საერთო სპეციფიკა და მახასიათებლები, მათ შორის, მსხვერპლისათვის მიყენებული არსებითად მძიმე ზიანი და ემოციური გამოცდილება. თუმცა დანაშაულის მიზეზი, მიზანი და გავლენა თემზე ამავე დროს შეიძლება იყოს განსხვავებული ბუნებისა და ხასიათის. შესაბამისად, ყოველთვის გამოსადეგია, სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურას შეეძლოს სხვადასხვა საფუძვლით ჩადენილი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები შიდა სისტემაში – გამოძიების აღრიცხვის ბარათში **სხვადასხვა კატეგორიებად გამოყოს**[285] და ამ კატეგორიაზე მიბმული მასალა გააანალიზოს პრევენციული ნაბიჯების უკეთ დასაგეგმავად და განსახორციელებლად.

282 იქვე

283 OSCE/IDIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 15

284 Hate Crime Operational Guideline, 2014. Para.1.2.3, იხ: http://www.college.police.uk/What-we-do/Support/Equality/Documents/Hate-Crime-Operational-Guidance.pdf

285 OSCE Ministerial Council, Decision No. 10/07.

ამასთან, სსკ-ის 53-ე მესამე პრიმა მუხლი ერთ ნორმაში მოიცავს შეუწყნარებლობის მოტივს სხვადასხვა საფუძვლით. შესაბამისად, შესაძლოა სირთულე წარმოიშვას, როდესაც პოლიციის თანამშრომელი შეეცდება დანაშაულის მოტივის კონკრეტული საფუძველი – სექსუალური ორიენტაცია ან/და გენდერული იდენტობა გამოაცალკევოს აღრიცხვის მიზნით. ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებელია, შემუშავდეს მონიტორინგის მიზნებისთვის დეტალური დეფინიცია (მაგ. სპეციალური კოდი), რაც დანაშაულის აღრიცხვისას შიდაუწყებრივად წარმოაჩენს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რა ფორმასა და საფუძველთან გვაქვს შეხება.[286]

შესაბამისად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღრიცხვის მიზნით ეფექტიანი და ტექნიკურად გამართული სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ან შესაძლო სიძულვილის მოტივის ასახვას, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რათა მან შეძლებისდაგვარად ამომწურავი ინფორმაცია მოიცვას.

პირველად ეტაპზე პოლიციის მიერ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვისას გამოყენებული ფორმა – დანაშაულის აღრიცხვის ბარათი იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამომძიებელს შესაძლებლობა ჰქონდეს, შესაბამისი მოსანიშნი პუნქტის ან სპეციალურად დატოვებული სივრცის გამოყენებით შეიყვანოს შესაბამისი ინფორმაცია, კერძოდ:

- დანაშაულის მოტივი ან სავარაუდო/შესაძლო მოტივი;
- სსკ-ის 53.3[1] მუხლით განსაზღვრული საფუძველი – სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა;
- მოტივის იდენტიფიკატორ(ებ)ი;
- დანაშაულის შესახებ მსხვერპლის ან მოწმის აღქმა, რომ დანაშაული ჰომო/ტრანსფობიური მოტივით ჩაიდინეს.

სტანდარტიზებული ფორმების შემუშავება დანაშაულისა და მოტივების ნათელი კატეგორიებით ხელს უწყობს მყარი და შესადარებელი ინფორმაციის შეგროვებასა და ანგარიშგებას. სისტემამ ასევე უნდა უზრუნველყოს პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების პირველივე ეტაპზე რეგისტრირებული ინფორმაციის სტატისტიკურ ბაზაში ავტომატური ასახვა.

დანაშაულის ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, დანაშაულის აღრიცხვის ბარათები (ფორმა N1) დაუყოვნებლივ ივსება და 72 საათის განმავლობაში იგზავნება ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოში, სადაც მათ საფუძველ-

286 OSCE/IDIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 14

ზე წარმოებს დანაშაულთა, მათ ჩამდენ პირთა, დაზარალებულთა, სისხლის სამართლის საქმეთა და სხვა მონაცემთა აღრიცხვა.[287]

სპეციალურ ბარათში მოტივის შესახებ ინფორმაციის ასახვისა და მისი დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, *ალტერნატიული გზა შეიძლება იყოს გამომძიებლის მიერ შეტანილი ინფორმაციის მისი უშუალო უფროსის მიერ გადამოწმება, სანამ აღრიცხვის სისტემაში მოხვდება. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაზე სპეციალური დანაყოფი მუშაობს, მას შეუძლია თავად გადაამოწმოს პოლიციის მიერ ასახული ინფორმაცია, რათა აწარმოოს და შეადგინოს დანაშაულთა სტატისტიკა. ეს უკანასკნელი ბევრ რესურსს მოითხოვს, თუმცა ხარისხის კონტროლის მიზნებისთვის გამოსაყენებელი სისტემაა.*[288]

დანაშაულის აღრიცხვის სისტემას უნდა ჰქონდეს სიტყვით-ძიების ფუნქციაც, რაც ასევე გამოიყენება შემდგომში დანაშაულთა გაანალიზების ეტაპზე.

მაგალითად, შვედეთში პოლიციელი ამზადებს წერილობით ანგარიშებს ყველა ინციდენტზე, რომელიც დანაშაულის აღრიცხვის ციფრულ სისტემაში მონიშნულია, როგორც „შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.“ აღრიცხულ დანაშაულს შესაძლოა ერთვოდეს: მსხვერპლის მიმართვა პოლიციისადმი, ელექტრონული მიმართვა, ანონიმური სატელეფონო ზარი ან პოლიციის ანგარიში დანაშაულის ადგილიდან. მას შემდეგ,რაც დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შევა სისტემაში, შვედეთის დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღება- ანალიზისთვის იყენებს საძიებო სიტყვებს (მაგ. „ჰომოფობიური“, „რასისტული“) კონკრეტული საფუძვლით ჩადენილ დანაშაულთა მოსაძიებლად.[289]

დანაშაულის რეგისტრაციისა და სტატისტიკის წარმოების სრულყოფილი და სანდო სისტემის შექმნა აუცილებლად მოითხოვს ნათლად და გასაგებად შემუშავებულ შიდა პოლიტიკას, სახელმძღვანელო პრინციპებსა და მეთოდოლოგიას, რომელმაც გამჭვირვალედ უნდა განსაზღვროს პოლიციის მუშაკთა როლი და პასუხისმგებლობები ინფორმაციის შეგროვებისა და აღრიცხვის ყველა ეტაპზე. [290]

გარდა კონკრეტული დანაშაულის მოტივის ბუნებისა და საფუძვლისა, მნიშვნელობა ენიჭება აღრიცხული დანაშაულების პროცესში იმგვარი ინფორმაციის შეგროვებას, რომელიც ხელს შეუწყობს შემდგომში ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულთა გავრცელების, ბუნებისა და დამნაშავის ტიპოლოგიის შექმნას.

287 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №423 „დანაშაულთა ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 2005 წლის 28 აპრილი, მუხლი 2.3.

288 OSCE/IDIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ.20

289 იხ: https://www.bra.se/bra/bra-in-english/home/crime-and-statistics/hate-crime.html

290 OSCE/IDIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 21

დანაშაულთა ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, საქართველოში დანაშაულთა, მათი ჩამდენი პირებისა და სისხლის სამართლის საქმეების ცენტრალიზებულ აღრიცხვას (რეგისტრაციას) ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველო,[291] რომელიც დანაშაულის აღრიცხვის ბარათების დამუშავების საფუძველზე აწარმოებს დამნაშავეობის შესახებ სტატისტიკური და ანალიტიკური ანგარიშგების ფორმირებას.[292]

ანალიტიკური ანგარიშგება და კვლევები გარდა დანაშაულის მოტივის შესახებ ინფორმაციისა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც უნდა მოიცავდეს, რომელიც არსებითად დაეხმარება სამართალდამცავ უწყებებსა და პოლიტიკის შემქმნელებს ამგვარ დანაშაულთა ბუნების უკეთ გასაგებად და რეაგირების მექანიზმების გასაძლიერებლად. ამგვარი ინფორმაცია შეიძლება იყოს: დამნაშავისა და მსხვერპლის დემოგრაფიული მონაცემები, დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, დანაშაულის ფორმა და ხარისხი, სხვა შესაძლო მოტივები.

ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის, ბრალდებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის მოგროვება-დამუშავება პროკურატურის მიერ ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პოლიციის მიერ დანაშაულთა შესახებ პირველადი ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის/ბრალდების პროცენტული მაჩვენებელი არსებითად მცირე იქნება პოლიციის მიერ დოკუმენტირებულ დანაშაულებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ყოველთვის სასარგებლოა იმის შედარება, თუ რამდენად ასახავს პოლიციისა და პროკურატურის ინფორმაციები მსგავს მიგნებებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ფორმისა თუ გავრცელების შესახებ.[293]

სტატისტიკის, დამუშავებული ინფორმაციისა და კვლევების გაზიარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირებასა და სახეცვლილებაში. ამიტომ, OSCE/ODIHR ხაზს უსვამს ამგვარი ინფორმაციის საჯაროობის უზრნველყოფის აუცილებლობას; უფრო მეტიც, ODIHR-ის მიხედვით, დამუშავებული და ასახული **ინფორმაცია/სტატისტიკა უნდა გაზიარდეს უშუალოდ დანაშაულების შედეგად დაზარალებულ თემსა და ფარ-**

291 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №423 „დანაშაულთა ერთიანი აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 2005 წლის 28 აპრილი, მუხლი 2.2.

292 იქვე, მუხლი 2.3.

293 OSCE/ODIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 31. მაგალითად, თუ პროკურატურისა და პოლიციის მიერ გამოვლენილი მიგნებები ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულის მახასიათებლებისა თუ გავრცელების შესახებ დაახლოებით მსგავსია, აღნიშნული მიუთითებს, რომ ინსტიტუციებს შორის კოორდინირებული მუშაობა ეფექტიანია. თუ მიგნებებს შორის სხვაობა არსებითია, მაშინ ცხადია, ეს ამ უწყებებს შორის დაუბალანსებელ და არათანმიმდევრულ კოოპერაციას უსვამს ხაზს, რაც აისახება მსხვერპლთა ნდობაზეც ამ ინსტიტუციების მიმართ.

თო საზოგადოებასთან. აღნიშნული სხვადასხვა გზით შეიძლება განხორციელდეს, მათ შორის, ყოველწლიური ანგარიშებით, მედიაში ინფორმაციის პერმანენტული ასახვითა და გახმაურებულ საქმეებზე საზოგადოების მუდმივი ინფორმირებით.[294]

შეჯამებისთვის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ერთიანი აღრიცხვის სისტემისა და მონიტორინგის მექანიზმის ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის, საჭიროა[295]:

- შეიქმნას და დაიხვეწოს დანაშაულთა რეგისტრაციის ნათელი სისტემა, თავისი სახელმძღვანელო დოკუმენტებითა და შევსების ინსტრუქციებით;
- გადამზადდნენ პოლიციის თანამშრომლები, რათა მათ შეძლონ დანაშაულის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში აუცილებელი ინფორმაციის ადეკვატურად და სიფრთხილით შევსება;
- პერიოდულად შეფასდეს და განახლდეს დანაშაულის აღმრიცხველი სისტემები და პროგრამები, იმპლემენტაციის პროცესში ნებისმიერი ტექნიკური თუ შინაარსობრივი წინაღობის თავიდან ასაცილებლად.

7.2. დაბრკოლებები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სანდო ინფორმაციის მოპოვების პროცესში

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ მსხვერპლისა და თემის პოლიციისადმი მიმართვიანობის გასაზრდელად საჭიროა პოლიციის მიერ ამგვარი დანაშაულების აღრიცხვიანობის გაზრდა. პოლიცია და სხვა სამოქალაქო ინსტიტუციები დგანან საჭიროების წინაშე, შეიმუშაონ მსხვერპლის მიერ დანაშაულის მიმართვის ხელშემწყობი სტრატეგიები. როგორც წესი, სათემო ორგანიზაციებთან პოლიციის მუშაობისა თუ სხვა გარე სამუშაოების ხარისხი და პოლიციისათვის გამართული ტრენინგები კორელაციაშია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დოკუმენტირებულ რიცხვთან.[296]

შესაბამისად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, კერძოდ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობის ზრდა დადებითი ნიშანია იმისა, რომ პოლიციისათვის გამართული ტრენინგები და მისი გარე საველე სამუშაო ეფექტიანობას იძენს და მსხვერპლს თავდაჯერებულად შეუძლია დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაცხადება.[297]

294 იქვე
295 OSCE/ODIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 19–20
296 ეუთო, გვ. 24
297 იქვე

პოლიციის კოორდინირებული მუშაობა სამოქალაქო საზოგადოების იმ ჯგუფებთან, რომლებიც აერთიანებენ თემს, აწვდიან სერვისებს მსხვერპლსა და მთლიანად თემს, შეესაძლოა კარგი საშუალება იყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისათვის. ამგვარი მუშაობის მეთოდიკა პოლიციელს საშუალებას აძლევს, კონკრეტულ ინციდენტზე თემიდან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია და ასევე საქმის კურსში იყოს იმ ინციდენტების შესახებ, რომელიც პოლიციაში არ განუცხადებიათ.

გარდა აღნიშნულისა, მიმართვიანობის გაზრდის მიზნით, ასევე შეიძლება გამოიყენებოდეს **ელექტრონული ანონიმური განცხადებების სისტემა.**

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში შეიქმნა ელექტრონული სისტემა – True Vision, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს – უშუალოდ მსხვერპლს და მესამე პირსაც შეუძლიათ, ანონიმურად შეავსონ კითხვარი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა თუ ინციდენტთან დაკავშირებით და მიუთითონ მასთან დაკავშირებული გარემოებები. შევსებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაიგზავნება შესაბამის საპოლიციო ტერიტორიულ ოლქში. ვებგვერდზე ისიც არის მითითებული, თუ როგორი შეიძლება იყოს პოლიციის რეაგირება და ასევე აფრთხილებს განმცხადებელს ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც არ არის მიზანშეწონილი ამ სისტემის გამოყენება (მაგ. როდესაც შესაძლო დამნაშავე მსხვერპლის სიახლოვესაა ან მოლოდინი არსებობს, რომ დაბრუნდება, ანაც ისეთ შემთხვევაში, როდესაც ვინმე სერიოზულად დაზიანდა და ჩადენილი ქმედება არსებითად მძიმეა).[298]

დიდი ბრიტანეთის გამოცდილება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მთავრობის მიერ შექმნილია **„დანაშაულისა და მსხვერპლის კომისარი“ (PCC),** რომლის მთავარი ფუნქციაა დანაშაულის თავიდან აცილება და ლოკალურ დონეზე პოლიციის მუშაობის გაუმჯობესებას ემსახურება. PCC-ს შუალედური ადგილი უჭირავს მთავრობასა და მოსახლეობას შორის (კომისრებს მოსახლეობა ირჩევს) და ხელს უწყობს თემზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერებას დანაშაულის გამოძიებისა და აღკვეთის პროცესში.[299] ამასთან, PCC ლოკალურ დონეზე ეწევა იმ სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ჯგუფების მხარდაჭერას (მათ შორის, ფინანსური თვალსაზრისით და გასცემს ფონდებს), რომლებსაც მეტად ენდობიან და ცნობენ კონკრეტულ თემში და უკეთ ხედავენ საჭიროებებს დანაშაულთა პრევენციასთან მიმართებით[300]. მაგალითად, PCC-ს დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ ქალაქში არსებული „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების სტრატეგიული ჯგუფი“, რომელიც მესამე პირების ჩართულობით ეწევა მონიტორინგს კონკრეტულ რეგიონში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე; მათ შორის, შემუშავებული აქვს

298 იხილეთ True Vision-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია: http://report-it.org.uk/your_police_force

299 იხილეთ დეტალურად: https://www.gov.uk/police-and-crime-commissioners

300 Police Crime Commissioners and Civil Society, March 2015, იხ: https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/416621/PCCs_and_Civil_Society_24_March_2015.pdf

მიმართვის ელექტრონული ანონიმური სისტემა, რომელიც ზემოთ განხილული მაგალითის მსგავსად, პირდაპირ იგზავნება შესაბამის საპოლიციო ტერიტორიულ ორგანოში.[301]

აღნიშნული გამოცდილებების საფუძველზე, ნათელია, რომ საქართველოშიც აუცილებელია, სამართალდამცავ სისტემაში არსებობდეს თემთან კომუნიკაციისა და დანაშაულებსა და ინციდენტებზე ინფორმაციის მიღების გამარტივებული გზები; შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა გამოიყენოს შემდეგი მექანიზმები:

- ახლო, ურთიერთშეთანხმებული მუშაობა სამოქალაქო საზოგადოების იმ ჯგუფებთან, რომლებიც აერთიანებენ თემს და აწვდიან სერვისებს მსხვერპლსა და დაზარალებულებს, რათა მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მომხდარ ფაქტებზე, მოახდინოს დროული და ეფექტიანი რეაგირება ინციდენტებზე და ინფორმირებული იყოს შესაძლო რისკზე;

- შექმნას ელექტრონული ანონიმური განცხადებების სისტემა, რომელიც მას დაეხმარება, მიიღოს ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, ხოლო სათემო არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობით, მსხვერპლთან კომუნიკაციის პროცესში უზრუნველყოს მიღებულ ინფორმაციაზე ეფექტური რეაგირება.

7.3. დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის კვლევები

პოლიციისა და ზოგადად სამართალდამცავი სისტემის ადმინისტრაციული რესურსების გათვალისწინებით, დანაშაულის შესახებ სტატისტიკის წარმოება და მისი აღრიცხვიანობა არ იძლევა სრულ სურათს დანაშაულთა გავრცელებისა და მასშტაბის, ასევე, მიმართვიანობის საკითხის სიღრმისეული კვლევისა და ანალიზისთვის.[302]

„დანაშაულის ვიქტიმიზაციის კითხვარები“ აღიარებული მეთოდია, რომელიც ეხმარება სახელმწიფოსა და საზოგადოებას, უფრო უკეთ გააანალიზონ დანაშაულის ბუნება და დასახონ ეფექტიანი გზები მათ აღმოსაფხვრელად.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ბრძოლის ოფისისა (UNODC) და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ვიქტიმიზაციის კითხვარის სახელმძღვანელოს მიხედვით, პოლიციის მიერ შემუშავებული სტატისტიკა ასახავს ინდივიდების მიერ შეტყობინებულ ან თავად პოლიციის მიერ გამოვლენილ დანაშაულებს. თუმცა სახელმწიფოში მომხდარ დანაშაულთა მხოლოდ მცირე ნაწილს აღრიცხავს პოლიცია. იმისათვის,

301 იხილეთ დეტალურად: https://gloshate.org/reporting-a-hate-crime-incident-or-crime-online/ ასევე, მესამე პირთა ჩართულობაზე, იხ: https://gloshate.org/becoming-a-third-party-reporting-organization/

302 UNODC- UNECE, Manual on Victimization Surveys, Geneva, 2010, პარა.2

რომ დანაშაული აღნიშნულ სტატისტიკაში მოხვდეს, საჭიროა მსხვერპლის მიმართვა, პოლიციის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტის შესახებ და აშ. აღნიშნული გადაწყვეტილებები, ეფუძნება ინდივიდუალურ აღქმებსა და დანაშაულის გარემოებებს, მსხვერპლისა თუ მოწმის მიერ დანაშაულის სიმძიმის შეფასებას, და პოლიციისადმი მიმართვის ბენეფიტებს. ამასთან, დანაშაული შეიძლება შეიცვალოს ან აღარ არსებობდეს, მაგალითად, ოპერატიული წესების, დანაშაულის კლასიფიკაციისას მიღებული გადაწყვეტილებებისა თუ მისი აღრიცხვისას დაშვებული შეცდომების შედეგად, ან/და ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი ან გამოძიება გადაწყვეტს, რომ არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.[303]

მართალია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული დანაშაულის სტატისტიკა და სხვა კვლევები (მაგ. დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა) მოიცავს ყველა რეგისტრირებულ დანაშაულს – გახსნილ/გაუხსნელ, დაწყებულ და შეწყვეტილ დანაშაულებს და დაზარალებულების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, გენდერულად ჩაშლილ ინფორმაციას. ის მაინც არ იძლევა შესაძლებლობას, განისაზღვროს პოლიციისადმი დაზარალებულების მიმართვის შემდგომ რეაგირებით კმაყოფილება, სისტემური ხარვეზი და მიმართვაზე უარის საფუძვლები.

განსხვავებით პოლიციის მიერ შემუშავებული სტატისტიკის ან ანალიტიკური დოკუმენტებისგან, ვიქტიმიზაციის კითხვარს ის უპირატესობა აქვს, რომ ფარავს იმ დანაშაულებსაც, რომელიც არ მისულა სამართალდამცავ სტრუქტურებამდე, არ მიუმართავთ მათთვის; მათ შორის, ისეთ ინფორმაციას, რომელიც ეხება მსხვერპლის განწყობას, დანაშაულის ბუნებასა და მის ზეგავლენას დაზარალებულებსა და მათ ოჯახებზე.[304] ეროვნული ვიქტიმიზაციის კითხვარები წარმოადგენს ღირებულ წყაროს და შესაძლოა იქნას გამოყენებული დანაშაულის შედეგებისა და გავლენების შესაფასებლად, როგორც ინდივიდზე, ისე ოჯახზე, თემსა და სამეგობროზე, ამასთან, მან შესაძლოა გამოავლინოს ადამიანთა აღქმა უსაფრთხოებაზე და მათი ნდობა სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი.[305]

ვიქტიმიზაციის კითხვარებში აისახება როგორც (პირველ რიგში) პოლიციისადმი დანაშაულის მიმართვიანობა, ასევე, ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ მოხვდა პოლიციის ბაზაში. კვლევა ხორციელდება შემთხვევითი შერჩევისა და პირდაპირი გასაუბრების მეთოდით; კითხვები შეეხება მათი ვიქტიმიზაციის გამოცდილებას; შიშსა და დამოკიდებულებას, როგორც კონკრეტული დანაშაულის, ისე სახელმწიფო უწყებების მიმართ; ასევე აჩვენებს, სხვადასხვა სოციოდემოგრაფიულ მახასიათებელს, რომელიც ხელს უწყობს რისკჯგუფების იდენტიფიცირებას.[306]

303 იქვე, პარა. 38

304 UNODC- UNECE, Manual on Victimization Surveys, Geneva, 2010, პარა. 36

305 იქვე, პარა. 27

306 იქვე, პარა. 47

რადგანაც საერთაშორისო სისტემაში დანაშაული აღარ აღიქმება, როგორც იზოლირებული ქმედება, შესაბამისად, პოლიტიკის შემქმნელები და შესაბამისი ინსტიტუციები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას დანაშაულის კავშირებზე საზოგადოების სოციოეკონომიკურ მდგომარეობასთანაც.[307] შესაბამისად, ის სტატისტიკა, რომელსაც პოლიცია ამუშავებს, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, მხოლოდ ერთ მხარეს წარმოაჩენს, ამიტომაცაა საჭირო მასთან თანადროულად და ერთმანეთის შესავსებად ვიქტიმიზაციის კითხვარების გამოყენება.[308]

განვითარებულ ქვეყნებში ვიქტიმიზაციის გამოკითხვის მონაცემები პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის მიერ წარმოებული დანაშაულის სტატისტიკის შემავსებელი ინფორმაციაა. უფრო ფართოდ, ამ ტიპის კვლევების უპირატესობა ისაა, რომ „საშუალებას იძლევა, შეფასდეს დანაშაულის მდგომარეობა რამდენიმე პარამეტრის მიხედვით, გაანალიზდეს დაზარალებულის პოლიციასთან თანამშრომლობის გამოცდილება, მართლმსაჯულების ინსტიტუტების მომსახურების ხარისხი და შეფასდეს მათი ზოგადი პროფესიონალიზმი, აგრეთვე, განხორციელდეს ვიქტიმიზაციის დონის ცვლილების მონიტორინგი და განისაზღვროს რისკ-ფაქტორები, დადგინდეს დანაშაულის ლატენტიზაციის დონე საქართველოში.“[309]

დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული ღირებულებაც – ამ უკანასკნელის გამოყენება ეფექტიანად შეიძლება დანაშაულის თავიდან არიდების სტრატეგიის დაგეგმვისას.

საქართველოს მოსახლეობაში დანაშაულებისა და ვიქტიმიზაციის კვლევა ბოლოს 2010 წელს იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით ჩატარდა. აღნიშნული კვლევა ეფუძნებოდა საერთაშორისოდ გამოყენებულ მეთოდს. შერჩევამ მოიცვა საქართველოს მთლიანი ტერიტორია (გარდა ოკუპირებულისა). გამოიკითხა 16 წლის და უფროსი ასაკის 3000 რესპონდენტი, პირისპირ ინტერვიუირების მეთოდით, მაგრამ მას არ მოუცავს დისკრიმინაციული ნიშნით (მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე) ჩადენილი დანაშაულები და შესაბამისად, არც მისი ანალიზი არსებობს.[310]

იმისათვის, რომ დანაშაულთა ვიქტიმიზაციის კითხვარებმა ასევე ასახოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სიხშირე, ხარისხი და გავლენა საზოგადოებაზე, მნიშვნელოვანია, რომ მათ ასევე დაემატოს სპეციალურად შემუშავებული შეკითხვები მოტივების შესახებ.[311] კითხვარებზე დაფუძნებულმა ანალიზმა უნდა აჩვენოს შედარება განცხადებულ და განუცხადებელ დანაშაულებს შორის, ასევე – შეუწყნარებლობის რომელი

307 იქვე, პარა. 24

308 იქვე, პარა. 36

309 გიორგი ღლონტი, კრიმინალიზაციისა და ვიქტიმიზაციის სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიმოხილვა - საქართველო 2009-2011, კვლევის მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა, გვ.3

310 „დანაშაულის კვლევა საქართველოში“, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, GORBI, გვ. 1

311 OSCE/ODIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 35

მოტივით ჩადენილი დანაშაულია მეტად გავრცელებული და რომელ რეგიონებში. ამგვარ ანალიზს ასევე შეუძლია, გამოკვეთოს მსხვერპლის მიერ განცდილი ზიანი, იმ დანაშაულებთან შედარებით, რომლებიც არ არის ჩადენილი შეუწყნარებლობის მოტივით.[312]

ამგვარი კითხვართა ღირებულების ილუსტრაციაა ინგლისსა და უელსში განხორციელებული „დანაშაულის კითხვარი", რომელიც ქვეყნდება წელიწადში ორჯერ და იძლევა სანდო და მკაფიო ინფორმაციას[313] განმეორებით ვიქტიმიზაციაზე, სამართალდამცავი სისტემით კმაყოფილების ხარისხს და სხვა, თუმცა მისი მთავარი ღირებულება ის არის, რომ ის აჩვენებს არსებით სხვაობას იმ დანაშაულთა შორის რომელიც ოფიციალურად რეგისტრირებულია და რომელმაც სახელმწიფომდე ვერ მიაღწია. კითხვარი ასევე ამტკიცებს, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლები გაცილებით მაღალი ხარისხით განიცდიან ფსიქოლოგიურ ზიანს, ვიდრე ისინი, რომელთა შემთხვევაში დისკრიმინაციული მოტივი არ ფიგურირებს.

შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა აქვს:

- საქართველოს მთავრობამ გამოყოს შესაბამისი რესურსები ვიქტიმიზაციის კვლევისთვის, რომელიც ფოკუსირებული იქნება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, მათ შორის, იმ დანაშაულებზე, რომელიც ჩაიდინეს პირის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე;

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურასთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ვიქტიმიზაციის კითხვარებისათვის შესაბამისი კრიტერიუმები;

- განხორციელდეს ვიქტიმიზაციის კითხვარის ადეკვატური ანალიზი და შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ მისი გამოყენება შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულთა პრევენციული სტარტეგიის შემუშავებისას, სპეციფიკურ ნიშანთა (მათ შორის, სოგი-ის) ადეკვატური ჩაშლით.

312 იქვე, გვ. 34

313 See: https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/467366/hosb0515.pdf

თავი 8
მონიტორინგი და ანგარიშგება

8.1. შიდა მონიტორინგის კრიტერიუმების შემუშავება

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებაზე შიდა უწყებრივი მონიტორინგი მნიშვნელოვანი მექანიზმია კონკრეტულ პოლიციელთა თუ გამომძიებელთა ანგარიშვალდებულების გაზრდისა და დანაშაულის გამოძიების პროცესზე მათი კონტროლის განსახორციელებლად.

შიდა უწყებრივი მონიტორინგის მიზნით, მნიშვნელოვანია, პოლიციის თანამშრომელთა მიერ ანგარიშგების პროცესში საზედამხედველო ფუნქციის მქონე სუბიექტისა თუ შიდა ორგანოსთვის წარდგენილი/მიწოდებული ინფორმაცია ეფუძნებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, რომელიც შესაძლებელს გახდის, გაიზომოს პოლიციის რეაგირების მექანიზმების ეფექტიანობა ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულთა გამოვლენასა და გამოძიებაზე.

ამგვარი კრიტერიუმები შესაძლოა იყოს:

- სტატისტიკური ინფორმაცია, თუ რამდენმა ადამიანმა მიმართა პოლიციას იმის საფუძველზე, რომ დანაშაული ჰომოფობიური ან/და ტრანსფობიური მოტივით ჩაიდინეს;
- განცხადების საფუძველზე დაწყებული რეაგირების მექანიზმები და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ საქმეზე მოხდა შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოკვეთა;
- მსხვერპლისა და მოწმის დემოგრაფიული მონაცემები;
- შესაძლო დამნაშავის დემოგრაფიული მონაცემები;
- დანაშაულის ჩადენის ადგილი, ფორმა, ხარისხი;
- სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის, სსკ-ის 53-ე მესამე პრიმა მუხლის ეფექტიანად გამოყენების პროცესში გამოვლენილი პრობლემები.

ამ კრიტერიუმების საფუძველზე წარდგენილმა შიდა ანგარიშმა შესაძლოა, პოლიციის მუშაობაზე მნიშვნელოვანი ასპექტები აჩვენოს და ასევე, თვალსაჩინო გახადოს პოლი-

ციის მუშაობის სუსტი ან პრობლემური მხარეები და არეალები, რომლებიც განმტკიცებას ან სრულ რევიზიას საჭიროებს.[314]

8.2. შიდა უწყებრივი ჯგუფები/დანაყოფები და სპეციალიზებული ოფიცრები

საერთაშორისო ორგანიზაციები შინაგან საქმეთა სამინისტროსა თუ პროკურატურის სისტემაში სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ინსტიტუციური ბრძოლის გასაძლიერებლად ეფექტიან მექანიზმად **სპეციალიზებული უწყებების** არსებობას ასახელებენ.

მაგალითად, ECRI-მ ერთმნიშვნელოვნად მოუწოდა საქართველოს, შექმნას სპეციალიზებული უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში, რომელიც სპეციფიკურად ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულებზე იმუშავებს. აღნიშნული უწყების შექმნის პროცესში კი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რელევანტური ექსპერტების ჩართვა სახალხო დამცველის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.[315]

მსგავსი რეკომენდაცია მიიღო საქართველომ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში შვედეთის მთავრობისგან, რომელიც შეეხებოდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიცირებისა და გამოძიებისათვის სპეციალური უწყებების შექმნას სამართალდამცავ ორგანოებში. სახელმწიფომ აღნიშნულ რეკომენდაციაზე დათქმა გააკეთა, რაც ქვეყნის მთლიანი მასშტაბის დაფარვის, საქმეთა გადატვირთვისა და ასეთი ტიპის დანაშაულებზე კომპლექსური პასუხის საჭიროებით დაასაბუთა და აღნიშნა, რომ ერთი ცენტრალიზებული სპეციალიზებული პოლიციის უწყების შექმნა არ იქნება ქმედითი მექანიზმი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანად გამოძიებისთვის. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს სპეციალიზებული პოლიციელების ტრენინგი პოლიციის ყველა რეგიონულ დეპარტამენტში.[316]

სხვადასხვა სახელმწიფოს სტრატეგია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებაში ინდივიდუალურია, თუმცა ბევრი მათგანი იაზრებს მსხვერპლის ხელახალი ტრამვირების თავიდან ასაცილებლად და დანაშაულთა აღმოფხვრაზე ორგანიზებული და სისტემური მუშაობის უზრუნველსაყოფად სპეციალიზებული პოლიციის დანაყოფების არსებობის მნიშვნელობას. განსაკუთრებული როლი ეკისრებთ არასმთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობენ სპეციალიზებული ჯგუფების თეორიულ მომზადებაში, აკონტროლებენ შედეგს, შეუძლიათ პოლიციელის არაეთიკური ქცევის გამოაშკა-

314 OSCE/ODIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 29

315 პარა. 68

316 A/HRC/31/15/Add.1, პუნქტი 118.10

რავება, პრობლემის არსებობის შემთხვევაში საკითხის გასაჯაროება და სასამართლო პროცესის წამოწყება მსხვერპლის სახელით.[317]

სამართალდამცავი სისტემა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა საპასუხოდ **შვედეთში** 2007 წლიდან სხვადასხვა მნიშვნელოვან აქტივობას მიმართავს. სპეციალიზებული დანაყოფები მუშაობენ სტოკჰოლმის პოლიციის ყველა ტერიტორიულ რაიონში, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კოორდინირებაზე, სამუშაო მეთოდიკის შემუშავებასა და ტრენინგების უზრუნველყოფაზე შესაბამისი დეპარტამენტებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ დანაყოფებთან ახლოს მუშაობენ სპეციალიზებული პროკურორები, რომლებიც გამომძიებლებს ეხმარებიან სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების, მოტივის იდენტიფიკაციის პროცესში რელევანტური მეთოდიკების გამოყენებაში. გარდა აღნიშნულისა, ყველა ოფიცერს აქვს სტანდარტული ოპერაციული საპროცედურო ბარათები, რომელშიც მითითებულია შეუწყნარებლობის შესაძლო მოტივების იდენტიფიკატორები და, ამასთანავე, კონკრეტული მოქმედებები დანაშაულის ადეკვატურად გამოძიებისთვის.[318]

დიდი ბრიტანეთის ფარგლებში ყველაზე წარმატებულად ამოცანებს უმკლავდება ჩრდილო ირლანდია, სადაც 11 ოლქშია განაწილებული სპეციალიზებული და წინასწარ მომზადებული პოლიციის თანამშრომლები. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე რეაგირებისა და მსხვერპლის დაცვის სტრატეგიამ განსაკუთრებული შედეგი გამოიღო იმის დამსახურებით, რომ ჩრდილო ირლანდიაში საკმაოდ კარგად მოქმედებს ე.წ. „სამეზობლოს თვალყურის“ სისტემა.[319]

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსალოდნელი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირებას და აღკვეთას. აქედან გამომდინარე, პოლიციის თანამშრომელი, რომელიც სპეციალიზებულია სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე, ასევე შეისწავლის და მოიძიებს ინფორმაციას, თუ რა პრობლემები შეიძლება არსებობდეს ამ საკითხთან დაკავშირებით მის სამოქმედო არეალში და სისტემატურად პატრულირებს მაღალი რისკის შემცველ ადგილებში.[320] აღნიშნული მიზნად ისახავს, მოსახლეობას გაუჩნდეს ნდობა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საკითხებში სპეციალიზებული პოლიციის ოფიცრის მიმართ და მსხვერპლმა ყოველგვარი შიშის გარეშე მიმართოს სა-

317 Preventing and responding to hate crimes –A resource guide for NGOs in the OSCE region. OSCE's Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR) 2009. გვ. 29, იხ: http://www.osce.org/odihr/39821?download=true

318 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crime: A Practical Guide, გვ. 86

319 Neighbourhood Watch სისტემა არის მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკა, რაც გულისხმობს პოლიციის თანამშრომლებისა და მოსახლეობის აქტიურ თანამშრომლობას დანაშაულის აღკვეთის მიზნით. იხ: https://www.psni.police.uk/my-area/neighbourhood-watch/

320 Racist Hate Crime – Human Rights and the Criminal Justice System in Northern Ireland Northern Ireland Human Rights Commission, September 2013, გვ. 21, იხ: http://fra.europa.eu/sites/default/files/frc-2013-g-sauberli-investigation_report_full_en.pdf

მართალდამცავებს. მაგ. 2012-2013 წლებში ბელფასტსა და ქრეიგეივონის რეგიონებში ჩრდილო ირლანდიის ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ წარმოებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადგილები, სადაც არის კომუნიკაციის ნაკლებობა, პოლიციასა და მოსახლეობას შორის, აღკვეთის მეთოდები არაეფექტიანია.[321]

რაც შეეხება **შოტლანდიას,** აქ მოქმედებს პოლიციის 8 ძირითადი დანაყოფი[322]. შოტლანდიის უმაღლეს პოლიციის ოფიცერთა ასოციაციამ შექმნა **ლგბტ მიმართვიანობის ჯგუფი,** რომელიც შედგება რვა დანაყოფის თითო წარმომადგენლისაგან და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან. ჯგუფი ყოველ სამ თვეში ერთხელ მართავს შეხვედრას და მეთვალყურეობს, თუ როგორ ურთიერთობს პოლიცია ლგბტ თემთან, ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე.[323]

ზემოთ აღნიშნული ჯგუფი შეიმუშავებს პოლიციელთა ერთიანი მომზადების პროგრამას, რომელიც რამდენიმე კვირა გრძელდება პოლიციელთა კოლეჯში. ამასთანავე, ყოველწლიურად, პოლიციის ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია, გაიაროს ხანმოკლე კურსი, რომელიც შეეხება ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულს. თითოეული დანაყოფი შეიმუშავებს პროგრამას და განსაზღვრავს ყოველწლიური კურსის ხანგრძლივობას.[324]

შოტლანდიაში 1996 წლიდან არსებობს პოლიციის განყოფილებებში ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულზე სპეციალიზებული ჯგუფი (LAGLO – lesbian and gay liason officers), რომელიც სხვადასხვა საგრაფოში სხვადასხვა რაოდენობით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ჰემფშაირის საგრაფოს 90-მდე სპეციალიზებული ოფიცერი ემსახურება.[325]

გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით შესაძლებელია სმარტფონისა და ტაბლეტის აპლიკაციის გადმოწერა, რომელიც საშუალებას იძლევა, წამიერად ეცნობოს პოლიციას ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის ადგილმდებარეობის შესახებ და მოხდეს უფრო სწრაფი რეაგირება.[326]

კანადას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ერთ-ერთი საინტერესო მეთოდი და გამოცდილება აქვს. დღეისათვის კანადაში პოლიციის 36 მთავარი

321 იქვე, გვ. 24

322 უნდა აღინიშნოს, რომ შოტლანდიის „მოდელის“ ხსენებული ფორმა შეიცვალა, 8 დანაყოფი ერთ მთლიან უწყებაში გაერთიანდა, თუმცა კვლევის განხორციელების პროცესში მითითებული მოდელი მოქმედი იყო.

323 ILGA-Europe toolkit for training police officers on tackling LGBTI-phobic crime Richard Polacek, Joel Le Déroff, გვ. 7, იხ: http://www.ilgaeurope.org/sites/default/files/Attachments/toolkit_lgbtiphobic_crimes.pdf

324 იქვე, გვ. 11

325 იხ: http://www.hampshire.police.uk/internet/advice-and-information/general/lesbian-and-gay-liaison-officers

326 იხ: http://report-it.org.uk/police_in_the_uk_launch_hate_crime_app_for_mobi

დეპარტამენტი არსებობს, თუმცა თითოეულ მათგანს განსხვავებული სტრატეგია აქვს აღნიშნულ დანაშაულებთან საბრძოლველად, ვინაიდან ცენტრალური ხელისუფლება არ მოითხოვს უნიფიცირებული სტრატეგიის შემუშავებას ყველა საპოლიციო დეპარტამენტის მხრიდან.[327]

„ფართო მიდგომა“ კანადაში ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა, ვინაიდან 16 დეპარტამენტის პოლიცია მისდევს ამ სტრატეგიას, აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ თითოეულ პოლიციის დეპარტამენტში უნდა შედიოდეს 4 კომპონენტი:[328]

1. პირველადი რეაგირების ოფიცრები;
2. საგამოძიებო მეთოდიკები;
3. ინფორმაციის მოგროვება;
4. თემთან მუშაობა.

მეორე ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა სპეციალიზებული მიმაგრებული პოლიციის ოფიცრების ყოლა. ეს ოფიცერი არის დამატებითი პერსონალი, რომელიც ავსებს „ფართო მიდგომის“ სტრატეგიის მქონე დეპარტამენტებს. როგორც წესი, ამგვარი ოფიცერი არ არის დიდ ხარჯთან დაკავშირებული და გამართლებულია მხოლოდ ერთი ოფიცრის დანიშვნა ისეთ დეპარტამენტებში, სადაც ნაკლებად არის გავრცელებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები. ოფიცრის მთავარი ფუნქციაა, გამოძიების პროცესში კონტაქტი იქონიოს მსხვერპლთან და მონაცემები დაახარისხოს იმგვარად, რომ ამგვარ დანაშაულთა გარჩევა მოსახერხებელი იყოს სხვა დანაშაულებისაგან.[329]

მესამე სახის სტრატეგიაა სპეციალიზებული საპოლიციო დანაყოფების შექმნა, რომელთაც აქვთ დეტალურად გაწერილი პოლიტიკა და პროცედურები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად. დანაყოფში შემავალი ოფიცრები არიან სპეციალურად ფორმირებულნი და აქვთ რამდენიმე ფუნქცია, მათ შორის, გამოძიება და სიძულვილის წინააღმდეგ მიმართული კამპანიები საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.[330]

2009 წელს **ესპანეთში, ბარსელონის პროვინციის** პროკურატურამ შექმნა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა და დისკრიმინაციის სპეციალიზებული განყოფილება[331], რომლის ფუნქციებში შედის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა საქმეების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კოორდინირება ან კომპლექსური საქმის

327 Hate Crime in Canada : An Overview of Issues and Data Resources, Canadian Centre for Justice Statistics, Catalogue No85-551-XIE, გვ. 19.

328 იქვე, გვ. 20

329 იქვე, გვ. 21

330 იქვე, გვ. 21

331 OSCE/ODIHR, Prosecuting hate crimes, A practical guide, გვ. 78

შემთხვევაში, საქმეზე გამოძიების უშუალოდ წარმართვა. 2010 წელს უწყებაში შემავალ კოორდინატორს სრული ფუნქცია მიენიჭა და შემუშავდა „პოლიციის ოფიცრებისათვის სიძულვილითა და დისკრიმინაციით მოტივირებული სისხლისსამართლებრივი დანაშაულების იდენტიფიცირებისა და აღრიცხვის ინსტრუქციის შესახებ“ სპეციალური პროტოკოლი, რომელიც რეკომენდაციას უწევს პოლიციის ოფიცრებს, რომ უწყებას მიაწოდონ ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენის შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ მსხვერპლის შესაბამის სერვისებზე გადამისამართება.

ბარსელონის პროვინციაში შექმნილი აღნიშნული უწყების წარმატებულობის გამო, 2013 წლიდან ანალოგიური უწყებები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კოორდინაციასა და გამოძიებაზე, ლოკალური საკონტაქტო რგოლის არსებობის მიზნით, ესპანეთის ყველა პროვინციის პროკურატურასთან შეიქმნა. ამ უწყებების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას ახორციელებს ეროვნული დელეგატი, რომელსაც გენერალური პროკურორი ნიშნავს. აღნიშნული გზით, პროკურატურა ცდილობს ესპანეთის ტერიტორიაზე სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა გახადოს მეტად თანმიმდევრული, შემდეგი მექანიზმებით:

- სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმის ერთიანი/შეთანხმებული ინტერპრეტაციის კრიტერიუმების შემუშავება;
- გამოძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების კოორდინაცია;
- პოლიციასა და სხვა უწყებებთან თანამშრომლობა;
- დანაშაულთა აღრიცხვიანობის გაძლიერება და ოფიციალური სტატისტიკის გამოქვეყნება.

აღნიშნულ მოდელებსა და მათ ეფექტიანობაზე დაკვირვებითა და ანალიზით მნიშვნელოვანია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაინახოს ამგვარი სპეციალური დანაყოფის/უწყების შექმნის აუცილებლობა თავის სტრუქტურაში. საამისოდ სიღრმისეულად უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს სხვა სახელმწიფოების პრაქტიკა და ის ლოკალურ კონტექტს მოარგოს. მიუხედავად იმისა, თუ რომელ მოდელს აირჩევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, აუცილებელია, დანაყოფის ფუნქციების განსაზღვრისას, შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება:

- დანაყოფი უნდა დაკომპლექტდეს პოლიციის იმ ოფიცრებით (მათ შორის, გამომძიებლებით) რომელთაც აქვთ მაღალი მიმღებლობა და მგრძნობლელობა შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულებზე და იაზრებენ მსხვერპლის მიერ განცდილ არსებით ნეგატიურ ზიანს;

- საპატრულო პოლიციის თანამშრომლებსა და იმ პოლიციელებს, რომლებიც პირველად რეაგირებენ დანაშაულზე, უნდა მიეცეთ მკაცრი მითითება, შესაძლო სიძულვილის მოტივის ნიშნის არსებობისას დროულად მიაწოდონ ინფორმაცია დანაყოფს;

- სპეციალური დანაყოფი უნდა აღიჭურვოს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სპეციფიკური ცოდნით, თუმცა დავიწროებული ექსპერტიზით დისკრიმინაციის კონკრეტულ ნიშნებზე, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე; რომელიც გაითვალისწინებს, როგორც ჯგუფის სპეციფიკას და მათ საჭიროებებსა და გამოწვევებზე იქნება ფოკუსირებული;

- დანაყოფში შემავალი ოფიცრებისათვის სწავლება და ტრენინგები უნდა იყოს სისტემური და პერმანენტული ხასიათის, მიმართული მუშაკთა მუდმივ გაძლიერებაზე როგორც სამართლებრივად, ასევე ცნობიერების ამაღლებისა და ჯგუფის მიმართ მათი დამოკიდებულებების სახეცვლილებისა და მგრძნობელობის გაზრდის გზით;

- დანაყოფს უნდა დაევალოს გამოძიებაზე ზედამხედველობა ან უშუალოდ ჩართვა საგამოძიებო მოქმედებებსა და მსხვერპლის/მოწმის/შესაძლო დამნაშავესთან კომუნიკაციის პროცესში;

- დანაყოფმა უნდა უზრუნველყოს საკომუნიკაციო არხების შექმნა თემთან (მათ შორის, ლგბტ), აქტივისტებთან, სათემო და აღნიშნულ თემებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, მათთან პერიოდული კომუნიკაცია ინფორმაციის გაზიარებისა და მიღების მიზნით;

- სპეციალიზებული დანაყოფი უნდა იყოს ინტერდისციპლინარული; გამომძიებლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლებისა გარდა, მასში შესაძლოა შედიოდეს ექსპერტი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, დანაშაულის პრევენციის ოფიცერი და სხვა ექსპერტული ცოდნის მქონე პირი, რომელსაც შეუძლია არსებითი დახმარება გაუწიოს დანაყოფს დანაშაულზე რეაგირებასა და გამოძიებაში;

- დანაყოფს უნდა ჰქონდეს ნათლად გაწერილი სტრატეგია და ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლითაც იხელმძღვანელებს დანაშაულის გამოვლენის დროს შესაძლო სიძულვილის (ჰომო/ბი/ტრანსფობიური და სხვ.) მოტივის დადგენისას, მსხვერპლსა და მის ოჯახთან კომუნიკაციის, სა-

გამოძიებო მოქმედებების, საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებისა და დამაგრებისას;

- დანაყოფს უნდა დაევალოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სტატისტიკის წარმოება და ადეკვატური აღრიცხვა (რომლისთვის ასევე უნდა შემუშავდეს აღრიცხვის ტექნიკური დამხმარე დოკუმენტი), სტატისტიკაზე დაფუძნებული სიღრმისეული, ჩაშლილი ანალიზი და მისი პერიოდული გასაჯაროებისა და საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- დანაყოფმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობა და კომუნიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურას ევალება გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა, დანაყოფს უნდა შეეძლოს პროკურორის გარეშეც დანაშაულთა გამოძიება და მტკიცებულებების მოპოვება, ხოლო ბრალდების ეტაპზე მოხდეს პროკურორის მეტად აქტიური ჩართულობა;

- დანაყოფს უნდა მიენიჭოს ფართო დისკრეცია ამგვარ დანაშაულთა პრევენციის პროცესში, ასევე – დანაშაულის გამოძიებასა და მსხვერპლთა რეპარაციის.

8.3. მონიტორინგი და ანგარიშგების მექანიზმები

OSCE/ODIHR მიხედვით, იმისათვის, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ინფორმაციის მოგროვება და დანაშაულების გამოძიებაზე მონიტორინგი აწარმოოს, კარგი შესაძლებლობაა, შეიქმნას **სამთავრობო სამუშაო ჯგუფები** ყველა იმ რელევანტური უწყების მონაწილეობით, რომლებიც ნებისმიერი ასპექტით არიან ჩართულნი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციაზე.

საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე არსებობს **ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების კომისია,** რომლის წევრები შსს-ს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლები არიან.[332] კომისია განიხილავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულ შედეგებს, ასევე, გამოწვევებს და ამ მიმართულებით მომუშავე საპოლიციო დანაყოფების საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებსა და აქტივობებს.[333]

332 იხ: http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-odjakhshi-dzaladobis-preventsiis-da-masze-reagirebis-komisiis-shekhvedra-gaimarta/9411

333 ასეთი საკითხებია; შემაკავებელი ორდერების მონიტორინგი; პოლიციელთა შემდგომი მომზადება და ტრენინგები; საინფორმაციო კამპანიის გაგრძელება და შეხვედრები მოსახლეობასთან; ოჯახში ძალადობის შესახებ „112-ში“ შესული ზარების ანალიზი და სახელმძღვანელო პრინციპების მორიგი განახლება.

ამგვარი სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობა არსებობს სიძულვილით მოტივირებულ, მათ შორის, ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულებზეც, მათზე ეფექტიანი რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი სამუშაო ჯგუფი შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე არ არის შექმნილი. ეს კი შესაძლოა, გულისხმობდეს იმას, რომ სახელმწიფო ვერ ხედავს სოგი-ს საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების კრიტიკულობასა და საშიშროებას.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ **ღიად მოახდინოს დეკლარირება,** რომ ლგბტ პირთა უფლებები და მათი უსაფრთხოება ასევე წარმოადგენს პრიორიტეტს და ცდილობს გადადგას ქმედითი ნაბიჯები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე წინასწარგანწყობისა და მასზე დაფუძნებული ძალადობის აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ბაზაზე არსებობდეს სამუშაო თუ ოპერაციული გუნდი, რომელიც გააერთიანებს საპატრულო პოლიციის შესაბამის თანამშრომლებს, დეტექტივ-გამომძიებლებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვანი უწყებების წარმომადგენლებს, მათ შორის, მინისტრსა და მის მოადგილე(ებ)ს. აღნიშნული გუნდი, თანაგაზიარების ფორმატში, პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, პერიოდულად შეიკრიბება და **უზრუნველყოფს** სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა აღმოფხვრის შესახებ **სამოქმედო გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავებასა და საჯაროობას.**

8.3.1. გენერალური ინსპექცია

ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ დანაშაულთა გამოძიების სრულყოფილად წარმართვისა და მსხვერპლებთან თუ მოწმეებთან კომუნიკაციის პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის განუხრელი შესრულება არსებითად არის დამოკიდებული შიდა მონიტორინგის მექანიზმების დამოუკიდებელ, ობიექტურ და ეფექტიან მუშაობაზე. სწორედ მსგავსი მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას გამოვლინდეს და შეფასდეს სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაშვებული ხარვეზები და მათზე სათანადო რეაგირება განხორციელდეს. არსებითად მნიშვნელოვანია, პოლიციის თითოეულ მუშაკს შეუწყნარებლობით მოტირებულ დანაშაულებზე მუშაობის პროცესში მკაფიოდ ჰქონდეს გააზრებული, რომ მათი ნებისმიერი ქმედება შესაძლოა დაექვემდებაროს ინსპექტირების მექანიზმის მხრიდან შემოწმებასა და რეაგირებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ინსპექტირების ძირითად მექანიზმს გენერალური ინსპექცია წარმოადგენს, რომელიც მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში,

დეპარტამენტის სახით მოქმედებს. გენერალური ინსპექცია სამინისტროს მთავარი შიდამაკონტროლებელი ორგანოა და უშუალოდაა პასუხისმგებელი სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ფაქტების გამოვლენა – რეაგირებაზე.[334]

გენერალური ინსპექციის მიერ სამინისტროს სისტემაში შემავალი დანაყოფების საქმიანობის შემოწმების ჩატარების საფუძველია სამინისტროს მოსამსახურის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის და დისციპლინური გადაცდომის შესახებ მიღებული ინფორმაცია მოქალაქეთა და სამინისტროს მოსამსახურეთა წერილობითი ან ზეპირი განცხადებების, საჩივრების და პატაკების სახით, ასევე იურიდიული თუ ფიზიკური პირებისგან მიღებული შეტყობინებები და მასალები.[335]

გენერალური ინსპექცია მიღებული განცხადების საფუძველზე ახორციელებს სამსახურეობრივ შემოწმებას, რომლის შედეგებზე ამზადებს შესაბამის ცნობას დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობის გამო წარმოების შეწყვეტის თაობაზე და სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნას, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, რომელსაც აწვდის მინისტრს და მისი აქტით აფორმებს. დისციპლინური ორგანო, ერთი მხრივ, აგროვებს ინფორმაციას და მასალებს პირის მიერ შესაძლო გადაცდომის დასადასტურებლად და ამავდროულად ადგენს საბოლოო დასკვნას – მოხდა თუ არა გადაცდომა. შესაბამისად, ერთი და იგივე ორგანო გვევლინება როგორც „ბრალმდებლად“, ასევე გადაწყვეტილების მიმღებად,[336] ამავდროულად, სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას მინისტრი უფლებამოსილია, არ გაითვალისწინოს აღნიშნული დასკვნა და განსხვავებული შინაარსის გადაწყვეტილება მიიღოს. ამასთანავე, მას არც ამ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება აქვს. ამდენად, საქმეში საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები არა კოლეგიური ორგანო, არამედ ერთპიროვნულად პოლიტიკური თანამდებობის პირია, რაც ინსტიტუტს აცლის გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და მიუკერძოებლობის დაცვის შესაძლებლობას.[337]

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული დანაშაულის გამოძიებისას ან მოწმეებთან თუ დაზარალებულებთან კომუნიკაციის პროცესში მოქალაქეს/დაზარალებულს შეუძლია გენერალურ ინსპექციას მიაწოდოს ინფორმაცია პოლიციის მუშაკის არაეთიკურ ქცევაზე ან გამოძიების პროცესში მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინარული წარმოების პროცესში მოქა-

334 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხლი 2 (ბ)

335 იქვე, მუხლი 9.

336 გ.იმნაძე და სხვები, „პოლიტიკური ნეიტრალიტეტი პოლიციის სისტემაში“, EMC, 2016, გვ. 44–59

337 იქვე

ლაქე/დაზარალებული მხოლოდ ინფორმატორის როლს ასრულებს და არ წარმოადგენს პროცესის მონაწილე პირს. მისი ინტერესის დაცვის/წარმომადგენლობის ფუნქციას ითავსებს შიდა ინსპექტირების მექანიზმი, რომელიც უფლებამოსილია დისციპლინურ პასუხისგებაში მისცეს პოლიციის თანამშრომელი.[338]

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოქალაქის/დაზარალებულის უფლებას გაასაჩივროს გენერალური ინსპექციის მიერ დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობის გამო წარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილება. შესაბამისად, „მოქალაქის ინტერესი მიუკერძოებელ საზედამხედველო პროცესზე ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს იმ პირობებში, თუკი მას არ აქვს შესაძლებლობა, აკონტროლოს და გავლენა მოახდინოს დისციპლინურ პროცესზე. რაც ნიშნავს იმას, რომ სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი გადაწყვეტილებისა თუ მოქმედების გასაჩივრების შესაძლებლობას მიუკერძოებელ არბიტრთან“.[339]

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიებისას, ლგბტ თემის წევრების მიმართ პოლიციელების მიერ ეთიკის შეუსაბამო ქცევასა თუ მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაზე, მათ შორის, საგამოძიებო მოქმედებების დროს მოტივის გამოკვეთისათვის არასაკმარისი ზომების მიღებაზე, ბრალის დადგენილებაში მის არასათანადო ასახვაზე, თემის წევრების მიმართ ჰომოფობიური, ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენებასა და სეკულარიზმის პრინციპის დარღვევაზე უნდა ხორციელდებოდეს ადეკვატური რეაგირება, რაც უნდა უზრუნველყოს ინსტიტუციურად დამოუკიდებელმა ინსპექტირების ორგანომ. შესაბამისად, შიდა მონიტორინგის მექანიზმის ეფექტურობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობისათვის გენერალური ინსპექციის არსებული ინსტიტუციური მოწყობის სახეცვლილება და მისი ტრანსფორმაცია არსებითად მნიშვნელოვანია. სწორედ შეცვლილი სისტემის ფარგლებში არის შესაძლებელი განოხრციელდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ეფექტური ბრძოლა და შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ნდობის მოპოვება.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გენერალური ინსპექციისათვის არსებობდეს შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი/ინტრუქცია, რომელსაც გამოიყენებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებაზე კონტროლის პროცესში, რათა მას ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენცია გამოძიების/მოკვლევის ფარგლებში სრულყოფილად გამოკვეთოს ის ძირითადი ხარვეზები, რაც თავს იჩენს ამგვარ დანაშაულთა გამოძიების პროცესში, მოაგროვოს საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები და განსაზღვროს, წარმოადგენს თუ არა პოლიციის ქმედება კანონდარღვევას, ხოლო, ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში, დაადგინოს პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომები.

338 იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება

339 გ. იმნაძე, გ. კეკენაძე „“უხილავი ძალაუფლების პოლიტიკა – სამართალდამცავი სისტემის ანალიზი.” EMC, 2015, გვ. 69

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა ინსპექტირების მექანიზმის ფუნქციურობისა და მისი მიუკერძოებლობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ადეკვატური ცვლილებების განხორციელება, მათ შორის:

- უზურნველყოფილი უნდა იქნას გენერალური ინსპექციის დამოუკიდებლობა, იმ პრინციპის დაცვით, რომ დისციპლინური სამართალდარღვევაზე დევნის განმახორციელებელი და გადაწყვეტიელების მიმღები უწყებები მაქსიმალური ინსტიტუციურად გამიჯნულები იყვნენ და ურთიერთდამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, ამასთან არ არსებობდეს ინსტიტუციური და იერარქიული კავშირი საქმის მწარმოებელ პირებსა და იმ ოფიცერს შორის, რომლის მიმართაც არის წარდგენილი შესაბამისი საჩივარი;

- დისციპლინირების პროცესში მოხდეს დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება მისი ინფორმირების გზით და მას მიენიჭოს უფლება, გაასაჩივროს დისციპლინური წარმოების შეწყვეტის/არდაწყების გადაწყვეტილება;

- კანონით იქნას გაწერილი შსს–ს მუშაკთა მიმართ დისციპლინური წარმოების გამჭვირვალე პროცედურები, და მისი ხანგრძლივობა, შესაბამისი ორგანოს მიერ დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მტკიცების სტანდარტი და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები;

- შეიქმნას დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტური და მიუკერძოებელი მექანიზმი, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მათ შორის გენერალური ინსპექციის მიერ მომზადებული დასკვნის არსებითი გადახედვა, დისციპლინური წარმოების პროცედურების კანონიერების შემოწმება და სხვა.

8.4. პროკურატურის როლის გაზრდა

ადგილობრივი სამართალდამცავი უწყებები კრიტიკულ როლს თამაშობენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირებაზე.[340] პროკურატურის მუდმივი თანამშრომლობა და მასთან შეთანხმებული მუშაობა ბევრად ეხმარება გამოძიებას, ამომწურავად მიუდგეს ამგვარი დანაშაულების გამოძიებას და პოზიტიური გავლენა მოახდინოს მსხვერპლსა და მოწმეებზე.

340 The American Prosecutor's Research Institute (APRI) „A Local Prosecutor's Guide for Responding to Hate Crimes", გვ. 15–16, ob: http://www.ndaa.org/pdf/hate_crimes.pdf

კოორდინირებული და ჯგუფური მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოძიების პროცესში, როდესაც აღინიშნება სავარაუდო სიძულვილის მოტივი. პროკურატურის ვალდებულებაა, უზრუნველყოს შეუწყნარებლობის მოტივის სრულყოფილად დოკუმენტირება და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება გამოძიების ადრეულ ეტაპზევე.

აშშ-ში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, პროკურატურა იყენებს განსხვავებულ მეთოდებს, რათა გაამარტივოს კოორდინირებული მუშაობა სხვა კრიტიკულ უწყებებთან. მაგალითად, ლოს ანჯელესის რეგიონულმა პროკურატურამ შეიმუშავა სიძულვილის მოტივის იდენტიფიკატორების ფურცელი (card), რომელსაც პოლიციის მუშაკები იყენებენ იმისათვის, რომ შეამოწმონ ყველა იდენტიფიკატორის არსებობა ან არარსებობა, როდესაც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს იძიებენ.[341] აგრეთვე, ფლორიდაში პროკურატურამ შეიმუშავა შესაძლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პროცედურული წესები პოლიციისათვის, სადაც გაწერილია მათი როლი, ვალდებულებები და ანგარიშგების პროცედურები.[342]

ამასთან, ზოგიერთ იურისდიქციაში, კერძოდ **საკრამენტოში (კალიფორნია)**, შემუშავებულია მულტიუწყებრივი ოპერატიული ჯგუფები (Task Force), რომელიც აერთიანებს ლოკალურ, სახელმწიფო და ფედერალურ დონეზე სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე. ოპერატიული ჯგუფების გამართულ მუშაობას პროკურორები და სხვა ინსტიტუციების წარმოამდგენლები უზრუნველყოფენ.[343]

ECRI იძლევა რეკომენდაციას, მონიტორინგი გაეწიოს, გამოიძიებს თუ არა პოლიცია შესაძლო [რასისტულ] ან ჰომო/ტრანსფობიურ მოტივებს.[344] პროკურატურა (ისევე როგორც სხვა უწყებები) კრიტიკულ როლს თამაშობს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების სწორად წარმართვის პროცესებზე.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურას შორის არსებობდეს ურთიერთშეთანხმებული მუშაობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე გამოძიებისას (მათ შორის, ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებზე);

341 იქვე, გვ.15

342 იქვე,

343 Bureau of Justice Assistance (BJA). (1997). „Stopping Hate Crime: A Case History from the Sacramento Police Department.“ BJA Fact Sheet. Washington, D.C.: Bureau of Justice Assistance, Office of Justice Programs, U.S. Department of Justice. (როგორც ციტირებულია, The American Prosecutor's Research Institute (APRI) „A Local Prosecutor's Guide for Responding to Hate Crimes“).

344 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), მოხსენება საქართველოს შესახებ, (მონიტორინგის მეხუთე ციკლი), გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა.62

- გაძლიერდეს პროკურატურის საზედამხედველო ფუნქცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პროცესში, რაც უზრუნველყოფს არა უშუალოდ გამოძიების პროცესის პროკურატურის მუშაკების მიერ წარმართვას, არამედ მოტივის გამოკვეთასა და მსხვერპლთან/მოწმესთან კომუნიკაციის პროცესზე ზედამხედველობას, საჭიროების შემთხვევაში, არსებითი მითითებების გაცემას.

8.5. გარე მონიტორინგის მექანიზმები

ინტერუწყებრივი კოალიციებისა თუ სამუშაო ჯგუფების ეფექტიანობის გასაზრდელად გამოსადეგი საშუალებაა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა საკითხებზე მომუშავე და სათემო – ლგბტქი ორგანიზაციების ჩართვა პროცესში.

მაგალითად, აშშ-ში ფართო კოალიცია შეიქმნა, სამოქალაქო უფლებების, რელიგიური, საგანმანათლებლო, სამართალდამცავი, პროფესიული და სამოქალაქო ორგანიზაციების გაერთიანებით, რათა გაეუმჯობესებინათ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირება ფედერალურ და სახელმწიფო დონეზე. ინტერუწყებრივი ჯგუფის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმები, სტრატეგიები და დასკვნები **საჯაროდ ქვეყნდება,** რაც ხელს უწყობს საზოგადოების ყურადღების გამახვილებას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის საჭიროებაზე. მისი მიზანია მსხვერპლთა გაძლიერება და საზოგადოებაში დისკუსიის წამოწყების ხელშეწყობა, რამაც შესაძლოა, ამგვარ დანაშაულებთან დაკავშირებული ახალი ასპექტები წარმოაჩინოს.[345]

ასევე, **დიდი ბრიტანეთის** მთავრობამ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღკვეთისა და მსხვერპლთა მიერ დანაშაულთა შესახებ განცხადების მხარდასაჭერად სპეციალური სტრატეგია შეიმუშავა.[346] სტრატეგიის მიზნების მისაღწევად მთავრობამ ერთ პლატფორმაზე გააერთიანა როგორც მთავრობის რელევანტური დეპარტამენტები, ასევე სამართალდამცავი უწყებები და ადგილობრივი მოხალისე ორგანიზაციები, რათა უზრუნველეყო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ოპერაციული რეაგირება. მთლიანობაში, ეს ინტერუწყებრივი ძალისხმევა მიზნად ისახავს უფრო ეფექტიანი და

345 OSCE/ODIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, გვ. 31–32

346 Action Against Hate, The UK Government's plan for tackling hate crime, July 2016, იხ: https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/543679/Action_Against_Hate_-_UK_Government_s_Plan_to_Tackle_Hate_Crime_2016.pdf ასევე, იხილეთ ამავე დოკუმენტის ძველი ვერსია „Challenge it, Report it, Stop it", March 2012, იხ: https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/97849/action-plan.pdf

განგრძობადი პროცესის შექმნას, დამნაშავეებისა და დანაშაულთა დროული გამოვლენისა და, ზოგადად, დანაშაულებზე ერთიანი პასუხის გასაცემად.[347]

ხორვატიაში შექმნილია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მუშაობაც ეფუძნება ხორვატიის მთავრობის ადამიანის უფლებათა ოფისის „პროტოკოლს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე".[348] ჯგუფი შედგება ხორვატიის შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, მიზდიმინორების უმაღლესი სასამართლოს, პოლიციის აკადემიის, იუსტიციის სამინისტროს, ომბუდსმენის აპარატისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისგან.

სამუშაო ჯგუფი აანალიზებს და მონიტორინგს უწევს ანტიდისკიმინაციული კანონმდებლობის აღსრულებას, რომელიც ეხება დანაშაულებს, საჭიროებისამებრ ახორციელებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვას, კოორდინირებას უწევს ინფორმაციის აღრიცხვის პროცესსა და ინტერინსტიტუციურ თანამშრომლობას ამგვარ დანაშაულთა პრევენციის პროცესში. სამუშაო ჯგუფი წელიწადში რამდენჯერმე იკრიბება და შესაძლებლობას აძლევს ჯგუფის წევრებს, წარადგინონ თავიანთი ინფორმაცია, ინდივიდუალური საქმეები, სიახლეები და სამომავლო ინიციატივები.[349]

ესპანეთში შექმნილია 40 წევრისგან შემდგარი მულტიდისციპლინარული სამუშაო ჯგუფი, რათა განსხვავებული პერსპექტივიდან დაინახოს ლგბტ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები, მათ შორის სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა წინააღმდეგ გამოსაყენებელი მექანიზმები, ინფორმაციის შეგროვების საკითხები და სხვადასხვა ინსტიტუციის როლი. ჯგუფი მოიცავს: პროკურორებს, სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში მომუშავე პირებს, ეროვნული და რეგიონული მმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს, მედიას, სამოქალაქო საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და, ასევე, უშუალო მსხვერპლებს. [350]

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) საქართველოს მთავრობას მოუწოდებს ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად ქმედითი ნაბიჯების გადადგმისაკენ, რაც ECRI-ის მიხედვით, ლგბტ თემისა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს.[351]

347 OSCE/ODIHR, Hate crime data-collection and monitoring mechanisms, 32

348 The Human Rights Office of the Government of the RC, Working Group for Monitoring Hate Crimes, PROTOCOL FOR PROCEDURE IN CASES OF HATE CRIMES, Zagreb, March 2011, იხ: https://ljudskaprava.gov.hr/UserDocsImages/arhiva/protokoli/Protocol%20on%20procedure%20in%20cases%20of%20hate%20crime.pdf

349 იქვე

350 იხილეთ დეტალური ინფორმაცია: http://fra.europa.eu/en/promising-practices/network-against-hatred

351 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), მოხსენება საქართველოს შესახებ, (მონიტორინგის მეხუთე ციკლი), გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, პარა. 108

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების (განსაკუთრებით, ჰომო/ბი/ტრანსფობიურის), პრევენციის, გამოძიების ეფექტიანობის გაზრდის, მსხვერპლთა რეპარაციის მიდგომების შესამუშავებლად და სამართალდამცავი სისტემის ანგარიშვალდებულების გასაზრდელად, მნიშვნელოვანია:

- გარე მონიტორინგის მექანიზმის სახით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებზე, რომელიც მოიცავს: შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის მაღალი დონის წარმომადგენლებს, საქართველოს სახალხო დამცველს, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებსა და ლგბტ თემის წარმომადგენლებს, რომელიც დადგენილი პერიოდულობით შეიკრიბება და მოახდენს მიღწეული პროგრესისა თუ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზების ძიებას;

- სამართალდამცავი სისტემის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმების შესრულებაზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება და აღნიშნული პროცესის საჯაროობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა.

თავი 9

ნდობის მშენებლობა: მუშაობა თემსა და სათემო ორგანიზაციებთან

9.1. საველე მუშაობა თემთან ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების პრევენციისთვის

პოლიციისადმი საზოგადოების (და ამ შემთხვევაში, ლგბტ თემის წევრების) ნდობა არსებითი მნიშვნელობის მატარებელია, რათა სამართალდამცავმა უწყებებმა შეძლონ დანაშაულებზე ეფექტიანად რეაგირება.

OSCE/ODIHR სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, [პროკურატურა] არ უნდა დაელოდოს გახმაურებულ საქმეს, რომ კომუნიკაცია დაამყაროს თემთან. სათემო ჯგუფებთან მუდმივი კომუნიკაცია და კონსულტაციები შესაძლოა, დადებითად აისახოს მსხვერპლთა და მოწმეთა სურვილზე, ითანამშრომლონ სამართალდამცავ უწყებებთან და ასევე, გაზარდოს პოლიციისა და პროკურატურის მიერ თემში არსებული ვითარების კარგად გააზრების შესაძლებლობები. ამგვარი დამოკიდებულება ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფს შორის ურთიერთობის დაძაბვის შესახებ საქმის კურსში ყოფნის შესაძლებლობას და მიმართულებას აძლევს პოლიციას, თუ რა ეტაპზე და რა ფორმით არის საჭირო მისი ჩარევა.[352]

გარდა აღნიშნულისა, სამართალდამცავი სისტემის მიერ საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და ადრეული ინტერვენციების დაგეგმვა ხელს უწყობს წინასწარგანწყობების ჩამოყალიბების ხელშეშლასა და დანაშაულთა თავიდან აცილებას.

გარე საველე სამუშაოებს შორის OSCE/ODIHR რეკომენდაციას უწევს შემდეგ აქტივობებს:[353]

- სამუშაო შეხვედრების ორგანიზება თემსა და სამართალდამცავ უწყებებთან, რათა განიხილებოდეს არსებული ვითარება თემში და მიეწოდებოდეთ ინფორმაცია საკანონმდებლო თუ პოლიტიკის დონეზე არსებულ რელევანტურ წესებზე (მათ ცვლილებებზე);

352 OSCE/ODIHR, Prosecuting Hate crimes, A practical guide, გვ. 79

353 იქვე

- საჯაროდ ისაუბრონ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, მათ შორის, სკოლებში, რელიგიურ დაწესებულებებსა და სათემო ცენტრებში;

- შემუშავდეს ცნობიერების ასამაღლებლად გამიზნული მასალები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, განსაკუთრებით ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებზე.

გარდა OSCE/ODIHR-ის ზოგადი რეკომენდაციისა, საქართველოს მიმართ ECRI-ის ანგარიშში, კომისია ასევე მოუწოდებს სახელმწიფოს, დაიწყოს ცნობიერების ამაღლების პროგრამები სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ჰომო/ტრანსფობიურ სიძულვილთან საბრძოლველად.[354]

9.2. რეგულარული სამუშაო შეხვედრები სათემო ორგანიზაციებთან

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი მეთოდია თემთან კომუნიკაცია, თანამშრომლობის შექმნა და გაძლიერება იმ სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ლგბტ პირთა უფლებების დაცვასა და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე.

აღნიშნული მეთოდიკა შესაძლობლობას აძლევს პოლიციას, მუდმივად იყოს ინფორმირებული დანაშაულებთან დაკავშირებით არსებულ რეალობაზე, მომეტებული საფრთხის პერიოდებსა და რისკზე.

მაგალითად, **დიდ ბრიტანეთში** რეგიონულმა საპოლიციო ორგანომ და ანტისემიტიზმზე მომუშავე ადგილობრივმა ორგანიზაციამ ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, რომლის საფუძველზე ორივე მხარეს ევალება როგორც სტატისტიკური, ისე სხვა სახის ინფორმაციის ერთმანეთისთვის გაზიარება, რომელიც კონკრეტულად ანტისემიტიზმის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებს შეეხება. შეთანხმებაში ასევე მითითებულია პერმანენტული შეხვედრების ვალდებულებაზე, რომელზეც განიხილება ახლად აღმოჩენილი გარემოებები სხვადასხვა საქმეზე, ახალი ცვლილებები დანაშაულთა ბუნებაზე, გავრცელებასა და სხვა პრობლემატიკაზე. ასევე არსებობს ad hoc შეხვედრების შესაძლებლობაც თემისთვის მომატებული საფრთხის პერიოდებში.[355]

354 პარა. 70

355 National Polic Chief's Council, Information Sharing Agreement with the Community Security Trust (CST), Ist review April 2016, ob: http://report-it.org.uk/files/2016_-_04_-_06_-_isa_npcc-cst.pdf

ამასთან, საინტერესო პრაქტიკა არსებობს **აშშ-ში – ნიუ ჯერსიში** ერთ-ერთი პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების/თემთან ურთიერთობის დანაყოფი (unit), რომლის მუშაობასაც ამავე პოლიციის დეპარტამენტის ოფიცერი უწევს ზედამხედველობას. მასში ერთიანდებიან: გამომძიებელი, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე მომუშავე ოფიცერი და პროკურორი, რომელიც უწყების სამართლებრივი მრჩევლის ფუნქციასაც ითავსებს.[356]

ზემოაღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ

- გაზარდოს ლგბტ თემსა და სათემო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია და შეიმუშაოს მათთან აქტიური კომუნიკაციის გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს უწყების ინფორმირებულობის გაზრდას დანაშაულებთან დაკავშირებით არსებულ რეალობაზე, მომეტებული საფრთხის პერიოდებსა და რისკზე.

9.3. მომეტებული საფრთხის დროს Ad Hoc შეხვედრები თემსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

ლგბტ თემსა და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუდმივ კომუნიკაციასთან ერთად, რაც შესაძლებელია, კვარტალურად ან ყოველ 6 თვეში ერთხელ ხორციელდებოდეს, შესაძლოა, არსებობდეს დაუგეგმავი Ad Hoc შეხვედრების ორგანიზების აუცილებლობაც, ლგბტ თემისათვის მომეტებული საფრთხის პერიოდებში.

ამგვარი პერიოდი შესაძლოა იყოს **17 მაისი – ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე (IDAHOT)**; ასევე, მანამდე და მის შემდეგაც დრო უნდა მივიჩნიოთ რისკის შემცველ პერიოდი.

მაგალითად. საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლების მსგავსად, 2016 წელსაც ლგბტ თემსა და აქტივისტებს არ მიეცათ შეკრების თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, 2016 წლის 17 მაისამდე და მის შემდგომ პერიოდში, ლგბტ თემის წევრებისა და აქტივისტების მიმართ სპორადული ძალადობის ათეული შემთხვევა გამოვლინდა. ძალადობის ფაქტები სავარაუდო მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) გამო, სიძულვილის მოტივით განხორციელდა და ძირითადად ღამით საჯარო სივრცეში უცნობმა პირებმა ჩაიდინეს[357].

356 The American Prosecutor's Research Institute (APRI) „A Local Prosecutor's Guide for Responding to Hate Crimes", გვ.16

357 NGO-ების საგანგებო განცხადება გახშირებულ ჰომოფობიურ დანაშაულებთან დაკავშირებით, 23.05.2016 , იხ: https://emc.org.ge/2016/05/23/emc-56/

ყურადსაღებია, რომ 2013 წლის 17 მაისს ძალადობრივი და ჰომოფობიური მასშტაბური კონტრდემონსტრაციის შემდეგ ლგბტ თემის წევრების მიმართ ასევე აღინიშნა ძალადობის ესკალაცია. საქართველოს სახალხო დამცველმა 17 მაისსა და მომდევნო პერიოდის განმავლობაში ძალადობის 32 შემთხვევა ასახა დოკუმენტებში.[358]

შექმნილ ვითარებაში თემის წევრები, განსაკუთრებით კი ლგბტ აქტივისტები, შიშში, სტრესსა და დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ მუდმივად საგანგებო მდგომარეობის პირობებში უწევთ არსებობა. პოლიციის არასათანადო რეაგირებისა და ხშირად მათივე მხრიდან ჰომოფობიური მოპყრობის გამო, ფაქტობრივად, მარტოები რჩებიან ძალადობისა და დევნის პირისპირ.

პოლიციის მიერ, მომეტებული საფრთხის შემცველი სხვა დღეებისა თუ პერიოდების შესახებ ინფორმაციის ქონა მნიშვნელოვნად აადვილებს დანაშაულსა და ინციდენტებზე დროულ რეაგირებას, რისთვისაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ლგბტ თემთან კომუნიკაციას და პირველწყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყდნობით რელევანტური რეაგირების მექანიზმების დაგეგმვას.[359]

358 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2013, გვ. 513

359 მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით, ამგვარი Ad Hoc შეხვედრა გაიმართა 2016 წლის 31 მაისს ჰომოფობიურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიების მიმდინარეობის და ჰომოფობიური დანაშაულების პრევენციის საკითხებზე. შეხვედრას ესწრებოდნენ ლგბტ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, საქართველოს მთავრობის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. შეხვედრა მიზნად ისახავდა კოორდინაციას და ინფორმაციის გაზიარებას ბოლო პერიოდში მომხდარი ჰომოფობიური ძალადობის ფაქტების შესახებ, ასევე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციისათვის სახელმწიფოს სტრატეგიის მიმოხილვას, თუმცა შეხვედრის შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან საჯარო განცხადება გახშირებულ ძალადობაზე ან/და სხვაგვარი რეაგირება არ მოჰყოლია.

დასკვნა და შემაჯამებელი რეკომენდაციები

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოებრივი სტრატეგია მსგავსი დანაშაულების ტიპოლოგიისა და გამომწვევი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მიზეზების ღრმა ანალიზს უნდა დაეფუძნოს. ამასთან, პრევენციული პოლიტიკის შემუშავებისას და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში არსებითად მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს ჯეროვანი გულისხმიერების პრინციპის განუხრელი დაცვის აუცილებლობა.

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე შეუწყნარებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები მოიცავს ურთიერთგადამკვეთ და კომპლექსურ საკითხთა ერთობას, რომლებიც კონკრეტული სოციალური და პოლიტიკური კონტექსტისა და ძალაუფლებრივი სტრუქტურების გათვალისწინებით უნდა გაანალიზდეს. ამ პროცესში არსებითია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ წინასწარგანწყობაზე დაფუძნებული დანაშაული თავს არ ამოწურავს კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებით და არც სოციალურ და კულტურულ ვაკუუმში წარმოიქმნება; მას სოციალური და პოლიტიკური ბაზისი აქვს და ხშირად საზოგადოებაში გაუმართლებლად ყალიბდება რწმენა მსგავსი დანაშაულების მისაღებობაზე. ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულის მიზეზები საზოგადოებაში ძალაუფლებათა იერარქიზებულ სტრუქტურაში უნდა მოიძებნოს. ამასთან, სწორედ ამგვარი დანაშაულის სისტემური და ირაციონალური ხასიათი აქცევს მას სოციალური უსამართლობის პროდუქტად და ამდენად, მჩაგვრელ სოციალურ პრაქტიკად.

ჰომოფობია, ბიფობია და ტრანსფობია შესაძლოა, გამოვლინდეს არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანის ქცევაში, არამედ ინსტიტუციების უმოქმედობაში, რაც მეტწილად გაბატონებული ჰეტერონორმატიული წარმოდგენების მიმართ სახელმწიფოს ინსტიტუტების ღია ლოიალობითა და სხვა სექსუალობების მიმართ მკვეთრად უარყოფი დამოკიდებულებებით არის განპირობებული. ეს მოცემულობა ხელს უწყობს ლგბტ თემის მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობრივი პრაქტიკის გაძლიერებას და მას სისტემურ ხასიათს აძლევს.

სამართალდამცავი სისტემის მიერ ლგბტ თემის არაღიარებამ და ხშირად დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ არსებითად შეარყია თემის ნდობა პოლიციის მიმართ. ლგბტ თემის წინააღმდეგ მართლმსაჯულების სისტემის არაეფექტიანობამ (ერთი მხრივ, მსგავსი დანაშაულების არაღიარებისა და მეორე მხრივ, თემის წევრების მიმართ

ხშირად ღიად დისკრიმინაციულმა და რეპრესიულმა პოლიტიკამ) ჰომო/ბი/ტრანსფობიური მოტივის შემცველი მართლსაწინააღმდეგო აქტები უხილავ დანაშაულებად აქცია.

დღემდე არ არსებობს ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულსა და მის გამომწვევ სოციალურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ მიზეზებთან ბრძოლის ჰოლისტური სახელმწიფოებრივი სტრატეგია, რაც გამოიხატება ამგვარ დანაშაულთა ერთჯერად, იზოლირებულ და განყენებულ ინციდენტებად აღქმაში. ეს მიდგომა მთლიანად გამორიცხავს შეუწყნარებლობით ჩადენილ ქმედებათა უარყოფითი შედეგის, ზიანის გააზრებას არა მხოლოდ უშუალოდ მსხვერპლის, არამედ მთლიანობაში იმ სოციალური ჯგუფის დონეზე, რომელსაც ის მიეკუთვნება. ამრიგად, კრიტიკული მნიშვნელობისაა არსებული სამართალდამცავი სისტემის დღის წესრიგის ცვლილება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ჰომოფობიური, ბიფობიური და ტრანსფობიური დანაშაულების პრიორიტეტულობა და მსგავსი დანაშაულების წინააღმდეგ გაორმაგებული ძალისხმევით ბრძოლა.

წლების განმავლობაში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ზრდის ტენდენციის პირობებში მნიშვნელოვანი ხდება, სახელმწიფოს პოლიტიკა მას ადეკვატურად ასახავდეს და იყოს მზად, არა რეაქციული მეთოდებით ებრძოლოს დანაშაულს, არამედ გაიაზროს პრევენციული პოლიტიკის აუცილებლობა და ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სწორედ მიზეზებთან ბრძოლა დასახოს.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ეფექტიანი და ქმედითი პოლიტიკის წარმოება პირველ რიგში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიერ ამგვარი დანაშაულების უნიფიცირებულ დეფინიციასა და მის შინაარსზე შეჯერებას მოითხოვს. წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტში არაერთხელ გაესვა ხაზი გამართული კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების, ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტების პრაქტიკულ და სიმბოლურ მნიშვნელობას. მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან მსგავს დანაშაულებთან ბრძოლის სისტემური მიდგომისა და ძალისხმევის ჩვენება ხელს უწყობს არადომინანტი ჯგუფების მიმართ არსებული უარყოფითი წინასწარგანწყობის შეცვლას და შესაძლო დამნაშავეებისთვის ექსპლიციტურ მინიშნებას შეიცავს დისკრიმინაციული დანაშაულების მიუღებლობის შესახებ.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში დღეს არსებული ხარვეზები წარმოადგენს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის არაპრიორიტეტულობის ილუსტრაციას. ამგვარი მიდგომა საჭიროებს ცვლილებასა და ერთიან სტრატეგიას, რომელიც, თავის მხრივ, გააერთიანებს დანაშაულთა პრევენციას,

ხელს შეუწყობს მიმართვიანობის გაზრდას, გააძლიერებს მსხვერპლისადმი ზიანის შემცირებაზე მიმართულ ძალისხმევას და განსაკუთრებით იზრუნებს ლოკალური უწყებების ეფექტიან რეაგირებაზე, მათზე გაძლიერებული, მიუკერძოებელი მონიტორინგისა და საკონსულტაციო პროცესების ხელშეწყობით, მათში პროფესიონალების, სათემო ორგანიზაციებისა და ლგბტ თემის უშუალო ჩართულობის გზით.

სწორედ ამგვარი ქმედითი მექანიზმისა და სისტემის შექმნას ემსახურება წინამდებარე ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც მართალია, ფოკუსირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გასატარებელ ღონისძიებებზე, მაგრამ არსებითია სხვა სამართალდამცავი უწყებისათვის.

შეჯამების სახით, ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებთან ბრძოლისათვის ეფექტიანი და ქმედითი სახელმწიფო სტრატეგიის შესაქმნელად და პოლიციის მუშაკთა რელევანტური და სენსიტიური ცოდნით აღჭურვისათვის კრიტიკული მნიშვნელობისაა შემდეგი ზომების მიღება:

- რელევანტურმა უწყებებმა შეიმუშაონ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს გამოძიების, პრევენციის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს და გაწერს შესაბამისი უწყებების ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშაოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის შიდა სტრატეგიის დოკუმენტი და ოპერაციული სახელმძღვანელო, რომელიც შესაბამისი ნორმატიული აქტით გაფორმდება. არსებითია, ამ პროცესში უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ექსპერტების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების მონაწილეობა;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები პერმანენტულად და სისტემურად გადამზადდნენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიების შესახებ; სატრენინგო მოდულების შედგენისას გაითვალისწინონ ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება არა მხოლოდ დანაშაულის გამოძიების ტექნიკის სისხლისსამართლებრივ განზომილებაზე, არამედ მიმართული იქნება ლგბტ ადამიანების (და სხვა დისკრიმინირებული ჯგუფების) მიმართ მგრძნობელობის გაზრდაზე. ამასთან, არსებითია, სწავლების/ტრენინგების შედეგების გასაზომად შემუშავდეს რეალისტური და ობიექტური კრიტერიუმები და, შესაბამისად, მოხდეს მისი ანალიზი და დროული ინტერვენცია სასწავლო მოდულთა განახლებისათვის;

- შემუშავდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოებისა და აღრიცხვის შესახებ მოდული, რომელიც ამგვარ დანაშაულთა აღრიცხვიანობის მნიშვნელობაზე გაამახვილებს ყურადღებას და ტექნიკურ ინფორმაციას მისცემს მუშაკებს რელევანტურ ბაზაში მისი ადეკვატური ასახვის მიზნებისთვის;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ უზრუნველყონ თანამშრომლებისთვის ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულთა გამოძიების პრიორიტეტულობაზე მითითება და წახალისებისკენ მიმართული სისტემური ღონისძიებები;

- შეიქმნას და დაიხვეწოს დანაშაულთა რეგისტრაციის გამჭვირვალე სისტემა, თავისი სახელმძღვანელო დოკუმენტებითა და შევსების ინსტრუქციით; პერიოდულად შეფასდეს და განახლდეს დანაშაულის აღმრიცხველი სისტემები და პროგრამები, იმპლემენტაციის პროცესში ნებისმიერი ტექნიკური თუ შინაარსობრივი ბარიერების თავიდან ასაცილებლად;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეიქმნას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაზე პასუხისმგებელი სპეციალიზებული უწყება/დანაყოფი, რომელიც დაკომპლექტდება პოლიციის იმ მუშაკებისგან, რომელთაც აქვთ მაღალი მიმღებლობა და მგრძნობელობა შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულებზე და იაზრებენ მსხვერპლის მიერ განცდილ არსებით ზიანს; ამასთან, სპეციალიზებული უწყება/დანაყოფი უნდა იყოს ინტერდისციპლინარული და გამომძიებლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლების გარდა, მნიშვნელოვანია, მასში შედიოდეს ექსპერტი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, დანაშაულის პრევენციის ოფიცერი და სხვა ექსპერტული ცოდნის მქონე პირი, რომელსაც შეუძლია არსებითი დახმარება გაუწიოს დანაყოფს დანაშაულზე რეაგირებასა და გამოძიებაში;

- სპეციალური უწყება/დანაყოფი აღიჭურვოს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულზე სპეციფიკური ცოდნით, თუმცა დავიწროებული ექსპერტიზით დისკრიმინაციის კონკრეტულ ნიშნებზე, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე;

- უწყებას/დანაყოფს დაევალოს გამოძიებაზე ზედამხედველობა ან უშუალოდ ჩართვა საგამოძიებო მოქმედებებსა და მსხვერპლის/მოწმის/შესაძლო დამნაშავესთან კომუნიკაციის პროცესში; დანაყოფს უნდა ჰქონდეს ნათლად გაწერილი სტრატეგია და ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლითაც იხელმძღვანელებს დანაშაულის გამოვლენის დროს შესაძლო სიძულვილის (ჰომო/ბი/ტრანსფობიური და სხვ.) მოტივის დადგენისას, მსხვერპლსა და მის ოჯახთან კომუნიკაციის, საგამოძიებო მოქმედებების, საქმეზე მტკიცებულებების მოპოვებისა და დამაგრებისას, ასევე, სტატისტიკის წარმოებისა და გაანალიზების პროცესში;

- შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნას შიდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც გააერთიანებს საპატრულო პოლიციის შესაბამის თანამშრომლებს, დეტექტივ-გამომძიებლებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მნიშვნელოვანი უწყებების წარმომადგენლებს, მათ შორის, მინისტრსა და მის მოადგილე(ებ)ს, რომელიც თანაგაზიარების ფორმატში, პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, პერიოდულად შეიკრიბება და უზრუნველყოფს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა აღმოფხვრის შესახებ სამოქმედო გეგმების-სტრატეგიების შემუშავებასა და საჯაროობას;

- უზრუნველყოფილი იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის ფაქტების გამოვლენა/რეაგირებაზე პასუხისმგებელი ორგანოს – გენერალური ინსპექციის, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ასევე, განმცხადებლის/დაზარალებულის ჩართულობა პროცესში და მისი აღჭურვა ინსპექტირების მექანიზმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით. გენერალური ინსპექციის რეფორმირება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ის ერთდროულად არ გვევლინებოდეს ბრალმდებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ და ამ უკანასკნელს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი წარმოადგენდეს;

- გარე მონიტორინგის მექანიზმის სახით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, ჰომო/ბი/ტრანსფობიურ დანაშაულებზე, რომელშიც შევლენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები, საქართველოს სახალხო დამცველი, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებისა და ლგბტ თემის წარმომადგენლები; ჯგუფი დადგენილი პერიოდულობით შეიკრიბება და მისი საქმიანობა განისაზღვრება მიღწეული პროგრესისა თუ არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებითა და მათი გადაჭრის გზების ძიებით;

- უზრუნველყოფილი იქნას ლგბტ თემსა და სათემო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია და შემუშავდეს მათთან აქტიური კომუნიკაციის გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს უწყების ინფორმირებულობის გაზრდას დანაშაულთან დაკავშირებით არსებულ რეალობაზე, მომეტებული საფრთხის პერიოდებსა და რისკზე;

- წინამდებარე ოპერაციულ სახელმძღვანელო დოკუმენტში მითითებული რეკომენდაციები აისახოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში და სამართალდამცავი სისტემის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, განხორციელდეს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმების შესრულებაზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება და აღნიშნული პროცესის საჯაროობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა.

შენიშვნები

შენიშვნები

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center